

აწერენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ-გიორგი შვეარდნაძე. საქართველოს ახალი ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ფუძემდებლურ დოკუმენტს ერთად მოაწერეს ხელი საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის მეთაურებმა.

აკადემიის წესდება, რომლის მიხედვითაც „გელათის მეცნიერებათა აკადემია არის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ბიბლიოლოგიური და ქართველოლოგიური სამეცნიერო დაწესებულება, საღვთისმეტყველო და სამეცნიერო (ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო) კვლევითი და საგანმანათლებლო (სასწავლო) ცენტრი, შექმნილი საქართველოს სასულიერო და საერო ხელისუფლების ერთობლივი დადგენილებით იმ მიზნით, რომ აღდგეს და გაგრძელდეს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემიის ტრადიციები“, დამტკიცდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ-გიორგი შვეარდნაძის მიერ.

წესდების მიხედვით, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა მუდმივი რაოდენობა 21 წევრით განისაზღვრება. აკადემიის დამფუძნებელთა რიგში იყო 14 წევრი: პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი (ბიბლიოლოგია, ღვთისმეტყველება), ისტორიის მეცნ. დოქტ. პროფ. ზაზა ალექსიძე (არმენოლოგია, ეკლესიის ისტორია), ფილოსოფიის მეცნ. დოქტ. პროფ. ჭვინტიანი კაკაბაძე (ფილოსოფია, ფსიქოლოგია), ფილოლოგიის მეცნ. დოქტორები, პროფესორები: ჭკორნელი დანელია (ენათმეცნიერება, ტექსტოლოგია), მაგალი თოდუა (ირანისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა), ზურაბ კიკნაძე (სემიოლოგია, ბიბლიოლოგია, ფოლკლორისტიკა), დამანა მელიქიშვილი (ენათმეცნიერება, გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა,

ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია), ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქართული ლიტერატურის ისტორია), თედო უთურგაიძე (ენათმეცნიერება, ქართული და ქართველური ენების შესწავლის ისტორია), მზექალა შანიძე (სემიოლოგია, ტექსტოლოგია), ზურაბ ჭუმბურიძე (ენათმეცნიერება, ტექსტოლოგია), ალექსი ჭინჭარაული (ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა); ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის მაშინდელი პროფესორები: ჭაკაკი ბაქრაძე (ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა), მიხეილ ქურდიანი (ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა).

გელათის აკადემიის დამფუძნებელ წევრებს ამ აკადემიის სამეცნიერო წოდების „ცნობის სიგელები“ 1995 წლის 20 ივნისს გადასცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II. ამავე დღეს გელათის მეცნ. აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა მაგალი თოდუა, ხოლო სწავლულ მდივნად – მიხეილ ქურდიანი.

შემდგომ, აკადემიის ნამდვილ წევრებად არჩეულ იქნენ საქართველოს მეცნ. აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნ.-თანამშრომელი, საქართველოს ეკლესიის ისტორიკოსი ჭბაბილინა ლომინაძე, მედიცინის მეცნ. დოქტ. პროფ. გურამ კაციტაძე (ბიოლოგია, მედიცინა) და ტექნიკურ მეცნ. დოქტორი ჭარხილ კოსტავა (კრეაციონიზმი).

აკადემიიდან გასული და გარდაცვლილი წევრების ვაკანტურ ადგილებზე სხვადასხვა დროს აკადემიის ნამდვილ წევრებად არჩეულ იქნენ: ფილოსოფიის მეცნ. დოქტ. ჭთამაზ ბუაჩიძე, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორები: ჭზურაბ ჯაფარიძე (ენათმეცნიერება – ფონეტიკა-ფონოლოგია) და ედიშერ ჭელიძე (ბიბლიოლოგია, პატრისტიკა), ისტორიის მეცნ. დოქტორები: როლანდ თოფჩიშვილი (საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია), გიორგი მჭედლიძე (საქართველოს ისტორია), იულონ გაგოშიძე (საქართველოს ისტორია, არქეოლოგია), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტ. ზაზა სხირტლაძე (საქართველოს ისტორია, არქიტექტურა და ხელოვნება), იურიდიულ

მეცნ. დოქტ. მარიამ ცაცანაშვილი (სამართალმცოდნეობა), ეკონომიკურ მეცნ. კანდ. ჯამბუღ ბიწაძე (ეკონომიკა). აკადემიის წევრები არიან აგრეთვე: პოეტი ტარიელ ჭანტურია, მწერალი-კრიტიკოსი თამაზ წიფწივაძე და მწერალი-ლიტერატურათმცოდნე ლევან ბრეგაძე (2003 წლიდან აკადემიის სწავლული მდივანი).

გელათის მეცნ. აკადემიის უცხოელი წევრები არიან ცნობილი ქართველოლოგები: იან ბრაუნი (პოლონეთი), იოსტ გიპერტი (გერმანია) და ბერნარ უტიე (საფრანგეთი).


გელათის აკადემიის საპატიო წევრებად 1996 წელს არჩეულ იქნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ-გიორგი შვეარდნაძე და იმერეთის მაშინდელი გუბერნატორი, ქუთაისის მერი თეიმურაზ შაშიაშვილი.

თ. შაშიაშვილმა შესანიშნავი სამუშაო პირობები შეუქმნა აკადემიას: მისი ძალისხმევით აკადემიას გადაეცა ორსართულიანი რეზიდენცია წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ეზოში; წლების განმავლობაში იგი აფინანსებდა აკადემიის ტრადიციულ ერთკვირიან კონფერენციებს, რომლებიც იხსნებოდა ყოველი წლის 21 სექტემბერს გელათში, ღვთისმშობლობას, და სრულდებოდა ჯვართამაღლებას, 27 სექტემბერს – ქუთაისში.

დასაწყისში აკადემიას ჰქონდა ორი სამეცნიერო ორგანო: „გელათის მეცნიერება-

თა აკადემიის უწყებანი“ (1996 წ. გამოვიდა 2 ნომერი. პირველში დაიბეჭდა ქრონიკა და ფუძემდებლური დოკუმენტები, მეორეში – აკადემიის წევრების მიერ წაკითხული მოხსენებები 1996 წლის სექტემბრის სამეცნიერო კონფერენციაზე (რედ. მ. ქურდიანი) და „წელიწდული“ (1998 წ. დ. მელიქიშვილის რედაქტორობით გამოვიდა ერთი ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა დ. მელიქიშვილის სამუშაო ჯგუფის ნაშრომები გელათის ძველი აკადემიის ლიტერატურული მემკვიდრეობის ირგვლივ). უსახსრობის გამო ამ პერიოდული გამოცემების პუბლიკაცია ვეღარ გაგრძელდა.

2002 წლის სექტემბრიდან ქუთაისის საკრებულოს ფინანსური ხელშეწყობით გამოდიოდა ყოველთვიური „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“, რომლის დამაარსებელი და მთავარი რედაქტორია აკადემიის პრეზიდენტი მაგალი თოდუა. 2004 წლის ივლისიდან ჟურნალი გამოდის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ღოცვა-კურთხევითა და მატერიალური ხელშეწყობით. ჟურნალი მრავალდარგობრივია (თეოლოგია, ფილოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ხელოვნებათმცოდნეობა, სამართალი, ეკონომიკა), მასში იბეჭდება გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და მათ მიერ რეკომენდებული სამეცნიერო ნაშრომები. ჟურნალის ყოველ ნომერს ერთვის მეცნიერული ქრონიკა, უახლესი ბიბლიოგრაფია და პერსონალიები.



უწმიდესსა და უნეტარესს,  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქს,  
ილია II-ს

თქვენო უწმიდესობაჲ!

თქვენი აღსაყდრების 25 წლისა და დაბადების 70 წლის თავსე გვსურს მოგმართოთ არა მხოლოდ თქვენ მიერ დაარსებული გელათის მეცნიერებათა აკადემიის სახელით, არამედ თქვენის ღვაწლით აღორძინებული სამწესოს სახელითაც – სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკაფალური ეკლესიის დაუძინებელ მოღვაწესა და დიდებულ მუშაკს ეანისა ქრისტესისა, ქრისტიანეთა სიქადულს, განმუმედელს სჯულისა, მაშენებლს ეკლესიათა, ერის სულიერ მამასა და განმანათლებელს!

როგორც ძველნი იტყოდნენ, „ვითარ შეუძლოს კაცობრივმან ენამან ჯეროვნად წარმოთქმა სიმხნეთა და მოთმინებათა თქვენთა” ამ რთულსა და განსაცდელებით აღსავსე დროში.

როგორც ნეტარმა გრიგოლ ხანძთელმა აღაშენა და განამშვენა ეკლესია-მონასტრებით მურვან ერუსაგან მოაზრებულ-გავერანებული უდაბნო ტაკლარჯეთისა, განაცხოველა და ქალაქ-ეო იგი, ასევე თქვენ, თქვენო უწმიდესობაჲ, ღვთის მცნებათაგან გარდადრეკილ ქართველთა სულიერი უდაბნო გააცოცხლეთ და აღორძინეთ; სრულიად განმორებულნი ღვთისაგან, მოაქციეთ და, ვითარცა კეთილმა მწვემსმა, განბნეული ცხვარი დაუბრუნეთ უფლის

სახლს; განაშენეთ, განამშენეთ და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დიდება აღადგინეთ.

თქვენგან სშირად გვსმენია - „ეს დრომ მოიტანაო“, მაგრამ სომ ცნობილია, რომ თვით დრო ჰიროვნებს მოჰყავს, რადგან, როცა დგება ქაძი, უფალი გამოაჩნევს და აღამაღლებს ერისაგან თავის რჩეულს, რომელსაც ძალუძს ტვირთვა ერის ჯვარისა. თქვენ ხართ ის რჩეული, რომელიც უფალმა მოჰმადლა ჩვენს მრავალტანჯულ ერს მისი ნათლისაგან და წმიდა ეკლესიისაგან მოსაბრუნებლად.

თქვენი უწმიდესობის ქადაგებაში მუდამ გამოსჭვივის სიბრძნე და სარწმუნოება დავით მეფესაღმუნისა: „არა თუმიცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი“ (ფსალ. 126,1). ამ ჭეშმარიტებით მოძღვრავთ თქვენთვის მონდობილ ერს და, როცა კი ღვთის მორჩილებას მიუჩვეველსა და მცირედ მოწმუნეს, ეური არ მიუგდია თქვენი დარბილებისათვის, მუდამ უწვნევია მარცხის სიმწარე..

მაგრამ თქვენ, როგორც ჭეშმარიტ მწეემსმთავარს, მოძღვარს და მამას ერისას, „არა გაქუს ცელმწიფება ბოროტისა, არამედ შენდობისა“. მოთმინებით მოელით მონანულს და ბუნებით იქცევით ისე, ვითარცა იტყვის უფალი: „წეალობად მნებავს და არა მსსუერზლი, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათე, 9,13). თქვენს ღოცვასა და მოწეაღე მოთმინებას ადრე თუ გვიან ცოდვილნი მოუყვანია და კიდევაც მოიყვანს სინანულად.

ამ ოცდასუთი წლის განმავლობაში, რომელსაც თქვენ „მხიანი ღამე“ უწოდეთ (რადგან „ერთი მსრივ, წევდიანი და მწუნარებაა, მეორე მსრივ კი – უფლის მადლი“, რომელსაც ნიადავ გრძნობთ), უძძიმეს საპატრიარქო ჯვარს ზიდავთ, ჯვარს ერისას და ეკლესიისას.

თქვენ ერისა და ეკლესიის – სორციელი კეთილისა და სულიერი კეთილის – შენივთებითა და შეწავებით იღვწით ქართველი ერის სულიერი ამაღლებისათვის, სარწმუნოების ერთობისა და ეროვნული მთლიანობისათვის. ამ გზაზე არასოდეს გტოვებთ იმედი იმისა, რომ ის „რწმენა, ის სინანული, ის სიუვარული, ის თავმდაბლობა, ის განცდა თვისთა ცოდვათა, რომელსაც ფლობდნენ ჩვენი წინაპარნი, ჩვენს ერში უკუველად გამოვლინდებ“.

გწამდეთ, დიდო ძეუფეო, რომ თქვენი მოციქულებრივი ღვაწლი კეთილ ნაყოფს გამოიღებს და ამიერიდან უკუველად იხარებს უდაბნო ესე, თქუენი, ქრისტეს ნებისმიეოფელი კეთილი მწეემის, ლოცვითა და კურთხევით.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა, ეოვლად ღირსისა მამამთავრისა და დიდისა ძეუფისა ჩვენისა ილია II-ისა – მრავალმცა არიან წეენი!

### **გელათის მეცნიერებათა აკადემია**

**სასულიერო ცხოვრების დასაწყისი**  
**(ზაგორსკიდან მცხეთის სემინარიის რექტორობამდე)**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II 1942 წლის სექტემბერში ქ. ორჯონიკიძის №22 საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე გახდა. ოჯახური ტრადიციიდან გამომდინარე, პატარა ირაკლი დიდ დროს უთმობდა წირვა-ლოცვებს, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა კარგად ესწავლა სასკოლო საგნები. განსაკუთრებით იტაცებდა ისტორია, გეოგრაფია, უცხო ენა. 1952 წლის ივნისში ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილის სახელზე ძაუჯიყაუს (ორჯონიკიძე-ვლადიკავკაზი) 22-ე სკოლის მიერ გაიცა ატესტატი №946415. ახალგაზრდა ირაკლი მოეთათბირა მშობლებს და მიიღო იმ დროისათვის არაორდინარული გადაწყვეტილება, სწავლა გაეგრძელებინა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, სადაც ღვთისმეტყველების შესწავლისათვის საუკეთესო პირობები იყო: გამორჩეული პედაგოგები, მდიდარი ბიბლიოთეკა, სემინარიის ზომიერად მკაცრი შინაგანაწესი. უწმიდესი და უნეტარესი სიყვარულითა და მადლიერებით იხსენებს თავის პედაგოგებს, რომელნიც გამოირჩეოდნენ საოცარი პასუხისმგებლობითა და სტუდენტების მიმართ სიყვარულით. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცული დოკუმენტები სრულ წარმოდგენას გვიქმნის ირაკლი შიოლაშვილის მოსკოვის სასულიერო სემინარიისა და აკადემიაში სწავლის ძირითად მომენტებზე. I კურსის ნიშნების ფურცელი, რომელიც შევსებულია 1953 წლის 11 მაისს, გვამცნობს, რომ ირაკლი შიოლაშვილს

ყველა საგანში აქვს „ფრიადი“. II კურსზე მხოლოდ ბერძნულში აქვს „4“. III კურსზე ყველა საგანში კვლავ „ფრიადი“ აქვს.

მოსკოვის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სემინარიაში ყოველწლიურად ტარდებოდა კონკურსი საუკეთესო თხზულებაში. ირაკლი შიოლაშვილმა I კურსზე სწავლის დროს საკონკურსოდ წარადგინა თხზულება, რომელმაც პირველი ადგილი აიღო. გამარჯვებული დაჯილდოვდა მიტროპოლიტ ფილარეტის ფონდიდან 50 მანეთით, ხოლო ტროიცი-სერგეევის ლავრიდან – 30 მანეთით.

1956–60 წლებში ირაკლი შიოლაშვილი ზაგორსკის სასულიერო აკადემიის სტუდენტი. საპატრიარქო არქივში დაცულია მისი ჩათვლის წიგნაკი (ნიშნების ფურცლები), რომელსაც ხელს აწერენ: აკადემიის ინსპექტორი ვ. სარიჩევი და მდივანი ნ. მურავიოვი. აკადემიის კურსდამთავრებულ მღვდელ-მონაზონ ილიას ყველა საგანში ფრიადი აქვს. სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს ირაკლი შიოლაშვილს კიდევ უფრო გაუმძაფრდა დედაეკლესიისა და სამშობლოს სიყვარული. ამის დასტურია მისი წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი მელქისედეკ III-ისადმი. წერილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ მიმაჩნია მისი სრული სახით წარმოდგენა: „თქვენო უწმიდესობავ! გვაკურთხეთ... აქ, ჩვენ წრეში ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს

ეკლესიის ავტოკეფალია თითქოს დასასრულს უახლოვდება, რადგან: 1) მთელი რიგი ეპარქიები უმოქმედოდაა, მღვდელმთავრის გარეშე და არც არსებობს სათანადო კადრი; 2) ღვთისმსახურების დროს ეკლესიებში მორწმუნეთა დასწრება ერთობ მცირეა; 3) საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არა აქვს სემინარია, გამომცემლობა, საეკლესიო მუზეუმი, წიგნსაცავი, ბიბლიოთეკა.

ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში არ იქნება დაშვებული ახალხელდასხმული ქართველი მღვდელმთავარი (საუბარია ეპისკოპოს ლეონიდე ჟვანიაზე. – ს. ვ.) და რომ მღვდელმთავართა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არაქართველთა შორისაც კი ავრცელებენ უბადრუკ აზრს საქართველოს ეკლესიის ეპარქიების გამსხვილების აუცილებლობის შესახებ.

ხემოთ მოყვანილი ძირითადი პრობლემების ირგვლივ თქვენ მიერ მიღებული ზომები, საქართველოს სსრ მთავრობის თაგმჯდომარესთან შეხვედრის ჩათვლით, ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი მწარე სინამდვილის გამო ვაძლევეთ თავს ნებას, რომ თქვენი ყურადღება მივაპყროთ შემდეგ გარემოებას: საბჭოთა მთავრობის სათანადო დადგენილების საფუძველზე რუსეთის, უკრაინის, სომხეთის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებობს სასულიერო სემინარია-აკადემიები, ხდება ღვთისმსახურებისათვის საჭირო ლიტურატურის გამოცემა, ხატების გამრავლება, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლება. საქართველოს ეკლესიას თუ უპირატესობა არა აქვს, გამონაკლისს მაინც არ წარმოადგენს, მხოლოდ საჭიროა ამ იურიდიული უფლების ადგილობრივი მთავრობის მეშვეობით გამოყენება: საქართველოს სსრ ხელისუფალთ, არსებული წესის დაცვით, მატერიალური შესაძლებლობის ფარგლებში წარედგინოს წერილობითი სახის განაცხადი საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის სასიცოცხლო საკითხების შესახებ და ენერგიულად იქნეს მოთხოვნილი: პირველ რიგში, სემინარიის (არა კურსების) გახსნა, საჭირო

ლიტურატურის გამოცემა, საეკლესიო მუზეუმის, წიგნსაცავის დაარსება, გელათის, წილკნის, ნიკორწმინდის, ყაზბეგის, ანანურის, გორის ეკლესიებში ღვთისმსახურების უფლების აღდგენა-განახლება... საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის მტერსა და ორგულს ჩვენს პირად მტრად ვთვლით, მაგრამ განუხორციელებელი განდიდების სურვილის გამო განაწყენებულნი, პატრიარქის შორსმჭვრეტელი გონების თვალთ და კეთილი ნებით შეიძლება ჩაყენებულ იქნენ საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეო საქმიანობაში...

ქართველი ერის სიამაყე, სიწმიდე და დიდება – „სვეტიცხოველი“ არა მარტო ჩვენი ხალხის, არამედ უცხოელთა ყურადღებასაც იმსახურებს და ამის გამო მის წმინდა მიდამოებში თქვენი ლოცვა-კურთხევით საეკლესიო მუზეუმ-წიგნსაცავის გახსნა ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა. თქვენი მოწოდებით მოსახლეობაში გაბნეული ისტორიული თუ სიძველეთა დაცვის თვალსაზრისით ბევრი დიდმნიშვნელოვანი საეკლესიო დანიშნულების ნივთი, წიგნი, წმიდა ხატები, ჯვარი და სხვა აღმოჩნდებოდა ეკლესიის საკუთრებაში, ე. ი. დაცული იქნებოდა შესაძლებელი განადგურებისაგან. მზად ვართ ამ დიდი საქმისათვის გავიღოთ პირადი ბიბლიოთეკაც. სააღდგომო არდადეგებისათვის შესაძლოა ვეახლოთ თქვენს უწმიდესობას და თქვენი მითითებით და ლოცვა-კურთხევით, არსებული წესის დაცვით სადღესასწაულო ქადაგებებით მივმართოთ მორწმუნე საზოგადოებას. დრმა პატივისცემით გეამბორებით და გამოვითხოვ თქვენს წმიდა ლოცვა-კურთხევას“. ი. შიოლაშვილი, ზაგორსკი, 1957 წლის 12 თებერვალი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმძიმესი მდგომარეობა მოსვენებას არ აძლევდა ახალგაზრდა სტუდენტს და ასეთი თამამი, მაგრამ სამართლიანი განცხადებით მიმართავდა იგი უწმიდესსა და უნეტარესს მელქისედეკ III.

ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს მღვდელ-მონაზონმა ილიამ საკვალიფიკაციო თემად აირჩია „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“. რუსუ-

ლენოვანი მასალების მოძიებისა და დამუშავების შემდეგ იგი შეხვდა ზაგორსკის აკადემიის რექტორს დეკანოზ კ. რუჟიცკის და სთხოვა რამდენიმე თვით საქართველოში წამოსვლის ნებართვა ქართულენოვანი ლიტერატურის სრულად შესწავლის მიზნით. 1959 წლის 4 ივნისითაა დათარიღებული რექტორ კ. რუჟიცკის მომართვა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, ცენტრალური არქივის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სახელზე, რათა მათ თავიანთი დაწესებულებების ბიბლიოთეკების წიგნსაცავებსა და ხელნაწერთა განყოფილებაში სამუშაოდ დაუშვან სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტი ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილი.

მღვდელ-მონაზონმა ილიამ რამდენიმე თვე იმუშავა თბილისის ბიბლიოთეკებში, მიიღო კომპეტენტური რჩევები ქართველი მეცნიერებისაგან. 1960 წლის ივნისში ზაგორსკის აკადემიაში შედგა საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვა. ოფიციალურმა ოპონენტებმა პროფესორებმა ნ. მურავიოვმა და ა. გეორგიევსკიმ მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ნაშრომს. მოსკოვის ზაგორსკის სასულიერო აკადემიის რექტორატმა საგანგებო წერილით მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, უწმიდეს ალექსი I, რათა საუკეთესო ნაშრომისათვის ღვთისმეტყველების კანდიდატი მღვდელ-მონაზონი ილია დაეჯილდოებინა. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცულია მღვდელ-მონაზონ ილია შიოლაშვილის ზაგორსკის აკადემიის მიერ გაცემული წარჩინების დიპლომი, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიის რექტორი დეკანოზი კ. რუჟიცკი, ინსპექტორი არქიმანდრიტი პიტირიმი, მღვივანი ა. ოსტაპოვი.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს: „სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა, მე ვყოფილიყავი დატოვებული აკადემიაში პროფესორთა სტიპენდიატად, მაგრამ ჩემი ერის სიყვარულმა მიმატოვებინა ეს ყველაფერი და მომიყვანა საქართველოში“. იგი ეახლა სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ეფრემ II და ასეთი განცხადებით მიმართა: „თქვენო უწმიდესობავ! გაცნობებთ, რომ 1960 წელს დავამთავრე მოსკოვის სასულიერო აკადემია. გთხოვთ მომცეთ სამსახური, გამგზავნოთ იქ, სადაც თქვენ ცნობთ საჭიროდ“. უწმიდესმა ეფრემ II მღვდელ-მონაზონი ილია დანიშნა ბათუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „1960 წლის 19 დეკემბერს უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II მიერ აღყვანილ ვიყავი ილუმენის ხარისხში, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს – არქიმანდრიტის პატივში. 1963 წლის 25 აგვისტოს ხელდასხმულ ვიქენი შემოქმედელ ეპისკოპოსად და პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1963 წლიდან ვარ მცხეთის სამოძღვრო საღვთისმეტყველო კურსების ხელმძღვანელი“.

ახალგაზრდა მღვდელმთავარი ენერგიულად შეუდგა მცხეთის სამოძღვრო კურსების სასულიერო სემინარიად გადაკეთებისათვის ნიადაგის მომზადებას. აკადემიაში მიღებულმა ფართო განათლებამ მას საშუალება მისცა მაღალ დონეზე დაეყენებინა როგორც დისციპლინის, ასევე სასწავლო პროცესის საკითხები. შემოქმედელმა ეპისკოპოსმა სემინარიაში სამუშაოდ მიიწვია ცნობილი მეცნიერები, შეადგინეს სასწავლო პროგრამები, სალექციო კონსპექტები. სისტემატურად ტარდებოდა პედსაბჭოს სხდომები. იგი სასწავლებელში მომხდარ მნიშვნელოვან ღონისძიებებს უთანხმებდა უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II. „თქვენო უწმიდესობავ, გვაკურთხეთ, ზეგ საშობაოდ სტუდენტებს ვუშვებთ არდადეგებზე. ხვალ, 12 საათზე, ვფიქრობთ პედსაბჭოს მოწვევას. ჩვენთვის მეტად სასიამოვნო და სასარგებლო იქნება, თუ ჩამობრძანდებით და დაესწრებით. ეპისკოპოსი ილია“. უწმიდესი ეფრემ II პედსაბჭოს ყველა სხდომას ესწრებოდა.

მცხეთის სასულიერო სემინარია შემოქმედელი ეპისკოპოსის, ილიას თავდადებული შრომით ღირსეულ სასწავლებლად იქცა. უამრავი პრობლემა და წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. ყოველივე ამის შესახებ

დაუფარავად მოგვითხრობს 1972 წლის 26 მაისით დათარიღებული ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილიას განცხადება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდისადმი: „როგორც მოგესვენებათ, – წერდა იგი, – 1963 წლიდან მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II დიდი შრომითა და მეცადინეობით მცხეთაში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის ხელმძღვანელად მე ვიყავი დანიშნული. ეს იყო ახალი დიდი საქმე, რასაც სჭირდებოდა ენერჯია და გამოცდილება. არც მე და არც მასწავლებლები არ ვიშურებდით ძალას სემინარიის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის. ამ წლების განმავლობაში ჩვენ შევხედით ბევრ წინააღმდეგობას და სიძნელეებს. მიუხედავად ამისა, მაინც შევძელით სასწავლებელი მყარ ნიადაგზე დაგვეყენებინა. მე არ უარვყოფ იმას, რომ სემინარიის კურსდამთავრებულთაგან ყველამ ვერ გაამართლა ჩვენი იმედები და ვერ გამოიჩინა მოძღვრის მაღალი თვისებები... მიუხედავად ზოგიერთი არასასურველი ფაქტისა, ვხედავთ, რომ სემინარიის კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი დღეს თავდადებუ-

ლად ემსახურება საქართველოს ეკლესიას. გულისტკივილით უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში დახმარების მაგივრად მესმოდა მხოლოდ კრიტიკა“.

მცხეთის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულთ რეკომენდაციის საფუძველზე უგამოცდოდ იღებდნენ ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში. ზაგორსკის სასულიერო აკადემია განსაკუთრებით აფასებდა თავის ყოფილ სტუდენტს, აწ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტს. 1978 წლის 16 თებერვალს ზაგორსკის სასულიერო აკადემიამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II აკადემიის საპატიო წევრად აირჩია. მისი უწმიდესობა მოსკოვის სემინარიასა და აკადემიაში გატარებულ სტუდენტობის წლებს ცხოვრების ნათელ პერიოდს უწოდებს და მოსკოვში ყოველი ვიზიტის უამს სტუმრობს ზაგორსკის აკადემიას და ამით კიდევ ერთხელ ადასტურებს სასულიერო პირისათვის, ეკლესიისათვის რამნიშვნელობა აქვს საფუძვლიან განათლებას. მისი უწმიდესობის პატრიარქობის 30-წლიანი ხანა ხომ მეცნიერებისა და განათლების მხარდაჭერის ხანაა.

#### ლიტერატურა

1. საქართველოს საპატრიარქო არქივი. საქაღალდე №1264, დოკ. 8265.
2. საქართველოს საპატრიარქო არქივი. კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III ფონდი. №2718
3. საქართველოს საპატრიარქო არქივი. ფ. 1264. დოკ. №8265.
4. იქვე, გვ. 8.
5. იქვე, გვ. 10.
6. საქართველოს საპატრიარქო არქივი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II საქაღალდე №1264. დოკ. 2265.
7. საქართველოს საპატრიარქო არქივი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II საქაღალდე №1264. დოკ. 2265, გვ. 15.
8. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქაღალდე 1264. დოკ. 2265

**საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის  
საბარეო ურთიერთობები 1977–2007 წლებში**

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და პირველი საეკლესიო კრების მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად კირიონ II არჩევის შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II დაიწყო სერიოზული მუშაობა, რათა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ მსოფლიოს მკაფიო წარმოდგენა შექმნოდა, რა მოხდა საქართველოში და არ აღმოჩენილიყვნენ რუსეთის საპატრიარქოს მიერ გავრცელებული ტენდენციური ინფორმაციების ტყვეობაში. პირველ ყოვლისა, იყო სურვილი რუსეთის ეკლესიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა, მაგრამ 1917 წლის აგვისტოში რუსეთის ახალარჩეულმა პატრიარქმა ტიხონმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალ იერარქებს მცხეთაში 1917 წლის 12 (25) მარტს მიღებული დოკუმენტის გაუქმებისა და სინანულისაკენ მოუწოდა, ამიტომ 25 წლის მანძილზე საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ევქარისტული კავშირი არ არსებობდა.

1943 წლის 31 ოქტომბერს დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ რუსეთის პატრიარქმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, 1917 წლის 12(25) მარტის სვეტიცხოვლის დამოუკიდებლობის აქტის კანონიერება და მრევლისადმი მიმართვაში დაადასტურა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან

ევქარისტული კავშირის აღდგენა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დოკუმენტს ხელს აწერენ: პატრიარქი სერგი, სინოდის მუდმივი წევრები: მიტროპოლიტები ალექსი, ნიკოლოზი, მთავარეპისკოპოსები ანდრეი, ალექსი, იოანე.

საქართველოში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით 1946 წელს ჩამობრძანდა რუსეთის პატრიარქი, უწმიდესი ალექსი I, 1958 წელს იგი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში, 1945–48 წლებში უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე სტუმრობდა მოსკოვს. 1951–70-იან წლებში მოსკოვში არაერთხელ ჩატარდა საბჭოთა კავშირში არსებულ რელიგიურ კონფესიათა მეთაურების შეხვედრა, სამშვიდობო კონფერენციები. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები: მელქისედეკ III, ეფრემ II, დავით V, ილია II. რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის არსებული ყველანაირი გაუგებრობა წარსულს ჩაბარდა.

1977 წლის 25 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი ამ სიტყვით მიესალმა საქართველოს ეკლესიის მეთაურს: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, აღსავსე უღრმესი პატივისცემით თავისი ერთმორწმუნე, მოძმე ქართული ეკლესიისადმი, გულით ხარობს ამ

უწმიდეს ტაძარში გამეფებული სიხარულითა და ზეიმით. ეს სიხარული წმინდაა და ნათელი, ჩვენც სიხარულმა მოგვიყვანა აქ, რათა ერთხელ კიდევ დავუდასტუროთ კეთილმორწმუნე ქართველ ერს და მის ღირსეულ მწყემსმთავარს სრულიად რუსეთის სამწყსოს სიყვარული“. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II პატრიარქ პიმენის ამ პოზიციას პატივისცემითა და რუსეთის ეკლესიისადმი სიყვარულით პასუხობდა. 1978 წლის მაისში მან მონაწილეობა მიიღო რუსეთში პატრიარქობის აღდგენიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში. აქ იგი შეხვდა და მომავალი ურთიერთობების გადრმაგების საკითხებზე ესაუბრა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებს, მიტროპოლიტებს მელიტონსა და ბართოლომეოსს (ახლანდელ მსოფლიო პატრიარქს), იერუსალიმის ეკლესიიდან – მიტროპოლიტ გერმანეს, რუმინეთის ეკლესიიდან – მიტროპოლიტ თეოქსტიტეს (ახლანდელი პატრიარქი), ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს, ელადის ეკლესიის წარმომადგენელს მიტროპოლიტ ვარნავას, კვიპროსის ეკლესიის მეთაურს მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსს, ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის მეთაურს დოროთეს, პოლონეთის ეკლესიის მეთაურს მიტროპოლიტ ვასილის, ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს მთავარეპისკოპოს თეოდოსს, სომხური ეკლესიის მეთაურს პატრიარქ-კათოლიკოს ვაზგენ I. მიესაღმა რა რუსეთის ეკლესიის მეთაურს, უწმიდეს პიმენს, მან აღნიშნა: „რუსული ეკლესიის ათასწლოვანი ისტორია ეს არის ქრისტეს ჯვრისმტვირთველობის ათასწლოვანი გზა, ეს არის წმინდანთა დასები, ეს არის ქრისტიანული სიყვარული, ეს არის ბრძოლა ჭეშმარიტი რწმენისა და მამულისათვის, ეს არის სულიერ ფასეულობათა შექმნა და ზრუნვა მათი შენარჩუნებისათვის“. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყოველთვის პატივისცემით იხსენიებდა რუსეთის პატრიარქებს: უწმიდეს ალექსი I, უწმიდეს პიმენს. მან 1990 წელს პატრიარქ პიმენის დაკრძალვაზე ასე დაახასიათა იგი: „როდუ-

საც ჩვენ უწმიდესი პატრიარქის – პიმენის ცხოვრებას შორიდან ვუყურებთ, ვხედავთ მხოლოდ მის სიდიადეს, გვახსენდება სადღესასწაულო ღვთისმსახურებანი, წირვა-ლოცვანი, მაგრამ ვერ ვხედავთ იმ მძიმე განსაცდელსა და დევნას, რომელიც მან გადაიტანა, ვერ ვხედავთ იმ თავგანწირულ მსახურებას, მის უძილო, ღოცვით გათენებულ ღამეებს, მის ცრემლებსა და ტანჯვას, იმ მძიმე ჯვარს, რომელიც მას თავისი მხრებით მიჰქონდა“. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ახალარჩეულ პატრიარქ ალექსი II ტრადიციული მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა შესთავაზა.

XX საუკუნის 90-იან წლებში ბოლშევიკების მიერ მოდერნიზებული რუსეთის საბჭოთა იმპერია – საბჭოთა კავშირი დაიშალა. ეს პროცესი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა. რუსეთის პოლიტიკური წრეების წაქეზებითა და მხარდაჭერით გაძლიერდა სეპარატისტული ტენდენციები საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რუსეთმა, ფაქტობრივად, მოახდინა ამ ტერიტორიების ანექსია, თუმცა საერთაშორისო საზოგადოებას ჯიუტად უმტკიცებს, რომ იგი რეგიონში იცავს მშვიდობას და სტაბილურობას, იმ ფონზე, როდესაც 300 000 ქართველი გამოძევებულია აფხაზეთის ტერიტორიიდან, 14 000-ზე მეტი კი მოკლულია საკუთარ მიწა-წყალზე, დახვრიტეს მღვდელი მამა ანდრია, დაარბიეს ეკლესიები. სამწუხაროდ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავის ბუნდოვან განცხადებებში თითქოს გმობდა ძალადობას, მაგრამ ამ ყველაფერში ირიბად ქართველებს ადანაშაულებდა. რუსეთის პატრიარქმა ალექსი II თბილისში ყოფნისას თავი აარიდა ამ პრობლემებზე მსჯელობას. ცხუმ-აფხაზეთისა და ცხინვალის ეპარქიებიდან სეპარატისტების მიერ გამოძევებულია ქართველი სამღვდლოება, ამ დროს რუსეთის ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს გვერდის ავლით ცდილობს იქ რუსი სასულიერო პირების დამკვიდრებას და ამას ამართლებს მოსახლეობის

რელიგიური მოთხოვნებით. ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომ როგორც რუსეთის სახელმწიფო, ასევე ეკლესია საჯაროდ აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას, მაგრამ სინამდვილეში პირიქით იქცევიან. ამ მხრივ თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ცხინვალის სეპარატისტული შეიარაღებული ფორმირების აღდგომზე რუსეთის ვლადიკავკაზის ეპარქიის წინამძღოლი მონაწილეობს?! რუსეთის „პატრიოტ მეცნიერთა“ წრეებში გაჩნდა მოსახრებანი ახალი ათონის მონასტრის რუსეთის ეკლესიისათვის დაბრუნების აუცილებლობის შესახებ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II მკაცრად გმობს ყოველივე ამას. რუსეთის პატრიარქ ალექსი II-სადმი გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავს: „მე მივიღე საკმაოდ უცნაური და გაუგებარი წერილი და აუცილებლად მივიჩნიე იგი გამეცნო თქვენთვის, მით უმეტეს, იგი რუსული და ქართული ავტოკეფალიური ეკლესიების ურთიერთობებს ეხება... უპირველეს ყოვლისა, გვაოცებს, რატომ ერევიან მეცნიერები ორი ძმური ავტოკეფალიური ეკლესიის ურთიერთობაში, ვინ მისცა მათ ამის უფლებამოსილება. მე არ ფიქრობ, რომ ეს თქვენგან მიეცათ. მტკიცება ახალი ათონის მონასტრის რუსეთის ეკლესიისათვის დაბრუნებისა იმ მოტივით, რომ იგი რუსი ოსტატების, რუსი ხალხისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხარჯებით მოხდა, არასწორია. მე შემიძლია მრავალი მაგალითი მოვიყვანო იმის თაობაზე, რომ ბევრი ქართული ტაძარი და შენობა მოსკოვში, პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში ქართველი მეფეებისა და თავადების მიერ არის აშენებული. ჩვენ რომ დღეს ერთმანეთს მსგავსი პრეტენზიები წაუყენოთ, ეს არ შეუწყობს ხელს ჩვენი ხალხებისა და ეკლესიების მეგობრობას. გარდა ამისა, მინდა შეგახსენოთ, 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ როდესაც აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, საქართველოში არსებული ყველა რუსული სამწ-

ესო და მონასტერი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას გადაეცა“. პატრიარქმა ასევე მკაცრად დაგმო ვლადიკავკაზისა და სტავროპოლის მიტროპოლიტის გედეონის მცდელობა „სამხრეთ ოსეთის ხალხისათვის სულიერი დახმარების აღმოჩენის შესახებ“ და დასძინა: „უპირველეს ყოვლისა, მეუფე გედეონმა ალბათ უნდა იცოდეს, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საქართველოს უძველესი ტერიტორიაა, თავისი განცხადებით იგი მტრობას თესავს არა მხოლოდ ქართველებსა და ოსებს, არამედ ქართველებსა და რუსებს შორისაც“. სამწუხაროდ, რუსეთის ეკლესიამ მკაფიოდ ვერ გასცა პასუხი, თუ რატომ ხდება ყოველივე ეს, ვერც 1992 წლის ოქტომბერში, როდესაც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მიმართა რუსეთის პატრიარქ ალექსი II და სთხოვა, გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი აფხაზეთში დატრიალებული სისხლისღვრის შესაჩერებლად, და ვერც შემდგომ. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაში ყველაზე რთული არც ამოუცნობი ნიშნის თვითმფრინავებით საქართველოს მოსახლეობაზე ტერიტორიების პერმანენტული დაბომბვა, არც ეკონომიკური ბლოკადა და არც ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა აღმოჩნდა, არამედ 2006 წლის შემოდგომაზე ქართველთა დამამცირებელი დეპორტაცია რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან და ეთნიკური ნიშნის მიხედვით მათი დევნა.

შეიძლება ითქვას, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა საშიშ ზღვარს გადასცდა. ამ ვითარებაში რუსეთის საპატრიარქოს მიერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მიწვევა მოსკოვში მართლმადიდებელი ენციკლოპედიის მე-13 ტომის პრეზენტაციაზე დასასწრებად სცილდებოდა ენციკლოპედიის პრეზენტაციის ფარგლებს. ვიზიტი 2007 წლის 1-5 მარტს შედგა. პატრიარქი ამ დროს საქართველოს საერო და სასულიერო წინამძღოლი იყო. მრავალრიცხოვანი ქართული დელეგაცია ფიქრობდა, მსჯელობდა, როგორი შედეგები ექნებოდა ამ ვიზიტს. ყველა დელეგატი, მშვიდად მხოლოდ მისი უწმიდესობა იყო.

მან პირველსავე ოფიციალურ შეხვედრაზე მკაფიოდ განაცხადა: „ჩვენ ჩამოვედით ფრიად საპასუხისმგებლო დროს, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები საგრძნობლად გართულდა... ვიმედოვნებთ, რომ ეს ურთიერთობები უახლოეს მომავალში გაუმჯობესდება და მივხვდებით, რომ მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები უნდა იყოს სტაბილური და მეგობრული. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. არსებობს შესანიშნავი ბრძნული გამონათქვამი: დილით, ამომავალ მზეზე ადრე ხედავ მეზობელს ... საქართველოს სჭირდება ერთიანი მეგობრული რუსეთი, მასაც უნდა სჭირდებოდეს ერთიანი მეგობრული საქართველო...“.

პატრიარქმა 4 მარტს მოსკოვის მაცხოვრის საკათედრო ტაძარში უწმიდეს ალექსი II-სთან ერთობლივი ღვთისმსახურების შემდეგ მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: „პრობლემები, რომლებიც წარმოიშვნენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ღვთის მადლით გადაწყდება ქართული სახელმწიფოს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიადში, ხოლო არჩევნები, რომელიც დღეს ტარდება აფხაზეთში, საიდანაც 300 000 მკვიდრი მცხოვრები გამოძევებულია, არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად“. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ პოლიტიკა რთული ხელოვნებაა, მაგრამ, როგორც აზვირთებულ ოკეანეში გემის ბრძენ წინამძღოლს შეუძლია მისი სამშვიდობოზე გაყვანა, მის უწმიდესობას შესწევს ძალა ურთულეს დიპლომატიურ ლაბირინთებში მშვიდად გაიაროს, თავისი ქვეყნისა და დედაეკლესიის ინტერესები დაიცვას ტაქტითა და ღირსებით.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური 1917–18 წლებში უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობის დამყარებას. 1811 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია,

კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან გაწყდა მრავალსაუკუნოვანი კავშირი. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II მსოფლიო პატრიარქს, ბასილი III წერილში მოკლედ მოუთხრობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიას 1811–1917 წლებში, ავტოკეფალიის აღდგენას და აცხადებდა: „გულისხმა ვყავ ბრძანებასა მოციქულისა-სა თანახმად ერთობისა მას სულისასა საკვირველითა ... სიყვარულით მოგიკითხავ უნეტარესო მამაო და წრფელითა გულისითა გითხრა: „ქრისტე არს ჩვენ შორის“, ღვაწლი ჩემდა იქნების დაცვაი დოღმატთა მართლმადიდებლობისათა, რომელთა არცა გამცემელ ყოფილ არს ეკლესიაი ჩვენი, გზად ჩემდა იქმნების ზრუნვაი კეთილდგომისათვის წმიდათა ღმერთისა ეკლესიათა და კეთილი წარმატებისათვის ერისა ჩემისა ზღუდელ ჩემდა იქმნების კანონნი“.

კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო რუსეთის ეკლესიის გავლენით ერიდებოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობას XX საუკუნის 20-60-იან წლებში. ერთადერთი შემთხვევა 1928 წელს უკავშირდება, როდესაც მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ახალ სტილზე გადასვლის გამო მხარდაჭერა სთხოვა. ბოლშევიკური მმართველობის ხანაში სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან პირადი კონტაქტები გაძნელებული იყო. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო საბჭოთა კავშირის მიერ მტრულ სამხედრო ორგანიზაციად აღიარებული „ნატოს“ წევრი ქვეყნის, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ოფიციალური ხელისუფლება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობას უკრძალავდა. დღეს ხშირად კამათობენ იმის შესახებ, თუ რამდენად იყო გამართლებული 1962 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ II თანხმობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესახებ. ამ ორგანიზაციის ეგიდით მოწყობილ სამშვიდობო

ფორუმზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება, მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებისათვის მკაფიოდ განემარტათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის არსი და მოეთხოვათ მათგან ამ ავტოკეფალიის აღიარება. 1963 წელს შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია მონაწილეობდა კუნძულ როდოსზე მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლების შეხვედრაში, სადაც საქართველოს ეკლესია ყველაზე ახალგაზრდა ავტონომიურ ეკლესიად გამოაცხადეს. ამას მოჰყვა მეუფე ილიას მწვავე რეაქცია. მან განუმარტა დამსწრეთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის უძველესი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესია და მოითხოვს შესაბამის პატივისცემას. როდოსიდან დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა ილიამ ვრცელ მოხსენებით ბარათში უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II აუხსნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ირგვლივ შექმნილი ვითარება. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II მას დაავალა ემუშავა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის, მეცნიერებთან თანამშრომლობით მოეძია ავტოკეფალიის ისტორიული მტკიცებულებანი.

დაიწყო ამ მიმართულებით დაძაბული მუშაობა. 1970 წლის 2 მარტს უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II სამუშაო დღიურში ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი ჩვენს ეკლესიასთან არ არის კეთილად განწყობილი, ცნობილმა ვიდაცამ (?) ყურში ბორცვად ჩაუჩურჩულა, ჩვენს პატრიარქობას არ ცნობს... ჩვენ ჩვენს გზას ვაგრძელებთ“.

მსოფლიო საპატრიარქოსთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე ინტენსიური მოლაპარაკებები გაგრძელდა უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ღოცვა-კურთხევით. 1978 წლის 1-4 ივნისს პატრიარქის მოწვევით თბილისში იმყოფებოდა მსოფლიო საპა-

ტრიარქოს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართოლომეოსი (ახლანდელი მსოფლიო პატრიარქი), შვედეთის მიტროპოლიტი პავლე. საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა პირველი სერიოზული მოლაპარაკება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარების საკითხებზე. 1978 წლის 16 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II საპატრიარქო რეზიდენციაში შეხვედრა მოუწყო ქართველ მეცნიერებს. შეხვედრას ესწრებოდნენ პროფესორები: მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, ო. ჯაფარიძე, პ. ზაქარაია, შ. ლომსაძე, ი. სინარულიძე, გ. მაშუღია, ნ. ასათიანი, რ. სირაძე, ა. ბოგვერაძე, დ. გოგოლაძე, თ. ბერაძე, ი. ლოლაშვილი, ბ. ლომინაძე. უწმიდესმა და უნეტარესმა ქართველ მეცნიერებს სთხოვა ინტენსიურად ემუშავათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაზე. მანვე აღნიშნა, რომ უმოკლეს დროში გადასაჭრელია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხი და ჩვენი ამოცანაა, მყარი ისტორიული მტკიცებულებების მქონე საბუთებით დავუმტკიცოთ ბერძნულ საპატრიარქოებს, რომ ჩვენი ეკლესიის მეთაური V საუკუნიდან კათოლიკოსის, ხოლო XI საუკუნიდან კათოლიკოს-პატრიარქის წოდებას ატარებდა. მეცნიერებმა აღუთქვეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესების დასაცავად. უმოკლეს დროში შეიქმნა ნ. ლომოურის, ბ. ლომინაძის, ვ. კიკნაძის, დ. გოგოლაძის, ა. ბენდიანიშვილის ნაშრომები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე.

1979 წლის 2-8 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II თანმხლებ პირებთან ერთად სტამბოლში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრი-

არქის, უწმიდესი დიმიტრიოსის მიწვევით. „თითქმის რვაასი წელია, რაც კონსტანტინოპოლში არ ყოფილა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, – განაცხადა მისმა უწმიდესობამ, – ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა და ღვთის ღოცვა-კურთხევით ჩამოვედი ამ ქალაქში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო ცენტრი ეკლესიური, კულტურული და სამეცნიერო ცხოვრებისა და მოღვაწეობისა... ჩვენი ეკლესია მუდამ გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება მსოფლიო საპატრიარქოს, ის მუდამ უნდა ყოფილიყო იმ ძალად, რომელიც დააკავშირებდა ავტოკეფალიურ ეკლესიებს“. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეხვდა მსოფლიო საპატრიარქოს მმართველ მღვდელმთავრებს, გაიმართა აზრთა გაზიარება მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობის საკითხებზე. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II შეხვედრაზე ასეთი განცხადება გააკეთა: „როდესაც წერილს ან მილოცვას გვიგზავნის კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, სწორად არ არის მოხსენიებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ისე როგორც წოდებულია V საუკუნიდან ... საეკლესიო ფორუმებსა და კონფერენციებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონიერად უნდა იკავებდეს თავის ადგილს... როცა ხდება კუთვნილი VI ადგილის დარღვევა, ეს გავლენას ახდენს საქართველოს ეკლესიაზე და მის ავტორიტეტზე მთელ მსოფლიოში... ჩვენ გვსურს, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს... არ ვითხოვთ ახალი რამის მოცემას ან დამტკიცებას, ჩვენ გვინდა აღვადგინოთ წინანდელი მდგომარეობა, რომელიც, სამწუხაროდ, 1811 წელს დაკარგეთ“. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სახელით გამოსულმა ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა აღუთქვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, რომ ეს საკითხები დადებითად გადაიჭრებოდა დასაბუთებული ისტორიული მასალების საფუძველზე. დაძაბული მოლაპარაკებები გაგრძელდა 11 წელი. საქართველოს მართლმადიდებ-

ლი ეკლესია ავტოკეფალიისა და დიპტიხის საკითხებში არავითარ კომპრომისს არ ცნობდა. 1982 წლის 3 ივლისს მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერდნენ უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 13 მღვდელმთავარი, ნათქვამი იყო: „თუ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო სადავოდ მიიჩნევს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ადგილს დიპტიხში, იმ შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქოს გაუჭირდება მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მოწყობილ ღონისძიებებში“.

საქართველოს საპატრიარქომ გააპროტესტა 1981 წელს საბერძნეთისა და კვიპროსის ეკლესიების მიერ შედგენილ კალენდარში საქართველოს ეკლესიის მე-6 ადგილზე მოუხსენებლობა. მის უწმიდესობას მოუბოდიშეს, რომ იძულებულნი იყვნენ დაეცვათ მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ავტოკეფალიური ეკლესიებისათვის განკუთვნილი რიგი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ქართველ მეცნიერებთან კონსულტაციის შემდეგ მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს დაუგზავნა დასაბუთებული, ისტორიული დოკუმენტებით გაჯერებული წერილები, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიასა და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის მე-6 ადგილს გულისხმობდა. პატრიარქმა მოძმე ეკლესიებისგან წერილობითი მხარდაჭერა მოითხოვა. მისი უწმიდესობის მოთხოვნას დადებითად გამოეხმაურნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, უწმიდესი პიმენი (1982წ. 29. IX), პრადისა და ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი დოროთეოსი (1982წ. 16. VII), ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე (1982წ. 16. V), ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი, უწმიდესი ნიკოლოზ VI (1982წ. 1. IX). მრავალმხრივ საგულისხმო იყო იერუსალიმის პატრიარქის დიოდოროსის პასუხი: „ძმური სიყვარულით მივიღეთ ჩვენთვის ძალზე საყვარელი თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესო-

ბის წერილი, რომელმაც მოგვაგონა და უკან მოგვახედა ეკლესიური ფაქტებისაკენ, გვიჩვენა უძველესი დროიდანვე დადგენილად სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია ...

დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთსულოვნებით საქართველოს მოწამებრივმა, მაგრამ ამავე დროს დიდებულიმა საპატრიარქომ უნდა მიიღოს მისი შესაბამისი ადგილი კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დიპტისში“. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II წერილს დაუყოვნებლივ უპასუხა მსოფლიო პატრიარქმა: „მივიდე და შესაფერისი ყურადღებით გავეცანით ჩვენი წმიდა სინოდის კრებაზე ჩვენთვის ძალზე საყვარელი და სასურველი თქვენი უნეტარესობის და წმიდა სინოდის ძმურ წერილს, რომელიც შეეხება წმიდა დიპტისში თქვენი ეკლესიის ადგილს ისტორიული და კანონიერი მონაცემებით. გაცნობებთ, რომ იგი განსახილველად გადაეგზავნა სინოდის საბჭოს“.

1988 წლის აგვისტოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მოწვევით თბილისში ჩამოვიდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი უწმიდესი დიმიტრიოსი, მოილოცა ქართული ეკლესია-მონასტრები, ხელოვნების მუზეუმში დაათვალიერა ქართული საეკლესიო სიწმინდენი. მსოფლიო პატრიარქი გააოცა ეკლესია-მონასტრებში მრევლის, ძირითადად ახალგაზრდობის სიმრავლემ. საქართველოს საპატრიარქოში წმიდა სინოდის წევრებთან, ქართველ მეცნიერებთან გაიმართა მსჯელობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის ცნობისა და დიპტისში VI ადგილის დაკავების შესახებ. გადაწყდა აღნიშნულ საკითხებზე მოლაპარაკებების გაგრძელება. 1988–89 წლებში საქართველოში ავტოკეფალიის საკითხებზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მიტროპოლიტები: ქრიზოსტომოსი და დამასკინოსი. უწმიდესი და უნეტარესი

ილია II ყველა სიტყვას, რომელიც აღიარების ტექსტში უნდა შესულიყო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მოლაპარაკებები იყო რთული, მაგრამ კონსტრუქციული.

1990 წლის 7 იანვარს (ძვ. სტ. 25 დეკემბერს) მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა წირვის დამთავრების შემდეგ სიონის საპატრიარქო ტაძარში ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიო საპატრიარქოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ. 1990 წლის 4 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსის ხელმოწერით მიიღო ორი სიგელი: „1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“, რომლის თანახმადაც მსოფლიო საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება „ცნოს და დაამტკიცოს საქართველოს წმიდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა“. 2. „დიმიტრიოსის, წყალობითა ღმრთისათა მთავარეპისკოპოსის კონსტანტინოპოლისა, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქის განჩინებით საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებულ იქნეს საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც აღრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში მისი ტიტული – „მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა“. მისმა უწმიდესობამ გულითადი მადლობა მოახსენა მსოფლიო საპატრიარქოს ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის და გამოთქვა რწმენა დიპტისის საკითხის ისევე სამართლიანად გადაწყვეტისა, როგორც ავტოკეფალიის აღიარებისას მოხდა. საქართველო მოუთმენლად ელოდა მისი უწმიდესობის სამშობლოში დაბრუნებას. ერთი წელი სრულდებოდა 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი დღეებიდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მკაფიოდ სვამდა საქართველოს სახ-

ელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. როგორც 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა წინ უსწრებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ისე მოხდა 73 წლის შემდეგაც. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის სიგელებით ხელდამშვენებული პატრიარქი დაბრუნდა სამშობლოში. თბილისის აეროპორტიდან საპატრიარქო რეზიდენციამდე ბედნიერებისაგან აცრემლებული, ერთ მუშტად შეკრული ქართველობა აცილებდა თავის ღირსეულ სულიერ წინამძღოლს. მან 18 მარტს სიონის საპატრიარქო ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში მიულოცა ქართველ ერს ისტორიული დღე და აღნიშნა: „ამჯერად ხელთ გვაქვს ის საბუთები, რომელსაც საქართველო 1500 წლის მანძილზე ელოდა ... ისინი იმდენად დიდი მნიშვნელობის საბუთებია, რომ ვერასდროს, ღვთის წყალობითა და ღვთის ღოცვა-კურთხევით, ვერავინ ვეღარ შეახებს ხელს საქართველოს ეკლესიას“. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა მის უწმიდესობას, მარტო ეს ყყოფოდა ისტორიაში შესასვლელად.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობას ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1991 წლის 29 აპრილს თურქეთის ხელისუფლებამ სტამბოლის მერის მოადგილის მეშვეობით გამოიძახა მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი და მოუწყო დაკითხვა. თურქეთის ხელისუფლება XV საუკუნიდან არცნობს მსოფლიო საპატრიარქოს და კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქებს ადგილობრივი ბერძნული თემის ეკლესიის მეთაურებს უწოდებს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მსოფლიო საპატრიარქოს პატივისა და ღირსების დასაცავად ხმა აღიმადლა, თურქეთის პრეზიდენტ თურგუტ ოზალისადმი გაგზავნილ წერილში დაგმო მსოფლიო პატრიარქის დაკითხვის ფაქტი და გამოთქვა რწმენა, რომ მსგავსი ინციდენტი არ განმეორდებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა გაამხნე-

ვა მსოფლიო პატრიარქი: „საქართველოს საპატრიარქო მუდამ თქვენთან იქნება,“ – განაცხადა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც დემოკრატიული მსოფლიოს რელიგიურ კონფესიათა ლიდერები თურქეთის ხელისუფლების განაწყენებას მოერიდნენ და შექმნილ ვითარებაში დუმილი ამჯობინეს. მსოფლიო საპატრიარქომ მკაცრად დაგმო რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და მოუწოდა რუსეთის საპატრიარქოს, თავი შეიკავოს რელიგიური სეპარატიზმის მხარდაჭერისაგან.

1994 წლის მაისში კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I პატრიარქის რანგში ეწვია საქართველოს. ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ ღირსეული მასპინძლობა გაუწია მას. 2003 წლის 19–24 სექტემბერს მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I კვლავ სტუმრობდა საქართველოს, იმოგზაურა ქუთაის-გაენათის, ხონის, ბათუმისა და სხალთის ეპარქიებში, მოილოცა ქართული სიწმიდეები. სამების საკათედრო ტაძრის დათვალიერების შემდეგ უწმიდესმა ბართოლომეოს I განაცხადა: „ეს ტაძარი იქნება ბეჭედი, დიდი წარმატება თქვენი კათოლიკოს-პატრიარქისა, რომელსაც ბევრი რამ აქვს გაკეთებული, მაგრამ ეს იქნება გვირგვინი მისი მოღვაწეობისა“. პატრიარქმა ბართოლომეოსმა ასევე ბრძანა: „რაც უფრო მეტი პრობლემის წინაშე დგას საქართველო, მით უფრო მეტად იზრდება ხალხის რწმენა და მათი მხურვალე დამოკიდებულება მართლმადიდებლობისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი პრობლემებთან შესაბრძოლდებლად ძალას იღებს შემოქმედი ღმერთისგან“.

მსოფლიო პატრიარქის მიწვევით უწმიდესი და უნეტარესი ილია II არაერთხელ ჩავიდა კონსტანტინოპოლში, ეწვია ისტორიულ კაპადოკიას, მოილოცა ისტორიული საქართველოს, ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები, გაამხნევა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველობა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ალექსანდრიის საპატრიარქოს ურთიერთობები 1917–70-იან წლებში მხოლოდ საახალწლო, საადგომო და საშობაო მილოცვებით შემოიფარგლებოდა. ალექსანდრიის უძველეს ეკლესიასთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაახლოების პროცესი დაიწყო 1976 წლიდან, როდესაც ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI სოხუმში შეხვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარეს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილიას. მიტროპოლიტმა ილიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრიის პატრიარქზე. 1981 წლის 20–31 ივლისს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს. უწმიდესმა და უნეტარესმა ალექსანდრიის პატრიარქთან ერთად მოილოცა საქართველოს მოქმედი ეკლესია-მონასტრები. უწმიდესი ნიკოლოზ VI საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს დაჰპირდა მხარდაჭერას საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. იმ დროს, როცა ქართველი სწავლულებისათვის საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებში მუშაობა აუხდენელი ოცნება იყო, ალექსანდრიის პატრიარქმა განაცხადა: „დიდი სიამოვნებით მივიღებ თქვენ მიერ მოვლინებულ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ალექსანდრიისა და კაიროს სამონასტრო ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს შეისწავლიან და მათ ფოტოპირებს გადაიღებენ“. დარბაზობაზე უნეტარესმა ნიკოლოზ VI ბრძანა: „კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სახე საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ დღეს საქართველოს ეკლესიაში ბატონობს სიბრძნე, სიყვარული, ძლიერება. იგი ძალზე ენერგიულად უძღვება ეკლესიის საჭეს და ღვთის შვილები უფლის მიერ დაკანონებული გზით მიჰყავს“.

1984 წლის 18–30 მაისს უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ალექსანდრიის საპატრიარქოს, მოინახულა ალექსანდრიის სა-

პატრიარქოს სიწმიდეები, მოილოცა წმიდა ეკატერინეს მონასტერი სინის მთაზე, დაათვალიერა მონასტრის უნიკალური ბიბლიოთეკა, სადაც ქართული ხელნაწერი წიგნებიც არის დაცული. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მადლობა გადაუხადა ალექსანდრიის პატრიარქს და აღნიშნა: „ჩვენს ხალხებს დიდი ნიჭი მოჰმადლა უფალმა, ამიტომაც უფრო მძიმე იყო და არის ჯვარი ჩვენი ერებისა, თითქოს საქრისტიანოს საზღვრების დარაჯად დაადგინა უფალმა ისინი, ამიტომაც არიან უმეტესად გვემულნი და ჯვარცმულნი, მაგრამ ღვთის შეწევნით კვლავაც მკვდრეთით აღმდგარნი და ამაღლებულნი“. ალექსანდრიის უძველეს საპატრიარქოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას შორის გულითადი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ალექსანდრიის პაპმა და პატრიარქმა ნიკოლოზ VI განსაკუთრებით შეიყვარა საქართველო. 1981 წლიდან მოყოლებული, იგი ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა საქართველოში. მისი ესოდენი ღტოლვა საქართველოსაკენ ახლობელთა გაცუბასაც იწვევდა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ჩვეული ქართული სტუმარმასპინძლობის წესის დაცვით ხვდებოდა სტუმარს. უწმიდესი ნიკოლოზ VI პოზიციამ გადაამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. 1984 წლის ზაფხულში უნეტარესმა ნიკოლოზ VI ამ სიტყვებით მიმართა ქართველ მრევლს: „მე ალბათ მეტად ვეღარ შეგხვდებით, მაგრამ ღოცვებით მუდამ თქვენთან ვიქნები“, იგი 1984 წლის 9 ივლისს გარდაიცვალა. მისი საქმე განაგრძეს უნეტარესმა პართენიოსმა და პეტრე VII.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიზანი იყო ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ძმური, მეგობრული ურთიერთობის დამყარება, მაგრამ მთავარი მაინც პირველი ოთხი საპატრიარქო იყო: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის. საქართველოს სამოციქულო ეკლესია იერუსალიმისა და ანტიოქიის საპატრიარქოთა წიაღიდან

წარმოიშვა. ქრისტიანული საქართველო მრავალი საუკუნის მანძილზე იერუსალიმთან იყო დაკავშირებული. V საუკუნეში პალესტინაში მოღვაწეობდა პეტრე ქართველი, რომელმაც დააარსა ქართული მონასტერი. აქედან მოყოლებული XIX საუკუნემდე, ქართველები მრავლად იყვნენ წმიდა მიწაზე ქართულ მონასტრებში. ვახტანგ გორგასლის დროს უკვე აშენდა დიდი მონასტერი, რომელიც XI საუკუნის 30–50-იან წლებში განუახლებია ჯვრის მონასტრის სახელით გიორგი – პროხორე – ქართველს. XIV საუკუნეში ქართველები გოლგოთას ფლობენ და მაცხოვრის საფლავის კლიტენი ქართველთა საკუთრებაა. ისტორიულმა ქართველებმა ქართველების პოზიციები შეასუსტა იერუსალიმში, განსაკუთრებით XIX საუკუნეში, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რუსეთის მმართველობაში ტყვეობის ქამს. ყოველი მცდელობა იერუსალიმის საპატრიარქოსთან ურთიერთობის აღდგენისა XX საუკუნის 20–60-იან წლებში უშედეგო აღმოჩნდა, მხოლოდ 1977 წლის შემდეგ დაიწყო იერუსალიმის საპატრიარქოსთან ინტენსიური მოლაპარაკებები. 1980 წლის 30 მაისიდან 5 ივნისამდე მისი უწმიდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იერუსალიმის პატრიარქის ბენედიქტე I მიწვევით იერუსალიმში იმყოფებოდა. მთელი მსოფლიო გააოცა იმ ფაქტმა, რომ ქართველ პატრიარქს აღტაცების შეძახილებითა და ცრემლებით შეხვდნენ ქართველი ებრაელები, რომლებიც გამოხატავდნენ უდიდეს სიყვარულს და პატივისცემას მისი უწმიდესობის და მისი სახით სრულიად საქართველოს მიმართ. ისრაელის რელიგიის საქმეთა მინისტრმა უწმიდესთან შეხვედრაზე განაცხადა: „ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება საქართველოს ებრაელებთან თბილი, მეგობრული ურთიერთობის თვალსაზრისით. საუკუნეთა მანძილზე ამ ურთიერთობებში არ ყოფილა არავითარი გაუგებრობა. მადლობა თქვენ ამისათვის“. ამ ოფიციალურ შეხვედრაზე პირველად დაისვა ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხი. იერუსალიმის პატრიარქ ბენედიქტესთან შეხ-

ვედრაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II განაცხადა: „ჩვენი ჩამოსვლის მიზანია აღდგეს ის ძველი ტრადიციული ურთიერთობანი, რაც გაგვაჩნდა ადრე წარსულში. ჩვენი ქვეყნების ავბედითობამ შეწყვიტა ეს ძმური ურთიერთობა და დღეს კი ვფიქრობ, დადგა დრო, იერუსალიმის ეკლესიამ უნდა შეასრულოს ის დიდი მისია, რაც დედა ეკლესიას ეკუთვნის“. 300 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წმიდა ქალაქ იერუსალიმს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური ესტუმრა.

1981 წლის 17–20 სექტემბერს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა მისი უნეტარესობა, წმიდისა ქალაქისა იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროს I, რომელმაც განაცხადა, რომ ეს შეხვედრა იყო ისტორიული „იმიტომ, რომ პირველად დიდი ხნის შემდეგ ჩვენი ორი ეკლესიის მამამთავრებს კვლავ მოგვეცა ერთობლივი თანამწირველობის შესაძლებლობა“. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ნათლად მიანიშნა იერუსალიმის პატრიარქს ქართველების სურვილზე: „ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება არა მარტო იერუსალიმის, არამედ საქართველოს ეკლესიის ისტორიაშიც. აღდგება ის კურთხეული ტრადიცია, როდესაც ჩვენი ქართველი ბერები კვლავ იმღვავებენ იერუსალიმის წმიდა მიწაზე“. ქართველოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქის პირობას, რომელიც მან კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სტუმრობისას ელენე მეტრეველს მისცა, – ინსტიტუტს მიაწვდიდა ჯვრის მონასტერში დაცული იმ ქართული ხელნაწერების მიკროფილმებს, რომლებიც აქამდე არ იყო შესწავლილი. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის აღდგა ისტორიული ურთიერთობანი.

1987 წლის ოქტომბერში უწმიდესი და უნეტარესი ილია II კვლავ ესტუმრა წმიდა ქალაქ იერუსალიმს. ამ ვიზიტის დროს მსოფლიომ თვალნათლივ დაინახა ისტორიულად ქართველი ერის ტოლერანტობისა

და სხვა ერებისადმი სანიმუშო პატივისცემის ნაყოფი. ქართველი ებრაელები კვლავ დიდი სიყვარულით შეეგებნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. დიდი ხნის წინ თბილისიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, ონიდან, კულაშიდან წასული ებრაელები მოდიოდნენ შვილებით, შვილიშვილებით და აღტაცებულნი ოცავდნენ უმართავდნენ უწმიდესსა და უნეტარესს. იერუსალიმის მთავარმა ჟურნალმა სტატიაში „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II პილიგრიმობა იერუსალიმში“ ასე დაახასიათა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი: „კათოლიკოს-პატრიარქი ილია II არის გულდია, დინამიკური პიროვნება. მან საქართველოს უძველესი ეკლესია, თბილისი, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის ცენტრი, ძველი მცხეთა, როგორც სასულიერო დედაქალაქი, ახალი აყვავების გზით წაიყვანა“

2000 წელს, ქრისტეშობის დიდ დღესასწაულზე მისი უწმიდესობა მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად კვლავ ჩაბრძანდა იერუსალიმში. აღსრულდა პატრიარქის სურვილი, იერუსალიმში უკვე ქართველი ბერები და მონაზვნებიც არიან. ღვთის შეწევნით, წმიდა მიწაზე ქართველებს აქვთ ადგილი, სადაც აშენდება მონასტერი. მართალია, ჯვრის მონასტერი ჯერჯერობით ისევ ბერძნების ხელშია, მაგრამ უფლის შეწევნით დაუბრუნდება კანონიერ მფლობელს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ანტიოქიის საპატრიარქოსთან ისტორიული ურთიერთობის აღდგენა. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV-V სს.) ქართული სამწყსო ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა. ანტიოქიის პატრიარქებს შუა საუკუნეებში პრეტენზია ჰქონდათ ქართულ სამწყსოზე, მაგრამ XI საუკუნის 50-იან წლებში გიორგი მთაწმიდელის დასაბუთებული პასუხების შემდეგ, რომელმაც ანტიოქიის პატრიარქს შეახსენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სა-

მოციქულო წარმომავლობა, ეს პრეტენზიები შეწყდა. XV-XIX საუკუნეებში, მაჰმადიანთა მძლავრობის ხანაში, ანტიოქიის საპატრიარქო, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში მდებარეობდა, უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა, თუმცა, საპატრიარქომ მოახერხა თავის გადარჩენა და აღმოსავლეთის (სირია, ლიბანი) ქრისტიანული ცენტრის ფუნქციის შენარჩუნება. მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის დიდი ავტორიტეტის მქონე ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი უნეტარესი ეგნატე IV 1981 წლის ოქტომბერში ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II საპატრიარქო სტუმარს დაათვალიერებინა თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი. საზეიმო მიღებაზე გამოითქვა რწმენა, რომ ორმხრივი ურთიერთობა, რომელიც ჩვენ ორ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა, კიდევ უფრო გაღრმავდებოდა.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II, როგორც საეკლესიო პოლიტიკის უდიდესმა მცოდნემ, ყოველთვის კარგად იცოდა, რომ მართლმადიდებელ მსოფლიოში ექვსი ბერძნული საპატრიარქო გადამწყვეტ როლს ასრულებდა ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში. გარდა ამისა, საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული სამონასტრო ცენტრების უმრავლესობა ამ ექვსი საპატრიარქოს ტერიტორიაზეა. ამიტომ ჩვენი ეკლესიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ათენისა და სრულიად ელადის, აგრეთვე კვიპროსის ეკლესიებთან მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას. 1976 წლის 17-20 ივნისს, ჯერ კიდევ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია იყო უშუალო მასპინძელი ათენისა და ელადის ეკლესიის მრავალრიცხოვანი დელეგაციისა, რომელშიც 7 მიტროპოლიტი და 11 მღვდელი შედიოდა. მიტროპოლიტი ილიას ასეთი ჩანაწერი აქვს გაკეთებული: „პირველად ერთგვარი ეჭვის თვალით გვიყურებდნენ, იგრძნობოდა რაღაც დაძაბულობა და უნდობლობა ბერძნების მხრიდან, შემდეგ თითქოს გალღვა ყინული... მათ გა-

მოთქვას სურვილი ჩვენთან თანამშრომლობისა, მოითხოვეს სტუდენტების გაცვლა. საქართველოს ეკლესიამ ხელიდან არ უნდა გაუშვას ეს მომენტი. სტუდენტების გაგზავნით მივალწევთ სამ მიზანს: 1. შევიძენთ ბერძნული ენის სპეციალისტებს, 2. ქართული ეკლესია მათი მეშვეობით უფრო დაუკავშირდება ბერძნულ ეკლესიას, 3. ამ სტუდენტების მეშვეობით ჩვენი ეკლესია და ქართველი მეცნიერები დაუკავშირდებიან ათონის ივერთა მონასტერს და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებს“. უწმიდესისა და უნეტარესის მონღომებით ელადის ეკლესიასთან დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. 2002 წელს ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი ჩამოვიდა საქართველოში, შეხვდა ქართველ მეცნიერებს, გამოხატა აღფრთოვანება საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების აღმავლობის გამო და საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების სურვილი გამოთქვა: „ჩვენი დღევანდელი თანამშრომლობა არის უმაღლესი გამოხატულება მოძმე ეკლესიების საჭეთმპყრობელთა ურთიერთობისა და წარმოადგენს ბეჭედს გააზრებული ორმხრივი სიყვარულისა და ურთიერთის მიმართ რწმენისა“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დეაწლითა და ლოცვა-კურთხევით საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ესტუმრნენ: ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე, რუმინეთის პატრიარქი თეოქსიტე, ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის მეთაური დოროთეოსი, ვარშავისა და პოლონეთის მიტროპოლიტი ვასილი, სერბეთის პატრიარქი პავლე, ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურები: ჯერ თეოდოსი, შემდეგ ჰერმანე.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II სტუმრობდა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებს, ხვდებოდა არა მარტო ეკლესიათა მეთაურებს, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ პირებსაც. მისი უწმიდესობა თავის მისასაღმებელ სიტყვას საქართველოს ისტორიის, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უნიკალურობისა და თავისთავა-

დობის რაობის გარკვევით იწყებდა. გასული საუკუნის 70–90-იან წლებში მსოფლიომ ძალიან ცოტა იცოდა საქართველოზე, ქართველ ხალხზე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური იყო ქართველი ერის ის სულიერი წინამძღოლი, რომელსაც ქართველთა ცნობადობის რთული და საპატიო მისია ჰქონდა დაკისრებული. ამ შეხვედრებმა, პატრიარქის საოცარმა პიროვნულმა ხიბლმა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებში კიდევ უფრო აამაღლა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი და განამტკიცა აზრი მისი ისტორიულობის შესახებ. ამიტომ 1990 წელს, როდესაც მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, ყველამ მხარი დაუჭირა და საგანგებო მილოცვები გამოუგზავნა მის უწმიდესობას.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისტორიულად, ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა განსხვავებულ რელიგიურ კონფესიებთან ურთიერთობას, რომელიც ურთიერთპატივისცემის პრინციპებს ეყრდნობოდა. შუა საუკუნეებში მონღოლების, ირანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მეფეები, კათოლიკოს-პატრიარქები ცდილობდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მოკავშირეობით განემტკიცებინათ სახელმწიფოებრიობა და შეურყვნელად დაეცვათ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მიზნებს ემსახურებოდა ქართველ მეფეთა და კათოლიკოს-პატრიარქთა წერილები, რომელიც კათოლიკური ეკლესიის მეთაურებისადმი გაგზავნილი. თავის მხრივ, რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ისარგებლა აღმოსავლეთის ქვეყნების მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით და „პროპაგანდა დე ფიდეს“ ორგანიზაციის მეშვეობით აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გამოგზავნა კათოლიკობის საქადაგებლად მისიონერები, რომელნიც ცდილობდნენ მოსახლეობის დარწმუნებას, თუ მართლმადიდე-

ბლობას დატოვებდნენ და გადავიდოდნენ კათოლიკობაზე, რომის პაპი დაიცავდა მათ ირან-ოსმალეთის ძალმომრეობისაგან.

XV საუკუნის 30-იან წლებში ქართველმა სასულიერო პირებმა ხელი არ მოაწერეს ფერარა-ფლორენციის კრების ოქმს, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკურთან გაერთიანებას ითვალისწინებდა. ბევრი უბედურება გადაიტანა საქართველომ XVI–XIX საუკუნეებში: მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, ეკლესია-მონასტრების რბევა, მაგრამ მტკიცედ შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება. XVI–XVIII საუკუნეებში ირან-ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქართულ მიწა-წყალზე რომის პაპის მიერ გამოგზავნილმა მისიონერებმა მოახერხეს ქართველთა ნაწილის კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადაყვანა ... XIX საუკუნეში რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებაში სომხებმა თავიანთი მომხრეების მეშვეობით იმპერატორ ნიკოლოზ II გამოაცემინეს კანონი, რომლის თანახმადაც ქართველი კათოლიკეები სომხურ ტიპიკონზე უნდა გადასულიყვნენ, ე. ი. გასომხებულიყვნენ. ამ ვითარებაში ქართველი მართლმადიდებლებიც გამოესარჩლნენ ისტორიული ძნელებელობის ჟამს სჯულშეცვლილ თანამოძმეებს. ეს დავა გაგრძელდა XX საუკუნის პირველ მეოთხედშიც.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II წერილი გაუგზავნა რომის პაპს: „განგებამან ღმრთისამან, – აღნიშნავდა უწმიდესი კირიონ II, – არა უცხო ქმნა ეკლესიაი ჩუენი პრომთათვის დიდისა პეტრე და ანდრია პირველწოდებულთა მათ მოწაფეთა ქრისტესათა, რომელთა თესლი უბიწოდ განაბნიეს მართალისა სარწმუნოებისაი ორნატა პრომთა ქართველთა გულისათა, ძმობითა თვისითა წინასწარ მოასწავეს სიყვარული და თვისობაი ორთა ამათ ეკლესიისათაი“. უწმიდესი კირიონ II ესარჩლებოდა ქართველ კათოლიკეებს, რომელნიც იდევნებოდნენ რუსულ-სომხური პოლიტიკის გამო სა-

კუთარ სამშობლოში. „ვსასოებ, ვითარმედ უწმიდესობაი შენი არა უგულებელყოფს ქართველ კათოლიკეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ხასიათს“, – აღნიშნავდა მისი უწმიდესობა. მართლმადიდებელი ქართველი პატრიარქი გამოესარჩლა რა კათოლიკური აღმსარებლობის ქართველებს, რომის პაპს მეგობრობა და თანამშრომლობა შესთავაზა.

საქართველოსა და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიათა შორის ურთიერთობა ეპისტოლარულ ფორმას არ გასცილებია 1917–77 წლებში. 1978 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე) ესწრებოდა რომის პაპის პავლე VI დაკრძალვას, ხოლო 1980 წლის 5–6 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვატიკანში და შეხვდა რომის პაპს. უწმიდესის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „პაპი იოანე პავლე II შემხვდა კარებთან, გადავეხვიეთ ერთმანეთს, ქართულად მივმართე: „ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით გულისთადად მოგესალმებით, საქართველოს ეკლესია დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა იმ ფაქტს, რომ პაპი პოლონელია, მცირე ერის წარმომადგენელი. იგი უფრო გაიგებს მცირე ერების პრობლემებს თანამედროვე მსოფლიოში“. პაპი ყურადღებით მისმენდა (თარჯიმანი თარგმნიდა), შემდეგ სხვა მაგიდასთან მივიდა, საიდანაც მოიტანა რუკების ატლასი, გადაშალა ევროპის რუკა, სადაც საქართველოც ჩანდა. დახედა და მერე მომმართა: „ჩვენი ქვეყნები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავისი წარსულით“. მოხაზა საქართველო და თქვა: სამხრეთით ძლიერი მუსლიმანური ქვეყნებია. მე დაეუმატე: მათგან ბევრი განსაცდელი გვინახავს. პაპს აინტერესებდა ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთობის საკითხები კონსტანტინოპოლისა და რუსეთის საპატრიარქოებთან“.

საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ

დაათვალიერა ვატიკანის ბიბლიოთეკა, პაპის პირადი სამლოცველო, ვატიკანის ღირსშესანიშნაობანი. გადაწყდა ქართველი მეცნიერების დაშვება ვატიკანის არქივებში ქართულ დოკუმენტებზე სამუშაოდ. რომის პაპმა მის უწმიდესობას გადასცა ვატიკანის არქივებში დაცული იმ საბუთების მიკროფილმები, რომელნიც საქართველოს ისტორიას ეხებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II განაცხადა: „ჩვენ ეკლესიების გაყოფის მიუხედავად, ჩვენ ყოველთვის გვქონდა კულტურული, მეცნიერული თანამშრომლობა, ქართული ეკლესია და ქართველი ხალხი შეადგენს იმ დიდ ხიდს, რომელიც აერთიანებდა ევროპისა და აზიის ორ დიდ კულტურას“. გამართლდა უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მოსაზრება – პოლონური წარმოშობის ახალმა პაპმა დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთის ქვეყნებში კომუნისტური იდეოლოგიისა და სოციალისტური სისტემის რღვევის საქმეში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თბილისში გაიხსნა ვატიკანის საელჩო, კავკასიაში – რომაულ-კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო. 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტისა და პატრიარქის მოწვევით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რომის პაპი, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II თბილისის აეროპორტში რომის პაპთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ეს ვიზიტი დიდი მნიშვნელობისაა როგორც საქართველოსათვის, ისე მთლიანად კავკასიისათვის. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II და რომის პაპმა იოანე პავლე II შეიმუშავეს ერთობლივი მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის რეგიონში, საქართველოში, ამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე რეგიონში, რომელიც აერთიანებს ევროპისა და აზიის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს. დღეს ამ რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სიტუაცია მეტად დაძაბულია. ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე მსოფლიო ვალ-

დებულია მოახდინოს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზება გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად“.

რომის ეკლესიასა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას შორის ურთიერთობა ძირითადად პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში ვითარდება, თუმცა 2003 წლის 15 სექტემბერს, როდესაც ვატიკანმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გვერდის ავლით მონინდომა ქართულ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც 17 მუხლისგან შედგებოდა და კათოლიკური ეკლესიის უფლებების გაფართოებისკენ იყო მიმართული, საქართველოს საპატრიარქომ სპეციალური განცხადებით გააპროტესტა იგი და აღნიშნა, რომ ვატიკანს ასეთი ხელშეკრულება არც ერთ მართლმადიდებელურ სახელმწიფოსთან არა აქვს გაფორმებული. ხალხი ქუჩაში გამოვიდა, ხელისუფლება იძულებული გახდა, ხელშეკრულება აღარ გაეფორმებინა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია პატივს სცემს იმ ქართველ თანამემამულეთა რელიგიურ გრძნობებს, რომელთა წინაპრებიც ისტორიული ძნელებლობის უამს კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდნენ, მაგრამ არასოდეს დახუჭავს თვალს რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელთა აქტიურ პროზელიტიზმის პოლიტიკაზე და მოთმინებით შეახსენებს თავის თანამემამულეებს, რომ ძნელებლობა იყო მათი წინაპრების კათოლიკობაზე გადასვლის მიზეზი, რომ ერთიანი ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების საფუძველი საქართველოში ყოველთვის იყო მართლმადიდებლური სარწმუნოება და ეკლესია.

მრავალსაუკუნოვანია ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა. ამ ურთიერთობებში ნეგატიურს პოზიტიური სჭარბობს. VII საუკუნის დასაწყისიდან ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მოხდა ევქარისტული კავშირის შეწყვეტა, ვინაიდან სომხურმა ეკლესიამ არ მიიღო 451 წლის ქალკედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი. მიუხედავად ამისა, ქა-

რთველი და სომეხი ხალხი ერთად იბრძოდა არაბი, თურქ-სელჩუკი, ლანგ-თემურის, ირანელი და ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ. შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფო და ქართველი მეფეები – ბაგრატ IV, დავით IV, გიორგი III, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე I, ვახტანგ V, ვახტანგ VI, ერეკლე II, თეიმურაზ II – ყოველნაირად ეხმარებოდნენ მტრებისაგან შევიწროებულ სომეხებს. XVI–XVIII საუკუნეებში ირანი და ოსმალეთი თუ მართლმადიდებელ ქრისტიანებს სასტიკად დევნიდნენ, სამაგიეროდ, სრულ თავისუფლებას აძლევდნენ კათოლიკეებსა და მონოფიზიტ სომეხებს, რითაც ისარგებლეს ენშიაძინის სომეხთა კათოლიკოსებმა და დაიწყეს რელიგიური ექსპანსია საქართველოში. მათ აქ მითვისეს მრავალი ეკლესია-მონასტერი და გადააკეთეს სომხურ ყაიდაზე. XVI–XVIII საუკუნეებში ქართველთა გასომეხება ძირითადად ოსმალთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხდებოდა. XIX საუკუნეში კავკასიაში დამკვიდრებულ რუსებს ყველაზე საიმედო დასაყრდენად სომეხები მიაჩნდათ და ხელს უწყობდნენ ქართველი მაჰმადიანების თავისი მიწა-წყლიდან გაძევების ხარჯზე თურქეთიდან სომეხების გადმოსახლებას (ძირითადად, სამცხე-ჯავახეთში). XIX საუკუნეში ორი სომხური საკათალიკოსო (ენშიაძინი, კილიკიის) და ორი სომხური საპატრიარქო (იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი) დიდი სომეხეთის აღდგენის იდეით იყო გატაცებული. თუ ეს ვერ მოხერხდებოდა ოსმალეთის იმპერიის ხარჯზე, მაშინ საქართველოს ახალ სომეხთად გადაქცევა იყო აუცილებელი. ამიტომ XIX საუკუნეში კავკასიის ცენტრად გამოცხადებულ თბილისში დატრიალდა სომხური კაპიტალი სომხური მრავალრიცხოვანი დიასპორით. ისარგებლეს რა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით და რუსი ეგზარქოსების ხელშეწყობით, კიდევ უფრო გაძლიერდა რელიგიური ექსპანსია, ქართველთა გასომეხება, რომლის წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს: ივანე გვარამაძემ, მიხეილ თამარაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა,

ეპისკოპოსმა კირიონმა, ვაჟა-ფშაველამ... მიუხედავად ამისა, ქართველობამ მაინც გაუწოდა დახმარების ხელი სომეხებს 1914–18 წლების პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ოსმალეთში დატრიალებული მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ჟამს და ათასობით ლტოლვილი შეიფარა ... 1917 წლის 25 სექტემბერს თბილისში ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის, გევორქ V (თბილელის) დეკრემო მოვიდა. იგი უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II ულოცავდა კათოლიკოს-პატრიარქად არჩევას.

საქართველოს ეკლესია თვლიდა, რომ კონფესიური სხვაობის მიუხედავად, სომხურ სამოციქულო ეკლესიასთან ნორმალური ურთიერთობა აუცილებელი იყო. უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II წერილით მიმართა ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გევორქ V. ეს წერილი, ერთი მხრივ, მაღალი დიპლომატიისა და, მეორე მხრივ, მართლმადიდებელი პატრიარქის განსხვავებული კონფესიის ეკლესიის მეთაურისადმი დამოკიდებულების ბრწყინვალე ნიმუშია. უწმიდესი კირიონ II სწერდა: „მიმოვიხილა გარემოსა ჩემსა და თვალთა გონებისა ჩემისა შევაცნებ ღვთისმოსიშსა ერსა ზედა ჰაიკანისასა ძმური ნათესაობით ქართლოსიან-ჰაოსიანთა... მოგიკითხავ უწმიდესო მეუფეო, რათა წრფითა და ღვაწლითა ჩუენითა აღდგენილ იქნას ერთობა ჩვენდამი რწმუნებულთა ერთა. ერთობას ვიტყვი არა სარწმუნოებრივ-დოგმატურსა, არამედ მოქალაქეობრივ-განმანათლებლობისას, რათა დაემყაროს ჩუენ შორის ძმობაი და ურთიერთს გულისხმავეყოთ. და რაითა სამშობლოს შინა ჩუენსა დაამკვიდროს სასუფეველი ღმრთისაი“. 1922 წელს თბილისში ჩამოვიდა აქ დაბადებული და თბილისის ნერსესის სახელობის სომხური სემინარიის ყოფილი სტუდენტი კათოლიკოსი გევორქ V, შეხვდა და ქართულ ენაზე ესაუბრა უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის.

1923–40-იან წლებში სომხურ-ქართული საეკლესიო ურთიერთობა ეპისტოლარული ხასიათისა იყო. 1945 წლიდან ინტენსიური გახდა ურთიერთობები უწმიდეს კალისტრატესა და თბილისის სომხური ეპარქი-

ის ყოფილ ეპისკოპოსს, იმხანად ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გეგორქ VI შორის. სომეხური ეკლესიის ახალი მეთაური, კათოლიკოსი ვაზგენი ხშირად სტუმრობდა საქართველოს. გასაოცარი იყო მისი ინტუიცია და დიპლომატიური ნიჭი. უკვე 1961 წლიდან იგი საახალწლოდ მისალოც ბარათებს უგზავნიდა ჯერ იღუმენ, შემდეგ არქიმანდრიტ და მღვდელმთავარ ილია შიოლაშვილს. ვაზგენ I 1962 წელს პირველად შეხვდა არქიმანდრიტ ილიას და განჭვრიტა მისი დიდი მომავალი. 1977 წლის 25 დეკემბერს კათოლიკოსმა ვაზგენ I მცხეთაში განაცხადა: „ქართული ეკლესია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ძეგლია... ძეგლი, რომელიც ქართველი ერის სულს განასახიერებს. მე მწამს ამ სულის უკვდავება, როგორც მწამს უკვდავება თვით ქართველი ერისა“. 1978 წლის 12-14 მაისს უწმიდესი და უნეტარესი ილია II სომხეთს სტუმრობდა. ეჩმიაძინში კათოლიკოსმა ვაზგენ I თავის ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენთან იმყოფება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ახალი არჩეულია პატრიარქად. ამ პოსტისთვის საგრძნობლად ახალგაზრდაა, მხნე, ჯან-ღონით სავსე და, რაც მთავარია, დიდი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული... თავის სამშობლოში მას ყურს უგდებენ, მისი სწამთ, მისი სჯერათ, მას აფასებენ. ასეთი დიდი სიყვარული თავისი ერისა ბევრს არ ერგება წილად. ეს მან დიდი სულიერი სიმაღლით მოიპოვა“. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მადლობა მოახსენა სომეხთა კათოლიკოსს და აღნიშნა, – ის, რაც მე-12 საუკუნეში დავით აღმაშენებელმა გააკეთა საქართველოსათვის, შეძელით თქვენ სომხეთის ეკლესიაში XX საუკუნის 50-70-იან წლებში. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ამის შემდეგ არაერთხელ ესტუმრა სომხეთს ისევე, როგორც კათოლიკოსი ვაზგენ I – საქართველოს.

1978 წლის ნოემბერში ღიბანის დედაქალაქ ბეირუთში, სადაც სომეხთა მეორე რელიგიური ცენტრი, კილიკიის სომეხთა საკათალიკოსოა, მაჰმადიანმა ტერ-

ორისტებმა სომეხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოაწვეეს. მისმა უწმიდესობამ ოფიციალურ განცხადებაში დაგმო ეს ვანდალური აქტი და სომეხ ხალხს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა: „ჩვენ, ქართველები, – აღნიშნა მან, – ისტორიის დასაბამიდან ვცხოვრობთ უძველესი კულტურისა და ტრადიციის მქონე სომეხი ხალხის მეზობლად. ამ ხნის მანძილზე ერთად გადაგვიტანია მრავალი განსაცდელი, მტერთა შემოსევა და სხვა ბედუკუდმართობანი და არ შეგვიძლია გულგრილი დავრჩეთ მათ თანამემამულეთა ტრაგედიის მიმართ“. პატრიარქის ამ განცხადებამ საქართველოში მცხოვრები სომეხების კმაყოფილება გამოიწვია. ამის დასტური იყო ახალქალაქელი ხ. ოვსეპიანის გამოხმაურება: „ვბედავ და მოგახსენებთ უდიდეს მადლობას თქვენ, საქართველოს დიდებულ კათოლიკოს-პატრიარქს. სომეხი ხალხი არასოდეს დაივიწყებს თქვენს მაღალადამიანური და მოქალაქეობრივი სიყვარულით სავსე თანაგრძნობას“. უწმიდესი და უნეტარესი ილია II გამოესარჩლა ეჩმიაძინის საკათალიკოსოს 1980 წელს, როდესაც საზღვარგარეთელი სომეხი კათოლიკენი ლანძღავდნენ და ამცრობდნენ მის მნიშვნელობას. ყოველივე ამას კარგად ხედავდა კათოლიკოსი ვაზგენ I და ცდილობდა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან ურთიერთობაში დაეცვა ტაქტი და ყოფილიყო მისი პატივისმცემელი. უწმიდესმა ილია II სათანადო პატივი მიაგო კათოლიკოს ვაზგენ I ხსოვნას 1994 წელს ეჩმიაძინში და საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა: „დიდია მწუხარება სომხეთის სამოციქულო ეკლესიისა და სომეხი ხალხისა, იგი ემშვიდობება თავის ღირსეულ და ბრძენ მამამთავარს, რომელიც 39 წლის მანძილზე ურთულეს პირობებში იყო საჭეთმპყრობელი ეჩმიაძინის უძველესი საკათალიკოსო ტახტისა... იმ დროს, როდესაც შეზღუდული იყო კავშირი უცხოეთთან, მან მოახერხა ურთიერთობა დაემყარებინა იქ მყოფ სამწყსოსთან, გაედრმავებინა მათში სამშობლოს სიყვარული, გაემთლიანებინა ერი... შევთხოვ უფალს, რათა მისი უკვდავი სული დააწესოს იმ სავანეში, სადაც სომეხი ხალხის

დიდებული წინაპარნი განისვენებენ“.

კათოლიკოს ვაზგენ I გზა განაგრძო კილიკიური წარმოშობის ახალმა კათოლიკოსმა გარეგინ I, რომელმაც 1997 წელს იმოგზაურა საქართველოში, მოიხიბლა ჩვენი ქვეყნით, მისი დიდებული ტაძრებით, ისტორიით, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მალე გარდაიცვალა. ამის შემდეგ სომხურ ეკლესიაში გაძლიერდა ტენდენცია ქართული ეკლესია-მონასტრების მითვისების, ისტორიის ფალსიფიკაციისა. სომხური საკათოლიკოსოს დასტურით, ერევანში გამოდის რუკა-ცნობარები, სამეცნიერო წიგნები, რომლებშიც გაყალბებულია საქართველოს ისტორია, სომხურადაა გამოცხადებული 650-ზე მეტი ქართული ეკლესია. სომხურ საეკლესიო ინტერნეტსაიტებზე ვრცელდება ისეთი ინფორმაციები, რომლებიც ხელს არ შეუწყობს ორი მეზობელი ხალხისა და ეკლესიის მეგობრულ ურთიერთობას. XIX საუკუნის II ნახევარში ასეთ ვითარებაზე ილია ჭავჭავაძე წერდა: „მტრისა შინა ყოლასა, ღომისა გზად ყოლა სჯობიაო“. ქართველ ხალხს ისტორიულად ახასიათებს სჯულშემოწმარებლობა და ტოლერანტობა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ნახევარმილიონიან სომხურ დიასპორას საქართველოში აქვს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სკოლები, თეატრი, პრესა... უმაღლეს სასწავლებელში სომხურენოვანი განყოფილება, სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქია... უმაღურობა, დაუნახაობა ხომ საშინელი ცოდვაა.

ისტორიულად საქართველო თავის თავს ევროპის ნაწილად მიიჩნევდა და ცდილობდა, მჭიდროდ დაკავშირებოდა ევროპულ ცივილიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ-კონფესიური თვალსაზრისით ევროპის განვითარებული ქვეყნები: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია სრულიად განსხვავებულნი იყვნენ საქართველოსაგან, მონღოლების, ირანისა და ოსმალეთის დამანგრეველი დაშქრობების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მაინც ევროპის ქვეყნების დახმარების იმედი ჰქონდა. მართალია, XVI–XX საუკუნეებში დახმარება სიტყვიერ მხარდაჭერას არ გასცილებია,

მაგრამ ქართველების ორიენტაცია მაინც არ შეცვლილა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კონტაქტებს ევროპის ქვეყნებთან. საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი სახელმწიფო იყო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან კონტაქტები საგრძნობლად იზღუდებოდა. 1979 წლის 15 იანვარს იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II არჩეულიქნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად. ამან საშუალება მისცა, მონაწილეობა მიეღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერთა შეხვედრებში. უწმიდესი და უნეტარესი ყველა ამ შეხვედრაზე საუბრობდა საქართველოზე, მის ისტორიაზე, უძველეს სამოციქულო ეკლესიაზე. ამ შეხვედრებზე დაამყარა მეგობრული ურთიერთობა მსოფლიოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიების მეთაურებთან და მოიწვია ისინი საქართველოში. ამ შეხვედრებმა, პირადად კონტაქტებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს მართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. უწმიდესი და უნეტარესი ილია II 1963–97 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მსოფლიო საბჭოში წევრობის პერიოდს ასე აფასებს: „საბჭოთა იზოლაციის დროს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ყოფნამ საქართველოს ეკლესიას საშუალება მისცა, რომ იგი მსოფლიოს გაეცნო როგორც დამოუკიდებელი ეკლესია. ასე რომ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მართლმადიდებელი ეკლესიების ყოფნა ერთგვარად მათი მისიონერული მოღვაწეობის გაგრძელებასაც წარმოადგენს“.

უწმიდესი და უნეტარესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვდა პროტესტანტული, ლუთერანული, ანგლიკანური ეკლესიების მეთაურებს, ამ ქვეყ-

ნების პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეცნიერებს, ხელოვნების წარმომადგენლებს. ამ შეხვედრებმა ახალი სტიმული მისცა ევროპაში ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებას. ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები აღტაცებას ვერ ფარავდნენ – მათ წინაშე მანამდე უცნობი ქრისტიანული აღმოსავლეთის დიდი ცივილიზაციისა და მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური იყო – მომხიბლავი გარეგნობა, დახვეწილი მანერები, ევროპული ცივილიზაციისა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ზოგადი პრინციპების დრმა ცოდნა მათ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისადმი უდიდესი პატივისცემით განაწყოდა. უწმიდესი და უნეტარესი სტუმრობდა აზიის ქვეყნებსაც, შეხვდა და საქართველოს სამოციქულო ეკლესია გააცნო ეგვიპტის კოპთა პატრიარქს შენუდა III, მალბარის ინდოელთა მონოფიზიტ პატრიარქ-კათოლიკოსს ბასილ მარ თომა მათე I, ეთიოპიის მონოფიზიტ პატრიარქს აბუნა თეკლე-ჰაიმანუდს, სირიელ იაკობისტა პატრიარქს მარი იაკობ III, აღმოსავლეთის მონოფიზიტ პატრიარქს მაქსიმე V. უწმიდესმა და უნეტარესმა ქართული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა საქართველოში საპასუხო ვიზიტით ჩამოსულ სხვადასხვა ქვეყნის რელიგიურ და პოლიტიკურ ლიდერებს, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. საქართველოსა და ქართველების შესახებ საინფორმაციო მასალებს ბეჭდავდნენ ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის ქვეყნების წამყვანი გამოცემები. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიოში ცნობილი რელიგიური ლიდერია, მას დიალოგი შეუძლია არა მარტო არამართლმადიდებელი ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებთან, არამედ სხვა აღმსარებლობის ადამიანებთანაც. ამის დასტურია კავკასიის მუსლიმანთა ლიდერის – შეიხ ალაჰ შუქურ ფაშა ზადესა და უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მეგობრული ურთიერთობა, რომელიც აისახება ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობაზე.

2001 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მუჰამედ ჰათამის

მიწვევით უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ირანში, შეხვდა პრეზიდენტ ჰათამსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერს ალი ჰამენეის. პატრიარქმა ბრძანა: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნების: ირანისა და საქართველოს რელიგიური ლიდერები და სასულიერო მოღვაწენი, ჩვენი ხელისუფალნი და საზოგადოება მზად არიან, რათა მსოფლიოს ვუჩვენოთ მაგალითი იმისა, რომ რელიგიური განსხვავებულობის და წარსულში დაპირისპირებების მიუხედავად, შეგვწევს უნარი ურთიერთპატივისცემისა, უნარი მშვიდობიანი და მეგობრული თანაარსებობისა“.

მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქი საოცრად შემწეუნარებელია, მაგრამ მაშინ, როდესაც საქმე ეხება სამშობლოს, მართლმადიდებელ ეკლესიას, მართლმადიდებელ დოგმატს, აქ იგი არაფერს დათმობს. ამის მაგალითია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსთან ურთიერთობა, როდესაც ამ ორგანიზაციამ კულტურათა, განსხვავებულ კონფესიათა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობათა განხილვა გადაზარდა ერთიანი მსოფლიო ეკლესიის შექმნის, განსხვავებული კონფესიების წარმომადგენელთა ერთობლივ ლოცვებსა და მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიუღებელ გადაწყვეტილებებში. 1997 წლის 20 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით და წმიდა სინოდის განჩინებით: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარს ამბობს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან... მართლმადიდებლები არ მიიღებენ მონაწილეობას ეკუმენურ მსახურებაში, საერთო ლოცვებსა და ღვთის თაყვანისცემაში“. პატრიარქის ამ გადაწყვეტილებას იმხანად სხვადასხვა შეფასება მიეცა, მაგრამ დრომ მისი მართებულობა აჩვენა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 70–80-იან წლებში საქართველოს პოლიტიკური, სულიერი და

კულტურული ცხოვრების ცენტრში აღმოჩნდა. ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები აღიარებდნენ, რომ ისინი ვეღარ ახერხებდნენ ეკლესიის საქმიანობის სრულ კონტროლს და რაღაც გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას. 1977–90-იან წლებში თბილისს სტუმრობდნენ მსოფლიოს მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურები, პოლიტიკური მოღვაწეები. ისინი ხვდებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს. 1923–77 წლებში თუ თვალში საცემი არ იყო ის ფაქტი, რომ საპატრიარქო რეზიდენცია სულ 3–4 ოთახისგან შედგებოდა, ახლა უკვე აშკარა უხერხულობა იქმნებოდა. საბჭოთა პროპაგანდა აცხადებდა, რომ ქვეყანაში. სინოდის თავისუფლება გარანტირებული იყო საბჭოთა კონსტიტუციით, რომ ეკლესიას ყველაფერი ჰქონდა, რაც სჭირდებოდა. 1977–88 წლებში სინოდის საპატრიარქო ტაძრის გარშემო უსახური ბარაკის ტიპის სახლები იყო ჩამწკრივებული, პატრიარქს საპატრიარქო რეზიდენცია არ ჰქონდა. ხელისუფლებამ ერთხანს ორბელიანის მოედანზე არსებული საზღვარგარეთთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობა დაუთმო საპატრიარქოს...

ჯერ კიდევ 1967 წელს, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად ყოფნის დროს, მეუფე ილიამ სინოდის სახელით საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარეს მოსთხოვა, საპატრიარქოსთვის დაებრუნებინათ 1923 წელს ჩამორთმეული რეზიდენცია. 1977 წლიდან ხელისუფლება გრძნობდა, რომ უხერხული ვითარების გამოსწორება საპა-

ტრიარქოსთვის რეზიდენციის გამოყოფით შეიძლებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილიამ II 1984 წლის 2 თებერვალს განმეორებითი თხოვნით მიმართა საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს ე. შვეარდნაძეს (1981 წლის 15 ივლისითაა დათარიღებული ადრინდელი მიმართვა) და მოითხოვა საპატრიარქოსთვის ისტორიული შენობის გადმოცემა. მთავრობა ყოყმანობდა. ბოლოს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს ეკლესიას გადაეცა ნახევრად ავარიული სპორტკომიტეტის ყოფილი შენობა, რომელიც გამოუყენებელი დარჩა. 1989 წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ ოფიციალური ხელისუფლება იძულებული გახდა აღედგინა ისტორიული სამართლიანობა და 1923 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უკანონოდ წართმეული საპატრიარქო რეზიდენცია, სადაც მოღვაწეობდნენ უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქნი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, დაუბრუნა კანონიერ მფლობელს. ამიერიდან არც სასულიერო და არც საერო პირებს უკმარისობის გრძნობა აღარ დაუფლებიათ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ისტორიულმა რეზიდენციამ დაიბრუნა თავისი ფუნქცია. აქ თამამად შეიძლება საერო და სასულიერო პირების მიღება და ღირსეული მასპინძლობა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ცნობილია მთელ მსოფლიოში, ეს პატრიარქის ოცდაათწლიანი თავდადებული შრომისა და ღვაწლის შედეგია.

## წყაროები, ლიტერატურა

1. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1978, №1, გვ. 12.
2. პატრიარქი, თბილისი, 2006, გვ. 234.
3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. ტ. II, თბილისი, 1997, გვ. 421–422.
4. იქვე, გვ. 424.
5. მეგობრობა გზად და ხიდად, თბილისი, 2007, გვ.18–19.
6. სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917–1952 წლებში, თბილისი, 2001, გვ. 205–206.
7. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 3797.
8. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1979, გვ.12–13.
9. იქვე, გვ. 11.
10. საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. 10417.
11. საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. 8701.
12. საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. 1374.
13. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 2003, გვ. 38.
14. იქვე, გვ. 39.
15. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. ტ. II, თბილისი, 1997, გვ. 85.
16. საპატრიარქოს უწყებანი, 2003, №38.
17. საპატრიარქოს უწყებანი, 2003, №38.
18. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1981, №2, გვ.9.
19. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1981, №2, გვ.13.
20. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1981, №2, გვ.12.
21. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1981, №2, გვ.16.
22. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1981, №2, გვ.17.
23. საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. 2585.
24. სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917–1952 წლებში, თბილისი, 2001, გვ. 209.
25. საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. 1839.
26. სერგო ვარდოსანიძე, საქართველოსა და სომხეთის ეკლესიების ურთიერთობა 1917–2000 წლებში. – ჟურნ. „რელიგია“, 2002, №7-8-9, გვ. 49.
27. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1978, №1, გვ.15.
28. საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. 2217.
29. ჟურნ. „რელიგია“, 2002, №7-8-9, გვ.49.
30. საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. 8441.
31. პატრიარქი, თბილისი, 2006, გვ. 286.
32. ეკუმენიზმი – ანტიქრისტეს რელიგია, თბილისი, 2002, გვ. 219.

## საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსო ტერიტორიის საეპარქიო დანაწილება და მართვა პირველი საუკუნიდანვე იღებს სათავეს. დასაბამიდან ეკლესიის ორგანიზაციული მოწყობა წმიდა წერილსა და მსოფლიო საეკლესიო პრაქტიკის უძველეს ტრადიციას ეფუძნება.

ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, საქართველოს ეკლესიის ისტორია რამდენიმე პერიოდად განიყოფა, რაც ეკლესიის მწყემსმთავრის უფლებრივი მდგომარეობის და ტიტულატურის ცვალებადობით, ეპარქიათა რიცხვის ზრდა-შემცირებით, მათი იურისდიქციის, ადმინისტრაციული საზღვრების და იერარქიული წყობის სრულყოფით და ზოგადად ეკლესიის გავლენის დამცრობა-აღზევებით გამოიხატებოდა. წმიდა მოციქულების მიერ დაფუძნებულ ქრისტიანულ თემს, რომელიც მცირერიცხოვნობით გამოირჩეოდა, თავისი ეპისკოპოსი ჰყავდა. ქართული წყაროები მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიების მმართველი ეპისკოპოსების თაობაზე თითქმის არაფერს გვაუწყებენ (იმ პერიოდის, I–IV სს., საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსის შესახებ ძალზე მწირი ცნობებია შემონახული ძველ წერილობით წყაროებში).

წმიდა ნინოს მოღვაწეობის შემდეგ ქრისტიანობაზე მოქცეული ქართლის პირველი ეპისკოპოსი – იოანე საბერძნეთიდან იყო მოწვეული. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იოანე ეპისკოპოსმა

აკურთხა მცხეთაში აშენებული ეკლესია, წუნდასა და მანგლისში საფუძველი დაუდო ახალ ეკლესიათა მშენებლობას, მდინარე მტკვარში საყოველთაო ნათლობა აღასრულა და სხვ. მის სამღვდელმთავრო მსახურებას უკავშირდება მცხეთის პირველი საეპისკოპოსოს დაფუძნება. საქართველოს პირველი მღვდელმთავარი იოანე მთავარეპისკოპოსის წოდებით იხსენიება. მთავარეპისკოპოსს, შესაბამისად, თავის დაქვემდებარებაში მყოფი ეპისკოპოსებიც ეყოლებოდა, თუმცა ქართული წყაროები მათ შესახებაც არაფერს წერენ. წმიდა მეფე მირიანიდან (IV ს. 20-იანი წლები) – წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლამდე (V ს-ის II ნახევარი) საქართველოში ცამეტი მთავარეპისკოპოსი მოღვაწეობდა. მღვდელმთავრებს რუის-ურბნისის დიდი საეკლესიო კრება „ეპისკოპოს-კათოლიკოსებს“ უწოდებს.

საქართველოს ეკლესიის ეპარქიებად დაყოფის ისტორიისათვის თვალის მიდევნება შესაძლებელია წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ 12 ახალი საეპისკოპოსო კათედრის – ახიზის, ერუშეთის, წუნდის, მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის, ნინოწმინდის, ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯის, აგარაკის, მცხეთის, მოგვიანებით ნიქოზის – დაფუძნების შემდეგ.

მეფე ვახტანგის მიერ დაარსებული საეპისკოპოსოების განლაგება ძირითადად ემთხვეოდა ქვეყნის იმდროინდელ საერო-ადმინისტრაციულ დაყოფას. თითოეულ საერო-სთავოში ერთი საეპისკოპოსო მაინც არსე-

ბობდა. დიდ საერისთავოებში კი რამდენიმე საეპისკოპოსო სამწყსო იყო განთავსებული. საეპისკოპოსო ზოგჯერ მხოლოდ ერთი ქალაქით შემოიფარგლებოდა.

V საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბებული საეპისკოპოსოების რიცხვი 506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე უკვე გაორმაგებულია. ამ პერიოდიდან საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს „კათოლიკოსი“ ეწოდებოდა.

XI ს-ის დასაწყისიდან (ზოგიერთი მოსაზრებით X ს-ის ბოლოდან) პოლიტიკურად გაერთიანებული საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი „კათოლიკოს-პატრიარქის“ წოდებით მოიხსენიება. იმუამად, ერთიან საეკლესიო ორგანიზმად შეკავშირებულ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიათა რიცხვი ხუთათეულსაც აღემატებოდა.

ზოგიერთი ეპარქიის ტერიტორია ძალზე განვრცობილი იყო და ქვეყნის პოლიტიკურ საზღვრებსაც სცილდებოდა (ნიქოზელი მღვდელმთავრის სამწყსოში შედიოდნენ ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ხალხები: ოსები, დვალეები და სხვ.).

ისტორიული ძნელბედობისას ზოგიერთი ეპისკოპოსის მართვა-გამგეობა მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებდა, თუმცა ეპარქიათა ამგვარი ნომინალური არსებობაც კი მომხდური მტრისგან დაპყრობილ-აოხრებული ქვეყნის რეალური გაერთიანების საფუძველს ქმნიდა. XIII–XVIII სს-ში საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა და, ამის კვალად, ეპარქიათა რაოდენობა დამოკიდებული იყო ქვეყნის შიდა ფაქტორებსა და საგარეო ვითარებაზე. მონღოლების, ირან-ოსმალეთის, ჩრდილოკავკასიელი ტომების – აფსუების, ლეკების, ოსების და სხვ. აგრესიამ და ქვეყნის პოლიტიკურმა დაქუცმაცებულობამ ეკლესიის დასუსტება, ადგილობრივი მოსახლეობის გამოდევნა და სამხრეთ საქართველოს, კახეთის, აფხაზეთის, ქართლის ათობით ეპარქიის დაცარიელება გამოიწვია. XX ს-ის ბოლო ათწლეულის კატაკლიზმებისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ინტერესთა არეალში საქართველოს მოხვედრის გამო

ქვეყნის მდგომარეობა ამჟამადაც არასახარბილოდ წარიმართა და მსგავსი ხასიათის სირთულეები ცხუმ-აფხაზეთის და ნიქოზ-ცხინვალის ეპარქიებსაც დაატყდათ თავს.

ტრადიციულად, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქია სარწმუნოებრივი სიწმიდის, ეროვნული სიმტკიცის და ზნეობრივი სისპეტაკის დამცველს წარმოადგენდა (აღმსარებელი და მოწამებრივად აღსრულებული მღვდელმთავრები ყოველთვის მრავლად ჰყოლია საქართველოს, ბოლო პერიოდის მოღვაწეთაგან აღსანიშნავია წმიდა მღვდელმთავრები: გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, კირიონ საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია, ნაზარი ლეჟავა და სხვანი).

საქართველოს ეკლესიის ისტორია გარკვეულწილად ქართველ მღვდელმთავართა მოღვაწეობის ასახვასაც გულისხმობს და ზუსტად ესადაგება ცნობილ გამოთქმას ეკლესიისა და ეპისკოპოსის ერთიანობის შესახებ: „ეპისკოპოსი – ეკლესიაშია, ეკლესია კი – ეპისკოპოსში“ (წმიდა კვიპრიანე კართაგენელი), ასევე „ეკლესიის სახე ეპისკოპოსია“ (წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი).

XIX ს-ის დასაწყისში, 1811 წელს, საქართველოს წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის უკანასკნელი კათოლიკოს-პატრიარქის, მეფე ერეკლე II ძის, ანტონ II ბაგრატიონის იძულებითი წესით რუსეთში გასახლებით და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ძალმომრეობით გაუქმებით სამ-ათეულამდე ქართული ეპარქია დაიხურა. შეიცვალა ადგილობრივი ეკლესიის ტრადიციული მართვა-გამგეობა და მრევლთან ურთიერთობის საუკუნოვანი გამოცდილება. ამიერიდან კათოლიკოს-პატრიარქის ინსტიტუტის ნაცვლად, რუსეთის სინოდს დაქვემდებარებულ საქართველოს უძველეს სამოციქულო ეკლესიის მმართველს ეგზარქოსი ეწოდებოდა. 1811–1917 წლებში საქართველოს ეკლესიაში 19 ეგზარქოსი „მოღვაწეობდა“.

1917 წელს, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ განახლებულ 13 ეპარქიას მალე ორიც დაემატა. აღდგენილი ეპარქიები იყო

(დროთა განმავლობაში ეპარქიათა სახელწოდებები იცვლებოდა): მცხეთის, თბილისის (1920 წ. 20 ივლისს მეორე საეკლესიო კრებამ დაადგინა მცხეთისა და თბილისის ეპარქიების გაერთიანება, რის შემდეგაც სამღვდელმთავროს მცხეთა-თბილისის ეპარქია, ხოლო მწყემსმთავარს მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ეწოდა), აგარაკ-წალკის, ალავერდის, აწყურის, ბათუმ-შემოქმედის, ბოდბის, მანგლისის, მარგვეთის, ნიკორწმინდის, ურბნისის, ქუთაის-გაენათის, ცაგერის, ცხუმ-აფხაზეთის, წილკნის, ჭყონდიდის, თუმცა 20-იან წლებში ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული საბჭოური რეპრესიების გამო ქვეყნის ტრადიციული, საეპარქიო მართვა-გამგეობა ათწლეულების განმავლობაში სრულად ვერ აღდგა. XX ს-ის 70-იანი წლების ბოლოს თითებზე ჩამოსათვლელი იყო მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა, რომლებიც ძირითადად თბილისში იყო თავმოყრილი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მწყემსმთავრული მოღვაწეობის დაწყებისას საქართველოს ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში იყო. იმჟამად ნომინალურად არსებული 15 ეპარქიიდან მხოლოდ ოთხს – მცხეთა-თბილისის, წილკნის, ბათუმ-შემოქმედისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიებს ჰყავდა მღვდელმთავრები. 1977 წელს მათ რიცხვს ალავერდისა და ბოდბის ეპარქიები მიემატა. სამღვდელმთავრო კათედრათა უმრავლესობა მღვდელმთავრებისთვის დაკეტილი იყო და ეპისკოპოსს თავის სამწყსო ეპარქიაში ჩასვლის უფლება არ ჰქონდა. ეპისკოპოსები თბილისში მოქმედ რამდენიმე ეკლესიაზე იყვნენ მიმაგრებულნი. მანგლელი მღვდელმთავარი დიდუბის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიაში აღასრულებდა მსახურებას, ბოდბელი – თბილისის სამებაში, ალავერდელი – თელავის ღვთაების ეკლესიაში და სხვ. იმ პერიოდში საქართველოს ეკლესიათა უდიდესი ნაწილი ღვთისმსახურებისათვის გაუქმებულად ითვლებოდა. მთლიანად საქართველოში კი სულ რამოდენიმე მოქმედი ტაძარი იყო; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პა-

ტრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად დაიწყო ეპარქიებისთვის მღვდელმთავრების გამორჩევა და კურთხევა. 70–80-იანი წლების მიჯნაზე სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აღესრულა კურთხევა ცხუმ-აფხაზეთის, ჭყონდიდის, ქუთაის-გაენათის, ბათუმ-შემოქმედის, ბოდბის, ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის, ნიკორწმინდის, მარგვეთის ეპისკოპოსებისა.

1995 წლის 5 აპრილს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, ეპარქიათა რიცხვი 27-მდე გაიზარდა. ამის შემდეგ დაიწყო ახალგამორჩეულ მღვდელმთავართა კურთხევა და დადგინება. 2002 წლის 17 ოქტომბერს, წმიდა სინოდის განჩინებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ეპარქიათა რიცხვი 31-მდე გაიზარდა. 2003 წლის 18 აგვისტოს საეკლესიო კრების განჩინებით, რომელიც ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი ოცდათხუთმეტი გახდა, ხოლო 2006 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით სამღვდელმთავროთა რაოდენობამ 37-ს მიაღწია.

ბოლო პერიოდში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად საქართველოს ეკლესია იბრუნებს თავის ძველ მნიშვნელობასა და ფუნქციას. ღვთის შეწევნითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ძალისხმევით დაიწყო გაუქმებულ ეპარქიათა თანდათანობითი აღდგენა. მის მიერ ნაკურთხი მღვდელმთავრები განაგებენ მანამდე ნომინალურად არსებულ სამღვდელმთავროებს. თანმიმდევრულად მიმდინარეობს საუკუნეთა განმავლობაში მივიწყებული ქრისტიანული ხელოვნების და ხელსაქმის (სატაძრო არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება, მინიატიურული და მონუმენტური საეკლესიო ფერწერა, ხეზე და ქვაზე კვეთა, ჭედურობა, ქარგვა, გალობა და სხვა), სასულიერო განათლების კერების (მცხეთის, თბილისის, ქუთაისის, ქედის, ბოდბის, ხირსის, ზე-

სტაფონის, ბათუმის, ხაშურის, ახალციხის, გრემის, ოზურგეთის, ფოთის, საჩხერის და სხვა სასულიერო პროფილის სასწავლებლები, მთარგმნელობითი ტრადიციის აღდგენა და სხვა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, საღვთისმეტყველო კრებულები, ათობით დასახელების საეკლესიო ჟურნალ-გაზეთი, სასულიერო ლიტერატურა, კალენდრები. თბილისში საქართველოს საპატრიარქოსთან ფუნქციონირებს ტელე-რადიომაუწყებლობა „ივერია“. შექმნილია ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი; მისიისა და ევანგელიზაციის, საგარეო საქმეთა, გამომცემლობის, სიწმიდეთა მოძიებისა და დაცვის, შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის, ხალხური ხელსაქმის განყოფილებები, საინფორმაციო სამსახური; საფინანსო-ეკონომიკური საბჭო, საღვთისმეტყველო კომისია; საღვთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისია; წმინდანთა კანონიზაციის კომისია; გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტი; ჩამოყალიბდა ახალგაზრდული დეპარტამენტი „ძლევაი“, ჰუმანიტარული სამსახური და სხვა. აშენდა და ამოქმედდა რამდენიმე ასეული ეკლესია-მონასტერი, მოხდა გამოჩენილ ქართველ საერო და საეკლესიო მოღვაწეთა წმიდანებად კანონიზირება.

საუკუნეთა შემდეგ კვლავ აღდგა ეკლესიის ეგიდის ქვეშ მყოფი გელათის მეცნიერებათა აკადემია.

მაცხოვრის შობის 2000 და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავთან დაკავშირებით აშენდა და იკურთხა საქართველოში ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობა – ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი.

2001 წლის 31 მაისს მსოფლიო საპატრიარქომ ოფიციალურად აღიარა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ღირსება.

2002 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვ-

ლის საპატრიარქო ტაძარში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (კონკორდატი)“. შეთანხმების თანახმად, განახლდა წყვეტილი მემკვიდრეობა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიამონასტრები და საეკლესიო სიწმიდეები კანონიერ მესაკუთრეს – საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნდა.

ათწლეულობით გამოკეტილ ეკლესიამონასტრებში, ღვთის მადლით, დღეისათვის კვლავ აღესრულება ღვთისმსახურება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ საზრდოს მოკლებული მრევლი ტრადიციულ საეკლესიო წიადს უბრუნდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე გაწეული წვლილისათვის სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია მსოფლიო საპატრიარქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საქართველოს, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და თითქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების უმაღლესი ჯილდოებით. ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიამ მას ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა, 1997 წელს კრეტის სასულიერო აკადემიამ საპატიო წევრად აირჩია, იმავე წელს აირჩიეს გაეროსთან არსებულ ინფორმაციზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად, 1998 წელს ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა ტიხონის საღვთისმეტყველო სემინარიამ ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა...

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის და მისი იურისდიქციის ქვეშ არსებული სამწესო ტერიტორიის და მრევლის მართვა ხორციელდება საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის

მართვა-გამგეობის დებულების (მცხეთა, სვეტიცხოველი, 1995 წ.) შესაბამისად. დებულების თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსო იყოფა ეპარქიებად. ეპარქიათა მმართველი მღვდელმთავრები, იმავდროულად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებიც არიან.

ეპარქიები თავის მხრივ, შედგება ოლქებში (სამთავარსუცესოებში) გაერთიანებული სამრევლოებისაგან და სამღვდელმთავროთა ტერიტორიაზე განლაგებული მონასტრებისაგან. სამთავარსუცესოს ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს ეპისკოპოსის მიერ დანიშნულ მთავარსუცესს, სამრევლოები კი ეპარქიის ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებთან გაერთიანებული მრევლია, რომელიც სამღვდელო და მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანთაგან შედგება. მათი ხელმძღვანელობა ეპარქიის მღვდელმთავრის მიერ დადგენილ წინამძღვარს (მღვდელს) ევალება. მონასტრთა საქმიანობა კი ხორციელდება სპეციალური სამონასტრო ტიპიკონის შესაბამისად, მისი მართვა მღვდელმთავრის მიერ დადგენილ შავი სამღვდელოების შესაბამის წარმომადგენელს – წინამძღვარს (მღვდელ-მონაზონი, იღუმენი, არქიმანდრიტი) აქვს მინდობილი.

საქართველოს წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში არსებული ეპარქიები და მათი მმართველი მღვდელმთავრები არიან:

**1. მცხეთა-თბილისის ეპარქია** (ქ. თბილისი, ქ. მცხეთა (სოფ. წილკნის, მუხრანისა და საგურამოს გარდა), გარდაბნის რ-ნი) – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი **ილია II (ღუდუშაური-შიოლაშვილი)**. კათედრა და რეზიდენცია მცხეთაში, თბილისსა და ბიჭვინთაში.

**2. ალავერდის ეპარქია** (ქ. თელავი, ქ. ახმეტა) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი ამბა ალავერდელი **მიტროპოლიტი დავითი**

**(მახარაძე)**. კათედრა – ალავერდში, რეზიდენცია – ალავერდსა და თელავში.

**3. ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია** (ქ. ახალქალაქი, ნინოწმინდის რ-ნი) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)**. კათედრა – ახალქალაქსა და კუმურდოში, რეზიდენცია – ახალქალაქსა და ნინოწმინდაში.

**4. ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია** (ქ. ახალციხე, ასპინძის და ადიგენის რ-ნები, ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე)**. კათედრა და რეზიდენცია – ახალციხესა და საფარაში.

**5. ბათუმისა და ქობულეთის ეპარქია** (ქ. ბათუმი, ქ. ქობულეთი) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი)**. კათედრა – ბათუმში, რეზიდენცია – ბათუმსა და ქობულეთში.

**6. ბოდბის ეპარქია** (ქ. სიღნაღი, ქ. დედოფლისწყარო) – ყოვლადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი დავითი (ტიკარიძე)**. კათედრა – ბოდბეში, რეზიდენცია – ბოდბეში, სიღნაღსა და დედოფლისწყაროში.

**7. ბოლნისის ეპარქია** (ქ. ბოლნისი) – ყოვლადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე)**. კათედრა და რეზიდენცია – ბოლნისში.

**8. ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია** (ქ. ბორჯომი) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა)**. კათედრა და რეზიდენცია – ბორჯომში.

**9. დმანისის ეპარქია** (ქ. დმანისი) – ყოვლადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული)**. კათედრა და რეზიდენცია – დმანისში.

**10. გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია** (ქ. გურჯაანი) – ყოვლადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი ექვთიმე (ლეჟავა)**. კათედრა და რეზიდენცია – გურჯაანში.

**11. ვანისა და ბაღდათის ეპარქია** (ქ. ვანი, ქ. ბაღდადი) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მთავარეპისკოპოსი ანტონი (ბულუხია)**. კათედრა – ბაღდათში, რეზი-

დენცია – ვანსა და ბაღდათში.

**12. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია** (ქ. ზუგდიდი, ქ. წალენჯიხა) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე)**. კათედრა – ზუგდიდსა და ცაიშში, რეზიდენცია – ზუგდიდსა და წალენჯიხაში.

**13. მანგლისისა და წალკის ეპარქია** (ქ.თეთრიწყარო, ქ. წალკა) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)**. კათედრა და რეზიდენცია – მანგლისსა და წალკაში.

**14. მარგვეთისა და უბისის ეპარქია** (ქ. ზესტაფონი, ქ. ხარაგაული) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მთავარეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი)**. კათედრა – ზესტაფონში, რეზიდენცია – ზესტაფონსა და ხარაგაულში.

**15. მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია** (ქ. მესტია) – ყოვლადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი ილარიონი (ქიტიაშვილი)**. კათედრა და რეზიდენცია – მესტიაში.

**16. ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია** (ქ. ყვარელი, ქ. ლაგოდეხი, საინგილო) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი)**. კათედრა – ნეკრესსა და ყვარელში, რეზიდენცია – ყვარელში, ლაგოდეხსა და კასში.

**17. ნიკორწმინდის ეპარქია** (ქ. ამბროლაური, ქ. ონი) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მთავარეპისკოპოსი ელისე (ჯოხაძე)**. კათედრა – ნიკორწმინდაში, რეზიდენცია – ამბროლაურსა და ონიში.

**18. ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია** (ქ. ცხინვალი, ახალგორის, ჯავისა და ზნაურის რ-ნები) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია)**. კათედრა და რეზიდენცია – ნიქოზში, ცხინვალში, ახალგორსა და ჯავაში .

**19. რუსთავისა და მარნეულის ეპარქია** (ქ. რუსთავი, ქ. მარნეული) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი ათანასე (ჩახვაშვილი)**. კათედრა – რუსთავში, რეზიდენცია – რუსთავსა და მარნეულში.

**20. საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქია** (ქ. საგარეჯო) – ყოვლადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი ლუკა (ლომიძე)**. კათედრა და რეზიდენცია – საგარეჯოსა და

ნინოწმინდაში.

**21. სამთავისისა და გორის ეპარქია** (ქ. გორი, ქ. კასპი) – ყოვლადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა)**. კათედრა და რეზიდენცია – სამთავისში, გორსა და კასპში.

**22. სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია** (ქ. სენაკი, ქ. ჩხოროწყუ) – ყოვლადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი შიო (მუჯირი)**. კათედრა – სენაკში, რეზიდენცია – სენაკსა და ჩხოროწყუში.

**23. სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია** (ქ. სტეფანწმინდა) – ყოვლადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე)**. კათედრა და რეზიდენცია – სტეფანწმინდაში.

**24. სხალთის ეპარქია** (ქ. ქედა, ქ. შუახევი, ქ. ხულო) – ყოვლადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე)**. კათედრა – სხალთაში, რეზიდენცია – ხულოში.

**25. ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქია** (ქ. ტყიბული, ქ. თერჯოლა) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე)**. კათედრა და რეზიდენცია – თერჯოლაში.

**26. ურბნისისა და რუისის ეპარქია** (ქ. ხაშური, ქ. ქარელი ) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)**. კათედრა – ურბნისში, რუისში და ხაშურში, რეზიდენცია – ხაშურსა და სურამში.

**27. ფოთისა და ხობის ეპარქია** (ქ. ფოთი, ქ. ხობი) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)**. კათედრა – ფოთში, რეზიდენცია – ფოთსა და ხობში.

**28. თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია** (ქ. თიანეთი) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი)**. კათედრა – საგურამოსსა და თიანეთში, რეზიდენცია – საგურამოში.

**29. ქუთაის-გაენათის ეპარქია** (ქ. ქუთაისი, ქ. ტყიბული, ქ. წყალტუბო) – მაღალყოვლადუსამღვდელოესი **მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი)**. კათედრა და რეზიდენცია – ქუთაისსა და გელათში.

**30. შემოქმედის ეპარქია** (ქ. ოზურგეთი,

ქ. ლანჩხუთი, ქ. ჩოხატაური) – მაღალყოვლადღუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი იოსები (კიკვაძე). კათედრა – შემოქმედსა და ოზურგეთში, რეზიდენცია – ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში.

**31. ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია** (ქ. ცაგერი, ქ. ლენტეხი) – ყოვლადღუსამღვდელოესი ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი). კათედრა – ცაგერში, რეზიდენცია – ცაგერსა და ლენტეხში.

**32. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია** (ქ. სოხუმი, ქ. ოჩამჩირე, ქ. გუდაუთა, ქ. გალი, ქ. გაგრა, ქ. გულრიფში) – მაღალყოვლადღუსამღვდელოესი მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). კათედრა – სოხუმსა და ახალ ათონში, რეზიდენცია – სოხუმში, გუდაუთასა და გაგრაში.

**33. წილკნისა და დუშეთის ეპარქია** (ქ. დუშეთი) – მაღალყოვლადღუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი). კათედრა – წილკანში, რეზიდენცია – წილკანსა და დუშეთში.

**34. ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია** (ქ. ჭიათურა, ქ. საჩხერე) – მაღალყოვლადღუსამღვდელოესი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). კათედრა – ჭიათურაში, რეზიდენცია – ჭიათურასა და საჩხერეში.

**35. ჭყონდიდის ეპარქია** (ქ. აბაშა, ქ. მარტვილი) – მაღალყოვლადღუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა). კათედრა – მარტვილში, რეზიდენცია – აბაშასა და მარტვილში.

**36. ხონისა და სამტრედიის ეპარქია** (ქ. ხონი, ქ. სამტრედია) – მაღალყოვლადღუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი საბა (გიგბერია). კათედრა – ხონში, რეზიდენცია – ხონსა და სამტრედიაში.

**37. დასავლეთ ევროპის ეპარქია** – მაღალყოვლადღუსამღვდელოესი მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია).

## 1. მცხეთა-თბილისის ეპარქია

მცხეთა-თბილისის ეპარქია ორი უძველესი ქართული სამღვდელმთავროს – მცხეთის და თბილისის საეპისკოპოსო-

ბის შერწყმის შედეგად წარმოიშვა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ.), მეორე საეკლესიო კრების განჩინებით, 1920 წლის 20 ივლისს, გაერთიანდა მცხეთის და თბილისის ეპარქიები და ამის შემდეგ მის მწყემსმთავარს მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ეწოდა. შესაბამისად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მცხეთისა და თბილისის გაერთიანებულ სამღვდელმთავროთა მთავარეპისკოპოსიც გახლავთ.

საქართველოს ამაჟამინდელი საეპარქიო ადმინისტრირების თანახმად, მცხეთა-თბილისის ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ნინოწმინდისა და საგარეჯოს, დასავლეთიდან – სამთავისისა და გორის, ჩრდილოეთიდან – წილკან-დუშეთისა და სტეფანწმინდა-ხევის, სამხრეთიდან – მანგლის-წაღკისა და რუსთავ-მარნეულის ეპარქიები.

ქრისტიანული საქართველოს საეკლესიო ცენტრი ოდითგანვე მცხეთა-თბილისის ეპარქიაა. მცხეთა-თბილისის ეპარქიის მნიშვნელობა, ტრადიციულად, იმდენად დიდი იყო საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში, რომ, ზოგჯერ, ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში საქართველოს ეკლესია შემოკლებით „მცხეთის კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის“, „მცხეთის საყდრის“, „მცხეთის საპატრიარქო ტაძრის“ ან მარტივად „მცხეთის ეკლესიის“ სახელით იხსენიებოდა. ერთიანი საქართველოს ეკლესიასთან მცხეთა-თბილისის ეპარქიის გაიგივების ტრადიციას, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე, აქაური მღვდელმთავრის საქართველოს საეკლესიო საჭეთმპყრობლად აღიარების დაწესებამ ჩაუყარა საფუძველი. იმავედროულად, მცხეთა, როგორც საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქი, მსოფლიო საეკლესიო პრაქტიკის შესაბამისად, ქვეყნის საეკლესიო ცენტრადაც მიიჩნეოდა.

არქეოლოგიური მასალები ადასტურებს, რომ მცხეთასა და მის მიდამოებში ქრისტიანული თემები პირველივე საუკუნეებიდან არსებობდა.

ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერ-

თად, დედაქალაქმა მნიშვნელოვნად იცვალა სახე. თუკი წარმართული მცხეთის ცენტრი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იყო, ქრისტიანობის მიღებისთანავე ფართოდ გაშლილმა აღმშენებლობამ მდინარის მარცხენა ნაპირას, უფლის კვართის სამყოფლის გარშემო მოიყარა თავი. მცხეთის პირველი ეკლესიების მშენებლობა წმიდა ნინოს მოღვაწეობის ადგილებთან არის დაკავშირებული.

საქართველოს ეკლესიას პირველ ეტაპზე, ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამდე და კათოლიკოსის ინსტიტუტის შემოღებამდე, მთავარეპისკოპოსი მართავდა. აქედან მოყოლებული, მცხეთის მთავარეპისკოპოსი საქართველოს ერთიანი ეკლესიის მწყემსადაც ითვლებოდა.

მთავარეპისკოპოსის კათედრა მცხეთაში – დედაქალაქში იყო. იმ პერიოდში მცხეთაში მცირე ეკლესიებთან ერთად ორი ცენტრალური ეკლესია მოქმედებდა: ზემო – სამთავროს ეკლესია და ქვემო – სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, რომელიც 480-იან წლებამდე ხის პატარა ეკლესიას წარმოადგენდა. აქ იყო ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრა. ქართლის მოქცევიდან აღნიშნულ რეფორმამდე და სვეტიცხოვლის განახლებამდე „...გარდახდეს წელნი რ“ო (170), მეფენი გარდაცვალებულ იყვნენ ათნი და მთავარეპისკოპოსნი ი“გ (ცამეტი)“. მთავარეპისკოპოს იოანე I შემდეგ მისი ადგილი დაიკავა იაკობმა, რომელმაც, თავის მხრივ, დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ეკლესიას. იგი მირიანის მეფობის დროს საბერძნეთიდან იყო მოსული.

ვახტანგ გორგასალმა თავისი მეფობის მეორე ნახევარში საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სტრუქტურა კათოლიკოსის ინსტიტუტის შემოღებითა და, იმავდროულად, თორმეტი ახალი საეპისკოპოსოს დაარსებით შეცვალა. საეპისკოპოსოებს შორის მცხეთაც იხსენიება. სამღვდელმთავრო კათედრები ზოგი უკვე არსებულ ეკლესიებში დააარსეს, ზოგისთვის კი ახლად ააგეს საკათედრო ტაძრები. ეპისკოპოსი, როგორც წესი, საგამგეო ოლქის – ეპარქიის ცენტრალურ ქალაქში იჯდა.

ვახტანგს კათოლიკოსის რეზიდენციისათვის მოციქულთა სახელობის ეკლესია – სვეტიცხოველი მცხეთაში ახლად აუგია. მცხეთაშივე არსებული ეპისკოპოსის ძველი საყდარი „მაცხოვრის“ სახელობისა საეპისკოპოსოდ უქცევიათ. ამრიგად, კათოლიკოსის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ მცხეთა ორი მღვდელმთავრის რეზიდენციად გადაიქცა. კათოლიკოსისა და ეპისკოპოსის კათედრები ორივე მცხეთაში მდებარეობდა. რეფორმის შემდეგ ქართლის ეპისკოპოსის კათედრა მცხეთაშივე დარჩა, მაგრამ იგი უკვე ერთ-ერთ ეპისკოპოსად ჩაითვა და მისი სამწყსო ტერიტორია საგრძნობლად შემცირდა. V საუკუნემდე, აღნიშნულ რეფორმამდე, მცხეთის საეპისკოპოსოს იურისდიქცია მთლიანად ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა და აქ არსებული ყველა ეკლესია მას ემორჩილებოდა. კათოლიკოსობის დაწესებიდან მცხეთის საეპისკოპოსო საკათოლიკოსოში შემავალ ერთ-ერთ საეპისკოპოსოდ იქცა, რომლის იურისდიქცია მხოლოდ მდინარეების – რეხულასა და დიდლიახვს შორის მდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. ამ პერიოდიდან მცხეთის საეპისკოპოსოს მეთაურს ქართლის მთავარეპისკოპოსი ან სამთავროს ეპისკოპოსი ეწოდებოდა. მცხეთის საეპისკოპოსო ეკლესია სამთავროს სახელითაც იხსენიება, როგორც „მთავრის“, მთავარეპისკოპოსის რეზიდენცია. ქართლის ეპისკოპოსს, კათოლიკოსის შემდეგ, პირველი ადგილი ეკავა იერარქიულად და ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენის დროს – მეფის კურთხევისას – კათოლიკოსის შემდეგ უპირატესად ითვლებოდა.

ვახტანგის საეკლესიო რეფორმის შემდეგ საქართველოს ეკლესიის პირველი კათოლიკოსი იყო პეტრე I, ხოლო მთავარეპისკოპოსი – სამოელ I. მცხეთის კათოლიკოსი იყო მეფის შემდეგ უმაღლესი პირი.

თბილისში დიდი მშენებლობის დაწყება V ს-ის 60-იან წლებს უკავშირდება და სავარაუდოა, რომ თბილისის სიონის მშენებლობაც ამ დროიდანვე დაიწყო, რადგან ამავე პერიოდიდანვე იხსენიება

პირველი თბილელი ეპისკოპოსი. თბილელი ეპისკოპოსის კათედრა დასაწყისიდანვე თბილისის სიონი იყო.

ქართლის ცენტრალური ეპარქიები, ტრადიციულად მცხეთა და თბილისი, ტერიტორიული სიახლოვის მიუხედავად, განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ოდითგანვე კი მათ მღვდელმთავრებს შესაბამისი ფუნქციური დატვირთვა და მოვალეობები ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის წინაშე. დედაქალაქის თბილისში გადმოტანით პირველ ეტაპზე აქაური მღვდელმთავრის გავლენაც შესაბამისად გაიზრდებოდა, მაგრამ თბილელი მღვდელმთავარი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად მუდმივად ვერ ინარჩუნებდა დაწინაურებულ მდგომარეობას. მტერთა შემოსევისას ქვეყნის ძნელბედობა უპირველესად თბილისზე აისახებოდა. მომხდური დედაქალაქის დაპყრობით და აოხრებით სახელმწიფოს აცლიდა უმთავრეს დასაყრდენს. თბილისის სამღვდელმთავრო სამწყსოც ამის კვალად ნადგურდებოდა და კნინდებოდა. არაბი ამირას ოთხსაუკუნოვანი უღლის გადაგდების შემდეგაც კი თბილისის ეპარქია დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ დამცრობილი ჩანს.

თბილელი ეპისკოპოსის მიტროპოლიტის ხარისხში ამადლება XVII–XVIII სს-ის მიჯნაზე ქართლის მეფის ერეკლე I ნაზარალი-ხანის (1688–1703, კახეთში – 1703–09 წწ.) დროს და იოანე დიასამიძის პატრიარქობისას აღსრულდა. ამის შემდეგ თბილელი მღვდელმთავრები მიტროპოლიტის მაღალი სამღვდელმთავრო წოდებით იხსენიებიან. თბილელის მიტროპოლიტობა მეფე ერეკლე მეორემაც დაადასტურა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე თბილელი და მცხეთელი მღვდელმთავრები თავიანთ დაწინაურებულ მდგომარეობას ინარჩუნებდნენ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ თბილელისა და მცხეთელის კათედრა ქართლის სხვა ეპარქიებთან ერთად ეგზარქოსს დაქვემდებარებულ ერთ სამღვდელმთავროდ გაერთიანდა.

მცხეთასა და თბილისში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა

ძირითადად ამ მხარეში არსებულ ეკლესია-მონასტრებში მიმდინარეობდა. უმდიდრესი ბიბლიოთეკები ჰქონდა მცხეთის სვეტიცხოვლის, სამთავროს, შიომღვიმის და სხვა საგანმანათლებლო კერებს. ყველა ეკლესია თავისებურ სკოლას წარმოადგენდა მომავალი თაობის ქრისტიანული ზნეობით აღზრდის თვალსაზრისით. ეკლესიის აქტიური პოზიციაც საქვეყნოდ იყო გაცხადებული სამეფო კარის თუ დიდებულთა მაღალზნეობრივი, ერისთვის მისაბაძი ქრისტიანული ცხოვრების შენარჩუნებისათვის. საეკლესიო კრება განაჩინებდა მეფის ყველა მნიშვნელოვან ნაბიჯს დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, ალექსანდრე დიდის... დროს.

XIX საუკუნის დასაწყისში, 1811 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, დასრულდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძველი პერიოდი. ამ დროიდან ქართველ მღვდელმთავართა ოდითგანვე მკაცრად განსაზღვრული უფლებრივი მდგომარეობა უარყოფილ იქნა, ქართლის უძველესი ეპარქიები კი ეგზარქოსს დამორჩილებულ ერთ – მცხეთა-ქართლის ეპარქიაში გაერთიანდა.

1917 წლის სექტემბერში თბილისის სიონში ავტოკეფალია აღდგენილი საქართველოს ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაზე შემუშავდა ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, რომლის თანახმად პირველ ეტაპზე 13 ეპარქია განახლდა. ეპარქიათა ჩამონათვალში პირველ და მეორე ადგილზე მცხეთისა და თბილისის სამღვდელმთავროები იხსენიება. პირველ კათოლიკოსად არჩეული კირიონ საძაგლიშვილი თბილისში ძველ საპატრიარქო ტაძარში – ანჩისხატში აღასრულებდა ღვთისმსახურებას. თბილელი მღვდელმთავრის კათედრა სიონის ტაძარი იყო. 1918 წლის ივნისში ტრაგიკულად აღსრულებული კათოლიკოს-პატრიარქის ადგილი თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ დაიკავა. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში, 1920 წლის 20 ივლისის მეორე საეკლესიო კრების განჩინებით, გარკვეული სახის ცვლილე-

ბები შევიდა. გაერთიანდა მცხეთისა და თბილისის ეპარქიები, მის მწყემსმთავარს ამის შემდეგ მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ეწოდა. საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქები ამიერიდან მცხეთისა და თბილისის გაერთიანებული სამღვდელმთავროების მწყემსმთავრები არიან.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ მცხეთა-თბილისის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრები და საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქები წმიდა მღვდელმთავარ კირიონ საძაგლიშვილის შემდეგ იყვნენ უწმიდესნი და უნეტარესნი:

**ლეონიდე ოქროპირიძე (1918–1921 წწ.);**

**ამბროსი ხელაია (1921–1927 წწ.);**

**ქრისტეფორე ციციქიშვილი (1927–1932 წწ.);**

**კალისტრატე ცინცაძე (1932–1952 წწ.);**

**მელქისედეკ ფხალაძე (1952–1960 წწ.);**

**ეფრემ სიღამონიძე (1960–1972 წწ.);**

**დავით დევიდარიანი (1972–1977 წწ.).**

1977 წლის 25 დეკემბრიდან საქართველოს წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიას მწყემსმთავრობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II შიოლაშვილი.

მთელი ამ ხნის მანძილზე ქვეყანაში არსებული ანტიეკლესიური პოლიტიკური რეჟიმის მიუხედავად, ღვთის შეწევნით და პატრიარქის დინჯი და გაწონასწორებული მოღვაწეობით საქართველოს ეკლესია იბრუნებს საუკუნეთა ნაცად ტრადიციულ ფუნქციას.

მცხეთა-თბილისის ეპარქიაში აღრიდანვე ასეულობით ტაძარი იყო აგებული ჩვენი წინაპრების მიერ. ამჟამად მოქმედი ეკლესიებისა და მონასტრების რიცხვი ორ ასეულს აღწევს, ღვთისმსახურთა რაოდენობა კი გაცილებით მეტია.

## 2. რუსთავისა და მარნეულის ეპარქია

რუსთავისა და მარნეულის ეპარქია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთით მდებარე ერთ-ერთი საზღვრისპირა ეპარქიაა.

იგი მოიცავს ქალაქებს – რუსთავს, მარნეულს, გარდაბანსა და მათ მიმდებარე ტერიტორიას. ეპარქიის იურისდიქცია ისტორიულ ქვემო ქართლის ვაკეზე (აღმოსავლეთით რუსთავი, დასავლეთით მარნეული), მდინარეების – მტკვრის, ალგეთისა და ხრამის აუზებზე ვრცელდება. რუსთავისა და მარნეულის სამღვდელმთავროს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქია, ჩრდილოეთიდან – მცხეთა-თბილისის, დასავლეთიდან – მანგლის-წალკისა და ბოლნისის ეპარქიები, ეპარქიის სამხრეთი საზღვარი ემთხვევა სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარს.

ეპარქიის სამღვდელმთავრო რეზიდენცია – რუსთავი საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქად არის მიჩნეული. ტოპონიმ „რუსთავის“ წარმოშობას ამ ადგილებში მდ. მტკვრიდან სარწყავი არხის, ძველქართულად – „რუს“ გაყვანას უკავშირებენ: „გაიღო მეფემან ვახტანგ რუ მტკურისაგან“.

მარნეული ქალაქურ დასახლებად იქაური სოფლების: ლომთაგორა-მარნეულის, ეკლესიის, ჭანდარ-სანდარისა და სარვანის გაერთიანების შედეგად იქცა. უძველესი დასახლებაა ლომთაგორა, „მარნეულს, სადაცა არს აფთარნი მრავალნი, არს ნაციხვარი, მის გამო იწოდა ძუელადვე ლომთა-გორა“, რომელიც წერილობით წყაროებში პირველად XIII ს-ში იხსენიება. XVII ს-ში ირანის შაჰმა აბას I აქედან აფრილი ქართული მოსახლეობის ნაცვლად ბორჩაღუს თურქმანული ტომი დაასახლა, რის გამოც აქაურ დასახლებასაც ბორჩაღო ეწოდა. XX ს-ის შუახანებში კი კვლავ აღდგა ძველი ქართული სახელწოდება.

ეპარქიის ტერიტორიაზე ეკლესიათა მშენებლობა საქართველოს გაქრისტიანების დასაწყისიდანვე იწყება. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, IV ს-ის ბოლოს თრდატ მეფეს რუსთავში დაუდგია „ეკლესიისა საფუძველი“. საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციული მოწყობის დროიდან რუსთავი მცხეთის საყდრის იურისდიქციაში შედიოდა. წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის შემ-

დეგ რუსთავი საეპისკოპოსო ერთეულად აღირაცხება და იგი რუსთავის საერისთავოს ტერიტორიას მოიცავდა. იმჟამინდელი ტრადიციის თანახმად, ახლად ჩამოყალიბებული ეპარქიებისათვის საერისთავოების ცენტრალურ ქალაქებში საგანგებოდ შენდებოდა საეპარქიო საკათედრო ტაძრები. V საუკუნის ბოლოსათვის რუსთავში უკვე არსებობდა ერთი საკათედრო და რამდენიმე მასზე დაქვემდებარებული ეკლესია. არქეოლოგიური მონაცემებით, რუსთავში დადასტურებულია ქრისტიანობის ადრეული პერიოდის ეკლესიათა არსებობა.

საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში რუსთველი ეპისკოპოსის აქტიურობა არაერთხელ დასტურდება. 506 წლის დვინის საეკლესიო კრებას რუსთველი ეპისკოპოსიც ესწრებოდა.

დროთა განმავლობაში რუსთავის საეპისკოპოსოს მდგომარეობა იცვლებოდა, მას ხშირად ჰქონდა დამცრობა-შევიწროებისა თუ აღზევება-დაწინაურების პერიოდები. აღმოსავლეთ საქართველოში, მეფობის გაუქმების შემდეგ, მომხდურთა სათარეშო ასპარეზად თბილისთან ერთად ქვემო ქართლის ვაკეც იქცა. საქართველოში არაბების გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ, თბილისის საამიროს ოთხსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, VIII ს-ის 30-იანი წლებიდან XII ს-ის დასაწყისამდე, რუსთავი თბილისის ამირას ხელში იყო. XI საუკუნეში მას დამოუკიდებელი ამირაც კი განაგებდა. XIII საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ოქროს ურდოს ყაენმა ბერქამ დაარბია რუსთავი და მისი მიმდებარე მხარეები. ამის შემდეგ რუსთაველი მღვდელმთავრის სადგომად მიჩნეულ იქნა მარტყოფი. მარტყოფში მყოფი მღვდელმთავარი კვლავ რუსთველად იხსენიებოდა.

რუსთველი მღვდელმთავრის დაწინაურებასა და ამაღლებას მისი ბისონით შემოსვითა და მიტროპოლიტის ხარისხში აყვანით ერეკლე I განაჩინებს: „შევაძკეთ და მიუბოძეთ საუფლო კაბა ჩვენი პორფირ-ბისონი და შთავაცვით კვართი სამთავრო და შევმოსეთ მეფეთა სამოსელითა

და მიტროპოლიტად განვაწესეთ“.

აღზევებული საეპისკოპოსო 1811 წელს, საქრთველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისას, მხოლოდ რვა სოფლით შემოიფარგლებოდა. ეგზარქოსის ინსტიტუტის დაწესებით კი ეპარქია საერთოდ გაუქმდა და საეკლესიო ორგანიზაცია ქართლსა და კახეთში მხოლოდ მცხეთისა და ალავერდის ეპარქიებით განისაზღვრა.

თითქმის ორსაუკუნოვანი უმოქმედობის შემდეგ საგანმანათლებლო და მწიგნობრული ტრადიციით გამორჩეული რუსთავის ეპარქიის აღდგენა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ძალისხმევით მხოლოდ 1995 წლის აპრილში გახდა შესაძლებელი. 2002 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, რუსთავის ეპარქიას რუსთავისა და მარნეულის ეპარქია ეწოდა.

1997 წელს რუსთავის სამღვდელმთავროს მწვემსმთავრად დაინიშნა მალაყოფლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი ათანასე (ჩახვაშვილი).

### 3. ქუთაის-გაენათის ეპარქია

ქუთაის-გაენათის ეპარქია დასავლეთ საქართველოში, ისტორიული ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. იგი მდინარე რიონის ქვემო დინებასა და წყალწითელას ხეობას მოიცავს. ეპარქიის შემადგენლობაში შედის ქალაქები ქუთაისი, წყალტუბო, მათი მიმდებარე ტერიტორიებით და ტყიბულის რაიონის ნაწილი. ქუთაის-გაენათის ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება თერჯოლისა და ტყიბულის, დასავლეთიდან – ხონისა და სამტრედიის, ჩრდილოეთიდან – ნიკორწმინდის, ცაგერისა და ქვემო სვანეთის, სამხრეთიდან – ვანისა და ბაღდათის ეპარქიები.

ბიბლიური ნოეს შთამომავლის – ეგრის წილხვდომილ მამულზე, ადრეულ წერილობით წყაროთა დასტურით, არსებული უძველესი სახელმწიფოს შესახებ ძველი ასურული და ურარტული სოლისებრი

წარწერები გვაუწყებენ. ანტიკურ სამყაროში ცნობილი კოლხეთის მძლავრი სამეფოს შესახებ ბერძენ-რომაელი მწერლებიც წერდნენ. ჰეროდოტე მას ახლო აღმოსავლეთის დიდი მონარქიების – მიდიისა და აქემენიდური ირანის – გვერდით ახსენებს. ამ ქვეყნის ცენტრალურ ქალაქს აპოლონიოს როდოსელი (ქრისტეს შობამდე III ს.) კუტაიას, ხოლო პროკოპი კესარიელი (VI ს.) კუტაიონს უწოდებენ. ევროპა-აზიის წყალგამყოფი და საერთაშორისო მაგისტრალის ერთი მონაკვეთი – მდ. რიონი – ეპარქიის ტერიტორიას შუაზე ყოფდა. ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები სწორედ მდინარე ფაზისთან აკავშირებენ საქართველოში მოციქულთა მიმოსვლის მარშრუტს.

VII ს-ში დაარსებულა ქუთაისის საეპისკოპოსოც, რომელიც იმუამინდელ დასავლეთ საქართველოს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ქუთაისის სამღვდელმთავრო კათედრის დაწინაურება, განსაკუთრებით VIII ს-ის ბოლო მეოთხედიდან, ლეონ II აფხაზთა მთავრის მიერ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებული სამეფოს შექმნით დაიწყო. ახალშექმნილი სამეფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი ქუთაისი გახდა, რომლის ძალაუფლება მთელ დასავლეთ საქართველოზე, მათ შორის ზღვისპირეთზეც ვრცელდებოდა. ბერძნულენოვანი ლაზიკისა და აბაზგიის სამღვდელმთავროების გაუქმების შემდეგ პოლიტიკურად გაერთიანებული დასავლეთ საქართველოს დაწინაურებულ კათედრად ქუთაისის სამწყსო ითვლებოდა, რომელიც გურიისა და აჭარის მნიშვნელოვან ნაწილსაც აერთიანებდა. ქუთათელი მღვდელმთავრის აღზევება აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში „მეფე“ სტეფანოზის და მთელი სამეფო ოჯახის გადასვლამ (VIII ს-ში არაბთა შემოსევების გამო) განაპირობა. მეფემ უკანასკნელი განსასვენებელი „საყდარსა ქუთაისსა“ პოვა და ამის შემდეგ ქუთაისი მეფეთა საძვალედ ითვლებოდა.

X ს-ის ბოლო მეოთხედიდან, 978 წელს ქუთაისში გაერთიანებული საქართველოს მეფის – ბაგრატ III კურთხევის შემდეგ

იგი ოფიციალურად საქართველოს დედაქალაქი, ხოლო „ქუთათელი – საქართველოს მეფეთა მაკურთხებელიცა და მესაფლავეც გახდა“. საქართველოს იმუამინდელი დედაქალაქისათვის ახალი სამღვდელმთავრო კათედრა 1027 წელს „აღაშენა მეფემან ბაგრატ, ყოვლად წმიდისა ეკლესია შეუენიერი, გუმბათიანი... ყოვლითა შემკობილებითა სრული, და ფრიად დიდი...“. ქუთაისი 1122 წლამდე, დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებამდე, საქართველოს დედაქალაქად ითვლებოდა და ამის შემდეგაც რუსუდანის, დავით ნარინისა და სხვათა მეფობისას იგი საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. მეფის კურთხევის დროს დედაქალაქად თბილისის დაწესების მიუხედავად, ძველი ტრადიციის შესაბამისად კვლავ ქუთათელია ერთ-ერთი უპირატესი მღვდელმთავარი, „ვინათგან ღიხთ-იმერიოთგან იყო წესი დადგმად გვირგვინსა თავსა სამეფოსა“. თამარის მეფედ კურთხევისას საქართველოს ეკლესიის დაწინაურებულ მღვდელმთავართა შორის უმთავრესი სამეფო რეგალიის – მეფის გვირგვინის დადგმა კვლავ ქუთათელმა აღასრულა.

XVII-XVIII სს., იმერეთის საერთო დაკნინების პერიოდი, ქუთათელის სამღვდელმთავროს დამცრობის ხანად ითვლება. ოსმალთა მძლავრობისაგან და ადგილობრივ მთავართა მიხდომისაგან გაპარტახებული ქუთათელის სამღვდელმთავრო კათედრა საუკუნის ბოლოს, 1691 წელს დროებით გაუქმდა კიდევ: „გამოვიდნენ ციხიდან ოსმალნი და შემუსრეს ქუთაისის ეკლესია ყოვლად წმიდისა დიდ შეუენიერად გებული... საქუთათლო საეპისკოპოსოს“.

ქუთაისის გაპარტახებული ეპარქიის აღდგენა XVIII ს-ის შუა წლებიდან იწყება. 1740 წელს სრულიად ახალგაზრდა, 20 წლის მიტროპოლიტი ანტონ ბაგრატიონი, მომავალში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, ქუთაისის ეპარქიის მწყემსმთავრად დაადგინეს. იმერეთის მეფის – სოლომონ I ძალისხმევას უკავშირდება დამცრობილ-დაკნინებული ქუთაისისა და გელათის სამღვდელმთავროთა ტე-

რიტორიის და ძველი მამულების მოძიება და განახლება.

ეგრის-აფხაზეთის საკათოლიკოსო კათედრისა და რეზიდენციის გელათში გადატანის შემდეგ კათოლიკოსად ხშირად ქუთათელს ან გაენათელს ნიშნავდნენ.

ქუთათელისა და გაენათელის სამშობლოსადმი ტრადიციულ ერთგულებასა და დიდ მამულიშვილობას ავტოკეფალიის გაუქმებამდე აქაურ მღვდელმთავართა – დოსითეოზ ქუთათელისა (წერეთელი) და ექვთიმე გაენათელის მოღვაწეობა ადასტურებს. მე-18 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან, თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე, 1820 წლამდე, აღნიშნულ კათედრებს განაგებდნენ დოსითეოზ ქუთათელი (წერეთელი) და ექვთიმე შერვაშიძე. მათი ძალისხმევით, მთელი საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანების საფუძველი მომზადდა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“ დაიდო, სადაც ამიერ და იმიერ ქართველთა ჭირსა და ღხინში თანადგომის აღთქმა იყო დადებული.

1819–20 წლების იმერეთის ცნობილი აჯანყებისას დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი აჯანყების შუაგულში აღმოჩნდნენ. რუსეთის მიერ წამოწყებული „ინვენტარიზაციით“ აღშფოთებულ იმერელ მოსახლეობას მღვდელმთავრები ქრისტესმიერი სიყვარულით განსჯისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდებდნენ, ხოლო რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლებას ამ გაუგონარი და ჩვენი ეკლესიისათვის მიუღებელი საქმიანობის შეწყვეტას სთხოვდნენ. რუსმა მოხელეებმა მოხუცი მღვდელმთავრები სახელმწიფოს მტერ „ბუნტოვშიკებად“ შერაცხეს და მათ დასაპატიმრებლად, თითქოს დიდ საომარ ოპერაციას ატარებდნენ, დამატებითი შეიარაღებული რაზმები მოითხოვეს.

ნაცემი და ხიშტებით დაჩხვლევტილი მღვდელმთავრები, ტომრებით ცხენებს აკიდებულნი, რუსეთის გზას გაუყვნეს. დასუსტებული დოსითეოზი ანანურთან გარდაიცვალა, ექვთიმე კი ნოვგოროდიდან იმპერატორთან წარსადგენად პეტერბურგში ჩაიყვანეს... მოხუც მღვდელმთავარს მრავალრიცხოვან ქართველთა სისხლის დათხევის გამო იმპერატორ ალექსანდრე I-სთვის „ახალი დროის ნერონი“ უწოდებია. გასახლებული და სამშობლოს მონატრული მსცოვანი მღვდელმთავარი 1822 წლის 21 აპრილს ნოვგოროდში, სვირის მონასტერში გარდაიცვალა.

იმერეთის აჯანყების სასტიკად ჩახშობის შემდეგ, 1821 წელს რუსეთის სინოდის 19 ნოემბრის ბრძანებით, იმერეთში არსებული ეპარქიებიდან შეიქმნა მხოლოდ ერთი – იმერეთის ეპარქია, რომლის კათედრა ქუთაისში იყო. ეპარქიის მმართველობა, იმპერატორის ნება-სურვილით, მანამდე ნიკორწმინდელ ეპისკოპოს სოფრომ წულუკიძეს მიანდეს (1821–1845 წწ.). მას რუსეთის სინოდმა არქიეპისკოპოსის წოდება მიანიჭა.

ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წლის სექტემბერში, საქართველოს ეკლესიის პირველ კრებაზე განახლებულ 13 ეპარქიას შორის ქუთაისისა და გელათის ეპარქიებიც აღდგა. კრებაზე ქუთათელ მღვდელმთავრად დაინიშნა მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე. ქვეყნად დაწყებული საეკლესიო რეპრესიების დროს მიტროპოლიტი ანტონი, მალევე, 1918 წლის სექტემბერში, მოწამვლით გამოასალმეს სიცოცხლეს. მალე ქუთაისისა და გაენათის კათედრები ერთ სამწყსოდ გაერთიანდა და ქუთაის-გაენათის ეპარქია ეწოდა.

ქუთაის-გაენათის ეპარქიას ამჟამად მართავს მაღალყოვლადუსამღვდლოესი მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი).

#### 4. მანგლისისა და წალკის ეპარქია

მანგლისისა და წალკის ეპარქია ქრისტიანული საქართველოს უძველესი სამღვდელმთავრო სამწყსოა. ეპარქიის შემადგენლობაში შედის მანგლისის, თეთრიწყაროს (ძვ. გარისი), წალკის (ძვ. ეძინი) რაიონები. ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება რუსთავისა და მარნეულის, დასავლეთიდან – ბორჯომისა და ბაკურიანის, ახალქალაქისა და კუმურდოს, ჩრდილოეთიდან – მცხეთა-თბილისის, სამთავისისა და გო-

რის, სამხრეთიდან – ბოლნისის და, აგრეთვე, დმანისის ეპარქიები. წმიდა მეფე ვახტანგის მიერ დაარსებულ საქართველოს საკათოლიკოსოს ეპარქიათაგან მანგლისი მეოთხე სამღვდელმთავროდ იხსენიება. იგი 12 ეპარქიას შორის ახიზის, ერუშეთისა და წუნდის შემდეგ სახელდება, რაც მისი დიდი მნიშვნელობით იყო განპირობებული. IV ს-ის I ნახევარში წერილობით წყაროებში უკვე ქალაქად მოხსენიებული მანგლისი ვახტანგის შემდეგ პერიოდში, VI ს-ში, ქართლის „ყველაზე მნიშვნელოვან“ ქალაქთა შორის (თბილისი, უჯარმა, ბოლნისი, რუსთავი) იხსენიება. საეკლესიო კუთხით მანგლისის დაწინაურებას საკათედრო ტაძრის აგება და იქ დაცული უმნიშვნელოვანესი სიწმიდეები – „ფიცარი ფერხისა უფლისა“ განაპირობებდა. მანგლისის საყდრის დაწინაურებულ მდგომარეობას დვინის საეკლესიო კრებაზე, 506 წელს, 24 ქართველ ეპისკოპოსთა შორის აქაური მღვდელმთავრის „ელაგეს ეპისკოპოს მანგლევაცის“ მე-9 ადგილზე მოხსენიებაც მიანიშნებს.

ეპარქიის საკათედრო ტაძარი VI ს-ში იმდენად სახელგანთქმული იყო, რომ მცხეთის ჯვართან ერთად სახელდება და მის მოსალოცად საქართველოს საზღვრებს გარედან, კერძოდ სომხეთიდანაც დადიოდნენ.

ამჟამად ეპარქია მანგლისის ძველ სამღვდელმთავრო სამწყსოსთან ერთად წალკის კათედრის ტერიტორიასაც აერთიანებს. ვახუშტის ცნობით, მდინარე „ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიანი, წალკას დიდი, კეთილნაშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თრიალეთისა“. თუმცა წალკის გაქალაქება და მისი სახელობის საეპისკოპოსო კათედრის ჩამოყალიბება მოგვიანებით მოხდა. საუკუნეთა მანძილზე ირანოსმალეთთან განუწყვეტელმა თავდაცვითმა ბრძოლებმა, ჩრდილოკავკასიელი ტომების ხშირმა დარბევებმა – „ლეიანობამ“ – მოსახლეობის რიცხვი შეამცირა, ტერიტორიები გააპარტახა და XVIII ს-ის შუახანებისათვის ქართლისა და კახეთის ზოგიერთი ეპარქიის მსგავსად მანგლისისა და წალკის საეპისკოპოსოებიც აოხრდა და დაიცალა.

ადრიდანვე, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდან, ამ მხარეში მრავალი გამორჩეული ეკლესია და მონასტერი არსებობდა: სამშვილდე, გუდარეხი, დიდი თონეთის სამება, ფიტარეთი, დიდი კლდეისი, წინწყარო, ბეშთაშენი, წალკა, თეძამი, პირღებული და სხვ. 1917 წლის სექტემბერში აღდგა უძველესი და მრავალგანსაცდელგამოვლილი სამღვდელმთავრო კათედრა. იგი მანგლისისა და წალკის ძველ საეპისკოპოსო ტერიტორიათა გაერთიანებული სამწყსოა.

ქვეყნის ძნელბედობის ქამს უძველეს ქართულ საქრისტიანო კუთხეში სხვადასხვა ეროვნების ხალხი ჩაასახლეს. ეს მხარე დიდი ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რამაც მართლმადიდებელი მრევლის შემცირება გამოიწვია. თავის დროზე, მაჰმადიანური აგრესიის გამო, ეს მხარე დიდად დაზარალდა, ახლა ამას დაემატა ისიც, რომ ქართული მოსახლეობა უცხოეთში, ძირითადად საბერძნეთში, წავიდა. ბერძნული მოსახლეობის დიდმა ნაწილმაც დატოვა საქართველო და სამშობლოში დაბრუნდა.

ამჟამად ეპარქიას მართავს მადალყოფილადუსამღვდლოესი მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე).

## 5. ჭყონდიდის ეპარქია

ჭყონდიდის ეპარქია დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. იგი მოიცავს ქალაქებს – აბაშას, მარტვილს და მათ მიმდებარე ტერიტორიას. ჭყონდიდის ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ხონის, დასავლეთიდან – სენაკისა და ჩხოროწყუს, ჩრდილოეთიდან – ცაგერისა და ლენტეხის, სამხრეთიდან – ფოთისა და ხობის და შემოქმედის ეპარქიები.

საეკლესიო ტრადიცია ქრისტიანობის ქადაგებას ამ მხარეში წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულს მიაწერს. იმჟამად ამ ადგილზე სახელგანთქმული კერპი – მუხის დიდი ხე, მეგრულად „ჭყონი დიდი“ მდგარა და მის სათაყვანებლად და მსხვერპლშესაწირად მთელი ეგრისის

მოსახლეობა დადიოდა. მაგიური ძალით შემოსილ ბომონს საუკუნეთა განმავლობაში ჩვილ პირმშოებს სწირავდნენ მსხვერპლად. წმიდა მოციქულმა უპირველეს კერპად მიხნეულ მუხას ქრისტეს სახელით, ხალხის თვალწინ, მოჭრა დაუწყო. უვნებლად გადარჩენილი ანდრიას ხილვისას ხის უძღურებით გუღმაცემულმა წარმართებმა ირწმუნეს ჭეშმარიტი ღმერთი და მუხა თვითონვე მოჭრეს. ანდრიას მიერ მოქცეულმა მეგრელებმა პირველი ეკლესიაც ბომონის ადგილზე ააგეს. ჭყონდიდელი მღვდელმთავარი X ს-დან მთავარეპისკოპოსის მაღალი სამღვდელმთავრო წოდებით მოიხსენიება.

მატიანის თანახმად, ჭყონდიდის უძველეს საკათედრო ტაძარში დასაფლავებულია ერთიანი საქართველოს დიდი მეფე ბაგრატ IV (1027–1072 წწ.).

ჭყონდიდელი მღვდელმთავრის დიდი გავლენისა და ავტორიტეტის გამო წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა საეკლესიო საქმეთა მოწესრიგებისას სწორედ მასზე შეაჩერა არჩევანი. ჭყონდიდელს უმაღლესი საერო თანამდებობა – მწიგნობართუხუცესობა მიანდო და მეფის შემდეგ სამეფოს პირველ პირად აქცია. შემდეგში მეფე დავითმა ჭყონდიდელს კიდევ ორი ეპარქია – ბედია და ალავერდი დაუქვემდებარა, რაც მისი მზარდი გავლენის მიმანიშნებელია. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ზოგჯერ ქართლის უპირველესი საეკლესიო იერარქი – კათოლიკოსიც ხდებოდა და სხვა ეპარქიის მღვდელმთავრობასაც ითავსებდა.

საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანაში, XV–XVIII სს-ში ჭყონდიდელი ეპისკოპოსი აფხაზეთის კათოლიკოსს ექვემდებარებოდა და სამეგრელოს სამთავროსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა. იგი სამეგრელო-ოდიშის სამთავროს ეკლესიის მეთაურად ითვლებოდა.

1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ განახლებულ 13 ეპარქიას შორის ჭყონდიდის უძველესი ეპარქიაც იყო. საბჭოური

რეპრესიების გამო ჭყონდიდის ეპარქიაში ეკლესიური ცხოვრების ეტაპობრივი აღდგენა მხოლოდ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ძალისხმევით იწყება.

ამჟამად ეპარქიის მწყემსმთავარია მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა).

## 6. ურბნისისა და რუისის ეპარქია

ურბნისისა და რუისის ეპარქია ქვეყნის შუაგულში, ამიერ და იმიერ საქართველოს საზღვარზე მდებარეობს. იგი ორი უძველესი სამღვდელმთავრო კათედრის – რუისისა და ურბნისის სამწყსო ტერიტორიას აერთიანებს, რომელთა ცალ-ცალკე მოხსენიება ვახტანგ გორგასლის შემდეგდროინდელი პერიოდიდან იწყება. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სამთავისისა და გორის ეპარქია, დასავლეთიდან – მარგვეთის და ჭიათურა-სახხერის, ჩრდილოეთიდან – ნიქოზისა და ცხინვალის, სამხრეთიდან – ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიები. ქვეყნისათვის ისტორიულად ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ცენტრალური ქართლის სამღვდელმთავროებს – რუისსა და ურბნისს გარკვეულწილად უკავშირდებოდა: საქართველოს მოსაქცევად მცხეთისაკენ გზად მიმავალმა წმიდანინომ ამ მხარეში გაიარა და ერთი თვის განმავლობაში ღვთაებრივი მოძღვრების ნათლით განანათლებდა აქაურ მკვიდრთ; ასურელ წმიდა მამათაგან სამი – მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი და თადეოზ სტეფანწმიდელი – ამ კუთხეში მოღვაწეობდა; ეპარქიის საკათედრო ტაძარში საქართველოს მეფის კურთხევაც (გიორგი II 1072–1089წწ.) აღსრულებულა და აქვე უკანასკნელი განსასვენებელიც უპოვია ქვეყნის წინამძღოლს (ალექსანდრე IV იმერთა მეფე, 1683–90, 1691–95 წწ.); ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად კი წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის დროს, 1104 წელს, „სანახებთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუისისა და ურბნისისათა“ საეკლესიო კრების ჩატარება

ითვლება, რომელიც „დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრება და გამოწულილეთა ფრიადითა... კეთილწესიერებაჲ სათნოდ ღმრთისაჲ დაამტკიცეს“.

ეპარქიის ტერიტორიაზე ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისი ქართველთა განმანათლებელს – წმიდა ნინოს უკავშირდება. აქ არსებული უძველესი ეპარქიები V საუკუნის ბოლოს დაფუძნდა. რუისის საკათედრო ტაძრის აშენება წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალს მიეწერება. ურბნისის საკათედრო ტაძარიც V–VI საუკუნეთა მიჯნაზე აუგიათ და მისი განახლება ცამეტ ასურელ მამათაგანს, თათე სტეფანწმინდელს უკავშირდება.

ეპარქიათა ტერიტორიაზე ოდითგანვე მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა არსებობდა. ორივე საკათედრო ტაძარში და ეპარქიის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებში უმდიდრესი ბიბლიოთეკები არსებობდა, რომელთა მოვროვება უძველესი დროიდან დაიწყო.

დიდი ისტორიის მქონე ეპარქიები, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, მცხეთა-ქართლის ეპარქიას მიუერთეს. რუის-ურბნისის ეპარქიის განახლება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას უკავშირდება. 1917 წელს, განახლებულ ცამეტ ეპარქიას შორის ერთ-ერთი ურბნისის ეპარქიაც იყო, გარკვეულ დროს კი უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქს ან მეზობელ სამწყსოს მღვდელმთავარს ჰქონდა სამართავად შეთავსებული.

ეპარქიის თანდათანობით აღორძინება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მწყემსმთავრობისას გახდა შესაძლებელი. დაიწყო ღვთისმსახურთა დადგინება, ეკლესია-მონასტრების განახლება. 1996 წლის 21 ოქტომბრიდან ეპარქიაში საეკლესიო ცხოვრების განსაკუთრებული გამოცოცხლება მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტის იობის (აქიაშვილის) მმართველ მღვდელმთავრად დადგენას უკავშირდება.

## 7. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში მდებარეობს და ისტორიული აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიას მოიცავს. მის შემადგენლობაში შედის ქალაქები – სოხუმი, ოჩამჩირე, გალი, გუდაუთა, გაგრა, გულრიფში და მათი მიმდებარე ტერიტორიები. ცხუმ-აფხაზეთის სამღვდელმთავრო სამწყსოს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მესტიისა და ზემო სვანეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიები, ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის ცენტრალურ ქედს ემთხვევა, დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთისა კი – შავი ზღვისპირა ზოლზე მდებარეობს.

აფხაზეთი, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, I ს-ში მოციქულებმა მოიარეს და ქრისტიანობა იქადაგეს. ტრადიციის თანახმად, წმიდა მოციქულის სვიმონ კანანელის საფლავი აფხაზეთშია. ქრისტიანობის დევნისას, I–III საუკუნეებში რომის იმპერიიდან აფხაზეთში, როგორც მასზე დაქვემდებარებულ მხარეში, მრავალი ქრისტიანი გაასახლეს. 325 წელს ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიწვეული იყო ბიჭვინთელი ეპისკოპოსი სტრატოფილე. ეს ფაქტი საქართველოს ზღვისპირეთში ადრიდანვე მტკიცე ქრისტიანული თემების არსებობის მიმანიშნებელია. IV ს-ში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ეს მხარე გაქრისტიანდა და აქტიური ქრისტიანული ცხოვრება დაიწყო. აფხაზეთში სარწმუნოების განმტკიცებას ხელს უწყობდა ამ მხარეში დიდ ქრისტიან წარმომადგენლთა: – წმიდა იოანე ოქროპირის, წმიდა მოწამე ვასილისკოს, წმიდა მოწამე ლონგინოზ ბიჭვინთელის, წმიდა მოწამე ერნა კომანელის და სხვათა ცხოვრება-მოდვაწეობა.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ იქ არსებულ ბერძნულენოვან სამღვდელმთავროთა თანდათანობით გადმოქართულების პროცესი დაიწყო. „აფხაზეთა სამეფოს“ შექმნის შემდეგ აღნიშნული კათედრების გაერთიანებით „აფხაზეთის

საკათოლიკოსო“ ჩამოყალიბდა. აფხაზეთის საკათოლიკოსო საქართველოს ერთიანი ეკლესიის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. მას ადრიდანვე უცხოელი ავტორები „ქვემო ივერიის“ ანუ დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს სახელით იხსენიებდნენ. X სიდან ბერძნული საეპისკოპოსოების სანაცვლოდ ქართული სამღვდელმთავრო კათედრების დაფუძნება დაიწყო.

XVI–XVII სს-ში ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული მთიელთა ტომები საქართველოს ისტორიულ კუთხეში – აფხაზეთში დამკვიდრების გამო აფხაზებად იწოდებიან. თუმცა კი თავიდანვე ცნობილი იყო მათი ეთნიკური განსხვავება ძველი აფხაზეთისაგან. დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის საკათოლიკოსოში გარკვეულ დროს ეპარქიათა რიცხვი 25-მდე აღწევდა. დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს გაუქმების დროს იმერეთის სამეფოს სამღვდელმთავროები 4-მდე შემცირდა, ხოლო მოგვიანებით აფხაზეთის საკათოლიკოსო ქუთაის-იმერეთის ერთ ეპარქიად ჩამოყალიბდა. XIX ს-ის 50-იან წლებში აღდგა აფხაზეთის საეპისკოპოსო, რომელსაც 1885 წლამდე განაგებდნენ ქართველი მღვდელმთავრები. 1885 წლიდან სოხუმის ეპარქიის სახელით აღმდგარ აფხაზეთის ეპარქიას ანტიქართული ორიენტაციის რუსი ეპისკოპოსები მართავდნენ. რუსეთის ხელისუფლების რეაქციული გეგმა აფხაზეთში ეროვნული დაპირისპირებისა და მტრობის გაღრმავებას ითვალისწინებდა. 1917 წლის სექტემბერში, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ მოწვეულ საქართველოს პირველ საეკლესიო კრებაზე აღადგინეს აფხაზეთის ეპარქია, რომლის მწვემსმთავარს ცხუმელ-ბედიელი ეწოდა.

1992 წლიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას მწვემსმთავრად დადგენილია მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი).

## 8. ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია

ჭიათურის და საჩხერის ეპარქია დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთით – ზემო იმერეთში, ისტორიული არგვეთის,

იმავე მარგვეთის, საერისთავოში მდებარეობს. იგი ჭიათურა-საჩხერის რაიონებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიას მოიცავს. ეს რეგიონი ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის შექმნამდე მარგვეთის ეპარქიას მიეკუთვნებოდა. ჭიათურის ეპარქია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 1995 წლის 5 აპრილის განჩინებით შეიქმნა. 2002 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ეპარქიას სახელი შეეცვალა და ამიერიდან ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია ეწოდება. ახლად შექმნილი ეპარქია დაყოფილია ორ – ჭიათურისა და საჩხერის ოლქებად. ჭიათურისა და საჩხერის სამღვდელმთავრო ტერიტორიას აღმოსავლეთის მხრიდან ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია ესაზღვრება, დასავლეთიდან – ქუთაის-გაენათის, ჩრდილოეთიდან – ნიკორწმინდის, სამხრეთიდან – მარგვეთისა და უბისის, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ურბნისისა და რუისის ეპარქიები.

V–VI საუკუნეების ქრისტიანულ ნაგებობათა კვალი ამ მხარეში ადრექრისტიანული პერიოდიდანვე სარწმუნოების მტკიცედ გავრცელების მიმანიშნებელია. არგვეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული სარწმუნოება აღმოსავლეთ საქართველოს უშუალო მეზობლობით და მისი გავლენით გავრცელდა.

1917 წ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გაუქმებულ ეპარქიათა ამოქმედებითაც აღინიშნა. თანამედროვე ჭიათურა-საჩხერის ეპარქია მარგვეთის ეპარქიაში შედიოდა.

1995 წლის 5 აპრილის საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, მარგვეთის ეპარქიის განვრცობილი ტერიტორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა: ა) საკუთრივ მარგვეთისა და ბ) ჭიათურის ეპარქია. 2002 წლის ოქტომბრიდან ჭიათურის ეპარქიას ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია ეწოდა.

2002 წლის 17 ოქტომბრიდან ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად დადგენილია მაღალყოვლადუსამღვდელოესი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი).

## 9. ალავერდის ეპარქია

ალავერდის ეპარქია ოდითგანვე კახეთის უმთავრეს ქრისტიანულ სამწყსოდ ითვლება. იგი ორ ქალაქს – თელავსა და ახმეტას და მათ მიმდებარე ტერიტორიას მოიცავს. ალავერდის ეპარქიას აღმოსავლეთიდან ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია ესაზღვრება, დასავლეთიდან – თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის, სამხრეთიდან – საგარეჯო-ნინოწმინდისა და გურჯაან-ველისციხის, ხოლო ჩრდილოეთიდან – კავკასიონის მთების ცენტრალური ქედი.

ისტორიული ტრადიცია ალავერდის ეპარქიის ჩამოყალიბებას XI საუკუნის პირველ მეოთხედში კახეთ-ჰერეთის მმართველ კვირიკე III (1010–1037 წწ.) მოღვაწეობას უკავშირებს.

ეპარქიის დაარსებისთანავე აქაური მწყემსმთავარი ამბა ალავერდელის წოდებით იხსენიება. ტერმინი „ამბა“ სირიულია და მონასტრის წინამძღვრის ქართული სახელწოდების – „მამის“ შესატყვისს წარმოადგენს. ამ ზედწოდებას ალავერდელი ეპისკოპოსები ატარებენ იმის გამო, რომ ისინი მონასტრის წინამძღვრებიც იყვნენ. ტრადიციის დამკვიდრება ალავერდის პირველი წინამძღვრის, ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთის, იოსების სახელს უკავშირდება, რომელიც ამბა ალავერდელად იწოდებოდა. იოსებ ალავერდელის საფლავი თავისსავე დაარსებული მონასტრის – წმიდა გიორგის ეკლესიაშია.

ადრიდანვე ალავერდის ეპარქიის დაწინაურებული მდგომარეობა მისმა მდებარეობამ, ისტორიულმა ვითარებამ და კახეთის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებამ განაპირობა. მისი სამწყსო ტერიტორია ვრცელდებოდა „... თურდოს-ხევს შტორს ზეით კახეთის მთად კავკასამდე.“

ამბა ალავერდელის დიდი მნიშვნელობა ერთიანი საქართველოს სამეფოებად დაშლის შემდეგაც გამოკვეთილი იყო.

ალავერდის მტერთაგან მრავალგზის აოსხრების მიუხედავად, მონასტერი ბოლო დრომდე საქართველოს ერთ-ერთ მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო კერად

ითვლება. 1917 წელს, საუკუნოვანი ბრძოლის შემდეგ, ავტოკეფალია აღდგენილმა საქართველოს ეკლესიამ პირველ ეტაპზე 13 ეპარქია აღადგინა. 17 სექტემბერს საეკლესიო კრებამ ახლად აღდგენილ ალავერდის საეპისკოპოსო კათედრაზე მღვდელმთავრად დაადგინა ეპისკოპოსი პიროს ოქროპირიძე.

1993 წლის 1 სექტემბრიდან მაღალყოვლადღუსამღვდელოესი ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი გახლავთ დავითი (მახარაძე).

## 10. დასავლეთ ევროპის ეპარქია

საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქია მოიცავს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს – ავსტრიას, ბელგიას, გერმანიას, დანიას, დიდ ბრიტანეთს, ესპანეთს, იტალიას, ლუქსემბურგს, პორტუგალიას, საფრანგეთს, შვეიცარიას, შვეციას, ჰოლანდიას და დროებით ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეპარქია თავის იურისდიქციაში აერთიანებს აღნიშნულ სახელმწიფოებში დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად ემიგრირებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს და ამ ქვეყნებში მცხოვრებ იმ უცხოელებს, ვინც თავს მიიჩნევს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრად.

საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქია შეიქმნა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე. ახალშექმნილი ეპარქიის მღვდელმთავრის ტიტულია საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპისკოპოსი.

საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად დადგენილია მაღალყოვლადღუსამღვდელოესი მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია).

## 11. ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია

ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობს. იგი ქალაქებს – ყვარ-

ელს, ლავროდებს და საინგილოს მხარეს მოიცავს. ეპარქიას დასავლეთის მხრიდან ალავერდის, სამხრეთიდან – გურჯაან-ველისციხის და ბოდბის ეპარქიები ესაზღვრება, აღმოსავლეთის საზღვარი კი აზერბაიჯანთან და დაღესტანთან გადის.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე ეს მხარეც გაქრისტიანდა და უკვე IV ს-ის II ნახევარში თრდატ მეფემ „ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღაშენა განსრულებით“, რომელიც საქართველოში დღემდე მოღწეულ ეკლესიათაგან ერთ-ერთ უძველეს ტაძრად ითვლება. მეფე ვახტანგ გორგასლის დროს ჩამოყალიბდა ნეკრესის ეპარქია, რომლის სამწყსო ტერიტორია თავიდანვე საკმაოდ განვრცობილი, ხოლო მისი მღვდელმთავარი იყო „ეპისკოპოზ გაღმა-მხრისა დიდოთურთ“. VI ს-ის II ნახევარში ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, აბიბოსი განაგებდა ნეკრესის სამღვდელმთავროს.

XVII ს-ის დასაწყისიდან შაჰმა აბას I კახეთს ნეკრესის სამღვდელმთავრო ტერიტორიის ნაწილი – კაკ-ენისელი ჩამოაშორა და იქ მუსლიმური სასულთნო შექმნა. ამ კუთხიდან ქრისტიანი მოსახლეობის მასობრივი აყრისა და განადგურების შემდეგ ეპარქია საკმაოდ შესუსტდა.

1811 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ნეკრესის უძველესი ეპარქია კახეთში შექმნილ ერთ – კახეთ-ალავერდის ეპარქიაში გაერთიანდა და მისი აღდგენა მხოლოდ 1995 წელს გახდა შესაძლებელი.

2002 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით ნეკრესის ეპარქიას ნომინალურად დაუქვემდებარეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს მიღმა არსებული ისტორიული ქართული პროვინცია ჰერეთი. ეპარქიასაც შეეცვალა სახელწოდება და ამის შემდეგ მას ნეკრესისა და ჰერეთის სამღვდელმთავრო ეწოდება.

1997 წლიდან ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარია მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი).

## 12. თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია

თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთში მდებარეობს. იგი მოიცავს არაგვისა და ივრის ხეობების ისტორიულ კუთხეებს – ერწო-თიანეთსა და ძველი ფხოვის ტერიტორიას. ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ალვან-თუშეთი, რომელიც ალავერდის ეპარქიის შემადგენლობაშია, დასავლეთიდან – ხევისა და სტეფანწმინდის ეპარქია, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან – გუდამაყარმთიულეთი, რომელიც წილკნის ეპარქიას მიეკუთვნება, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – მცხეთა-თბილისის ეპარქია; ჩრდილოეთი საზღვარი საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარს ემთხვევა ძველი ქისტეთის, იმავე ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან.

ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიელ მოსახლეობას საერთო სახელი – „მთეულნი“ ეწოდებოდათ. „მთეულნი“ კახეთის ჩრდილოეთით, არაგვისა და თერგის ხეობებში სახლობდნენ, სადაც თითოეულ კუთხეს თავისი საკუთარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ყოფა-ცხოვრების შესაფერისი ტრადიციული სახელწოდება ჰქონდა. ამ მხარის უკიდურესი სამხრეთით, მდინარე ივრის დასავლეთ მხარეს მდებარეობდა „ერწო“, ანუ „ერწო“, ერწოს ზემოთ, იორზე იყო „თიანეთი“, რომელიც ადრიდანვე არა მარტო ქალაქურ დასახლებას, არამედ მთელ კუთხეს ერქვა. გუდამაყრის ხეობის აღმოსავლეთით ფხოველთა მთებზე შეფენილი იყო „ფხოეთი“. ფხოეთი, იგივე ფხოვი, XV საუკუნემდე ფშავისა და ხევსურეთის ზოგადი სახელი იყო. ამდენად, სამღვდელმთავროს გეოგრაფიული საზღვრები ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის ისტორიულ კუთხეებზე – ფშავსა და ხევსურეთზე (ადრეული წერილობითი ძეგლების მიხედვით „ფხოვი“), ასევე – ერწოსა და თიანეთზე (გარკვეულ პერიოდში „ქალეთის ქვეყნის“ სახელით იყო ცნობილი).

თანამედროვე თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის კუთხეთა მოსახლეობა IV ს-ში წმიდა მეფე მირიანის რელიგიურ რეფორმას ერთნაირი განწყობით არ შეხვედრია. მემატინის უწყებით: წმიდა ნინომ და ეპისკოპოსმა იოანემ „მოუწოდეს მთიულთა, ჭართალელთა, ფხოველთა, გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყუნებელი ცხოვრებად საუკუნოდ; ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება; ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“, ხოლო ერწო-თიანეთელებმა „შეიწყნარეს და ნათელ იღეს“-ო. ფშავ-ხევსურთა გაქრისტიანება მიეწერება მირიანის ძეს, მეფე ბაქარს და ცოტა მოგვიანებით – წმიდა მღვდელმთავარ აბიბოს ნეკრესელს. აქაური მოსახლეობის საბოლოო გაქრისტიანება და საქართველოს საპატრიარქოსადმი მათი სრული საეპარქიო-ორგანიზაციული დაქვემდებარება წმიდა დავით აღმაშენებლის და თამარის ეპოქებს უკავშირდება. თუმცა თანამედროვე ეპარქიის ტერიტორიაზე გაცილებით ადრე წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის საეკლესიო მმართველობითი რეფორმის დროს დაფუძნდა ეპარქია, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით „ჟალეთი“, იგივე „ბერ“ ანუ ჩელეთიაო. ჟალეთს „გორგასალ აღაშენა ეკლესია კეთილ-შუენიერი, გუნბათიანი და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ჰევსურისა და ჰერკისა“. მოგვიანებით, ჟალეთის დამცრობის შემდეგ, როდესაც იგი მხოლოდ „ჟალეთის ქვეყნის“ პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა, აღნიშნული სამღვდელმთავროს ტერიტორიები ხარჭაშნის საკათედრო ტაძარს დაქვემდებარებია. დღემდე მოღწეული ხარჭაშნის, იმავე ხარჭიშოს სამონასტრო კომპლექსის წმიდა გიორგის ეკლესია, საცხოვრებელი, საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების შენობათა ნაშთები აღნიშნულ პერიოდს მიეკუთვნება. ამ დროიდანვე იწყება ხარჭაშნელი მღვდელმთავრის ხშირი მოხსენიება.

ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, თანამედროვე თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის იურისდიქციაში არსებული ტერიტორიები მუდამ მცხე-

თის საკათოლიკოსოს გამგებლობაში ითვლებოდა. ქვეყნის საერთო ძნელბედობის გამო ხალხმრავლობით გამორჩეული მთის კუთხეები მოსახლეობისგან იცლებოდა. მთის ძირძველი კუთხეების მასობრივი დაცარიელება მოსახლეობისაგან რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და საუკუნეთა ნაცადი ყოფა-ცხოვრების ტრადიციული წესის მოშლის შემდეგ დაიწყო. XIX ს-ის 80-იან წლებში აქაურ მკვიდრთა სხვა რეგიონებში გასახლება გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. XX ს-ის 50-იანი წლებიდან ამ პროცესმა ისეთი მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ მთლიანად დაცარიელდა კავკასიონს შეფენილი ფშავისა და ხევსურეთის მრავალი სოფელი და თემი. ისინი ნასოფლარებად გადაიქცნენ.

1811 წ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ კახეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთის საეკლესიო ცხოვრება ერთ, კახეთ-ალავერდის ეპარქიას დაექვემდებარა, მთლიანად მოიშალა საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა მმართველობით-ადმინისტრაციული ფორმები, რაც ქვეყნის თითოეული კუთხის სპეციფიკას ჰარმონიულად ეთანადებოდა. 1917 წლის სექტემბერში ავტოკეფალია აღდგენილ საქართველოს ეკლესიის პირველ კრებაზე განახლდა წილკნის ეპარქიაც, რომელიც აერთიანებდა აღმოსავლეთ საქართველოს „მთიულთ“ – მთიანეთს, გუდამაყარს, ხევს, ფშავს, ხევსურეთს, ერწო-თიანეთს და სხვ. 2003 წლის 18 აგვისტოს ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის კრებაზე, წილკნისა და ალავერდის ეპარქიათა ტერიტორიების ხელახალი გადანაწილების საფუძველზე, დაარსდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია. ეპარქიის ამგვარი სახელწოდება – „თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთისა“ – არ გვხვდება საქართველოს საეკლესიო წარსულიდან, თუმცა იგი არსით საუკუნეთა წინათ გაუქმებული „ჟალეთის“, შემდეგ კი თითქმის ორსაუკუნეხანგრძლივი წინ გაუქმებული ძველი „ხარჭაშნის“, იმავე „ხარჭაშოს“ ეპარქიის განახლებას ნიშნავს.

2005 წლიდან ეპარქიის მღვდელმთავარია მაღალყოვლადუსამღვდლოესი მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი).

### 13. მარგვეთის და უბისის ეპარქია

მარგვეთისა და უბისის ეპარქია ზემო იმერეთში ისტორიული არგვეთის საერისთავოს დიდ ნაწილს მოიცავს. მისი იურისდიქცია ვრცელდება ზესტაფონის და ხარაგაულის რაიონებზე. მარგვეთის ეპარქიას აღმოსავლეთიდან ურბნის-რუისის, დასავლეთიდან – ვანისა და ბაღდათის, ჩრდილოეთიდან – ჭიათურა-სახსერისა და თერჯოლა-ტყიბულის, სამხრეთიდან – ბორჯომ-ბაკურიანის და ახალციხის, ტაოკლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიები ესაზღვრება.

ამ მხარეში ქრისტიანული ცხოვრების დაწყება მოციქულთა მოღვაწეობას უკავშირდება და ადრიდანვე ქრისტიანობის მტკიცედ გავრცელების მიმანიშნებელია დღემდე მოღწეული უძველესი ქრისტიანული ტაძრები: V–VI საუკუნეების „კაცხის სვეტის“ ეკლესია, უდერძის წმიდა გიორგის ეკლესია, VI–VII საუკუნეების ტაბაკინის წმიდა გიორგის მონასტერი და სხვ.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდან ეს მხარე მცხეთის იურისდიქციაში მყოფ მძლავრ ქართულ საეკლესიო კერად ითვლებოდა. აფხაზეთის (დასავლეთი საქართველო) საკათოლიკოსოს ჩამოყალიბების შემდეგ გეოგრაფიული მდებარეობის გამო ეს კუთხეც დასავლეთ საქართველოს მსხვილი საეკლესიო ცენტრის – აფხაზეთის საკათოლიკოსოს იურისდიქციაში აღმოჩნდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ დასავლეთ საქართველოს თორმეტი ეპარქიიდან შეიქმნა მხოლოდ ერთი – იმერეთის ეპარქია.

უძველესი დროიდან ქრისტიანული საქართველოს უმნიშვნელოვანეს კერაზე – ზემო იმერეთის ცნობილ არგვეთის საერისთავოში არგვეთის სამღვდელმთავრო კათედრის მღვდელმთავარი – მარგველი არ იხსენიებოდა. მარგველი მღვდელმთავრის საეკლესიო წოდება 1917 წელს

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ დამკვიდრდა.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით მარგვეთის ეპარქიას სახელწოდება შეეცვალა და მას მარგვეთისა და უბისის ეპარქია ეწოდა.

მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარია მაღალყოვლადუსამღვდლოესი მთავარეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი).

### 14. წილკნისა და დუშეთის ეპარქია

წილკნისა და დუშეთის ეპარქია მცხეთის საკათოლიკოსო ტაძრის ჩრდილოეთით მდებარეობს და მოიცავს მდინარეების – არაგვისა და ქსნის აუზებს და კავკასიის მთიანეთს. მას აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია, ჩრდილო-დასავლეთიდან – სტეფანწმინდისა და ხევს, დასავლეთიდან – ნიქოზისა და ცხინვალის და სამთავისისა და გორის, სამხრეთიდან – მცხეთა-თბილისის ეპარქიები; სამღვდელმთავრო მოიცავს მდინარეების – არაგვის და ქსნის აუზებს და კავკასიის მთიანეთს.

ეპარქიის ტერიტორიაზე, ქსნის ხეობაში, ძალისში, სოფელ წილკანთან ახლოს, ნასტაკისის ნაქალაქარზე აღმოაჩინეს ადრეული ქრისტიანული ხანის (II–III სს.) სამლოცველო. ეს აღმოჩენა ამ კუთხეში პირველქრისტიანული თემის არსებობას მიანიშნებს.

წილკნის ეპარქიას ოდიტგანვე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი მისია ჰქონდა დაკისრებული. მისი მეშვეობით ხდებოდა მთიელთა გაქრისტიანება. VI ს-ის დასაწყისში, 506 წელს ქ. დვინში ჩატარებული საეკლესიო კრების დამსწრე ქართველ მღვდელმთავართაგან წილკნელი ეპისკოპოსი ენოქიც იხსენიება. წილკნის დიდი მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად გაცხადდა მას შემდეგ, როდესაც 13 ასურელი მამათაგან – ისე – „ეპისკოპოსად წილკნისა“ აკურთხა კათოლიკოსმა ევლალოს. წმიდა ისე წილკნელმა მადლიანი სიტყვით

„ფრიადი ურწმუნონი მოაქცივნა“.

VIII–IX სს-ში ქართლში მეფის ხელისუფლების შესუსტების დროს, წილკნის ეპარქიის ტერიტორიებს მუხრანის სანახებთან ერთად, ქვეყნის გაერთიანების შემდეგ კახეთის მმართველნი, კერძოდ, ზედაზნის ციხის მეპატრონე ძაგანის ძენი ისაკუთრებენ.

წმიდა მეფის – დავით აღმაშენებლის დროს მთელი ეს მხარე ქვეყნის საიმედო დასაყრდენი იყო. XII–XIII სს-ში, წმიდა მეფე თამარის დროს წილკნის საეპისკოპოსოს საზღვრები კიდევ უფრო გაიზარდა მთის ხეობებში ქრისტიანობის გავრცელებითა და ეკლესიების მშენებლობით. XV ს-ის II ნახევარში, საქართველოს სამეფოებად დაშლის შემდეგ, ეპარქიის ტერიტორიამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. წილკნის სამწყვსოს დიდი ნაწილი კახეთის სამღვდელმთავროებს, განსაკუთრებით ალავერდის ეპარქიას დაექვემდებარა.

საქართველოში რუსეთის შემოსვლის შემდეგ ტრადიციული ქართული საეკლესიო სტრუქტურები ძალზე შეიცვალა და გამარტივდა. ეს, პირველ რიგში, საეპისკოპოსოების გაუქმებით გამოიხატა. 1803 წელს, წილკნის მთავარეპისკოპოსო იოანე ქარუმიძის გარდაცვალების შემდეგ სამღვდელმთავრო ტერიტორია ჯერ სამთავისის, შემდეგ ნიქოზის ეპარქიას მიუერთეს. წილკნელ-სამთავნელ-ნიქოზელი ქორეპისკოპოსი გერვასი მაჭავარიანი ბოლო მღვდელმთავარი იყო, რომელმაც კავკასიის მოსახლეობაში დიდი რელიგიურ-მისიონერული მოღვაწეობით გაითქვა სახელი. იგი 1817 წელს გარდაიცვალა.

1917 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, განახლდა წილკნის ეპარქიაც, მაგრამ მისი კუთვნილი ტერიტორია დროებით შეიერთა მცხეთის ეპარქიამ და წილკნელი ეპისკოპოსები მცხეთის სვეტიცხოველში ასრულებდნენ წირვა-ლოცვას. 1917 წელს წილკნელ მღვდელმთავრად დადგენილ იქნა ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი (1917–20 წწ.).

1984 წლიდან წილკნის ეპარქიას განაგებს მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი).

## 15. შემოქმედის ეპარქია

შემოქმედის ეპარქია დასავლეთ საქართველოში, ზღვისპირა პროვინცია გურიაში მდებარეობს. ეპარქია ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებს მოიცავს. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის, ვანისა და ბაღდათის ეპარქიები, ჩრდილოეთიდან – ფოთისა და ხობის, სენაკისა და ჩხოროწყუს, ჭყონდიდის, ხონისა და სამტრედიის, სამხრეთიდან – ბათუმისა და სხალთის ეპარქიები, დასავლეთის საზღვარი შავი ზღვის სანაპირო ზოლს მიჰყვება.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოს ზღვისპირა მხარეში და „ფაზისის იბერებში“ მოციქულების – ანდრია პირველწოდებულის, მატათასა და სვიმონ კანანელის მოღვაწეობას უკავშირდება. IV ს-ში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, გურიაც გაქრისტიანდა.

XV ს-ის შუახანებისათვის, ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის დაშლის პარალელურად, იმერეთის სამეფოს გურიის სამთავრო გამოეყო, ქუთაისის განვრცობილ ეპარქიას კი მოერღვა სამხრეთის მიჯნები და ერთიმეორის მიყოლებით წარმოიშვა გურიის სამი სამღვდელმთავრო კათედრა: შემოქმედის, ჯუმათისა და ხინოწმინდის.

შემოქმედელი მიტროპოლიტი (მთავარეპისკოპოსი) გურიის სამთავროში უმაღლესი სასულიერო ხელისუფალი იყო. რიგითი ეპისკოპოსისაგან განსხვავებით, მას შეეძლო მოეწვია საეკლესიო კრება, მის დაქვემდებარებაში მყოფ ეპისკოპოსთა თანდასწრებით ეკურთხებინა ახალი ეპისკოპოსი. შემოქმედელი მთელი გურიის საეკლესიო საქმეთა მსაჯულადაც ითვლებოდა. მიტროპოლიტის არჩევაში ამ მხარის ყველა ეპისკოპოსს უნდა მიეღო მონაწილეობა. მისი კათედრა, „მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია დიდშენი... შემკული ყოველთა“, გურიის სამთავროს „მთავარი ტახტი და ტაძარი“ იყო. საშემოქმედლო ცენტრალური გურიის დიდ ტერიტორიებს ფლობდა – მდინარე სუფსა-

სა და კინტრიშს შორის. ზემო გურიის საეკლესიო ხელისუფალი – ჯუმათელი, რომლის საკათედრო ეკლესია იყო „მთის მაღალს თხემსა ზედა ჯუმათს, დიდი, გუნბათიანი, დიდშენი, მჭვრეტი ზღვისა და გურია-ოდიშისა,“ მწყსიდა „სუფსის მდინარისა და რიონს შორის ადგილთა“. სახინოწმინდლოდ ხინოს ხეობა ითვლებოდა. „არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდშენი, კარგს ადგილს, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ხინოს-წყლის სამხრეთისა ჭოროხამდე“.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოში რუსეთის შემოსვლისა, და 1814 წელს, იმერეთის საკათოლიკოსოს გაუქმებიდან 1827 წლამდე გურიის ეკლესიის საქმეებს დამოუკიდებლად განაგებდა გურიის ერისთავთა სახლის წევრი ნიკოლოზ ჯუმათელი.

1844 წლის 1 აპრილს გურიაში დაწესდა სამღვდელმთავრო კათედრა, რომელიც 1885 წელს სამეგრელოსთან გაერთიანდა და გურია-სამეგრელოს ეპარქია ეწოდა.

1917 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, პირველივე საეკლესიო კრებაზე აღდგა ეპარქია, რომლის მწყემსმთავარს ეწოდა „ბათომელ-შემოქმედელი“, მოგვიანებით – „ბათომ-შემოქმედელი“, შემდეგ კი – „ბათუმ-შემოქმედელი“.

1995 წლის 5 აპრილს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის ტერიტორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ბათუმი-სხალთისა და შემოქმედის ეპარქიები.

ახალდაფუძნებული შემოქმედის ეპარქიის მწყემსმთავრია მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი იოსები (კიკვაძე).

## 16. ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია შიდა ქართლში, მდინარე ლიახვის აუზში მდებარეობს. იგი მოიცავს ქალაქებს ცხინვალს, ახალგორს, ჯავახს, ხნაურს და მათ მიმდებარე ტერიტორიას. ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება წილკნისა და დუშეთის, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიები, და-

სავლეთიდან – ჭიათურისა და საჩხერის, ჩრდილო-დასავლეთიდან – ნიკორწმინდის, სამხრეთიდან – ურბნის-რუისისა და სამთავის-გორის ეპარქიები. ჩრდილოეთ მხარეს იგი კავკასიონის ცენტრალურ ქედს ებჯინება. შორეული ტრადიცია ნიქოზის ეპარქიის დაარსებას წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალს უკავშირებს.

ნიქოზელი მღვდელმთავრის სამწყსო ძალზე ვრცელი იყო. იგი არა მარტო ქართლის, ისტორიული შიდა სოფლის, ტერიტორიის ნაწილს მოიცავდა, არამედ გარკვეულ დროს „კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა“ საკმაოდ მოზრდილი მთის რეგიონსაც ფლობდა. ნიქოზელ მღვდელმთავარს ქვეყნის წინაშე უდიდესი მისია ჰქონდა დაკისრებული. ის იყო არა მარტო მაღალი იერარქიის დგთისმსახური, არამედ ქვეყნის ერთიანობის საიმედო დამცველიც. გარკვეულ პერიოდში იგი ლიხთიმერეთის მთიან კუთხეებსაც (არგვეთის, რაჭის და სვანეთის ნაწილი) მართავდა.

ნიქოზელის ძველ სამწყსოში – ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე – დღემდე არსებობს ძველი ქართული ქრისტიანული კერების ნაშთი. ნიქოზელი მღვდელმთავარნი ტრადიციულად ოსების ქრისტიანული საქმეების მეთვალყურეობის გარდა, „გამგენი იყვნენ ოვსეთის საეკლესიო და საერო საქმეებისა.“

დღეისათვის კი სულ სხვა სურათია. მამულიდან აყრილი ქართველობა ჯერ კიდევ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშია გაფანტული, უძველეს ქართულ სალოცავთა დიდი ნაწილი დანგრეული ან მთლიანად განადგურებულია და ძველ საღვთისმსახურო კერებზე წირვა-ლოცვა აღარ აღესრულება. ბოლო დროს, 1995 წლის 5 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ძალისხმევით და ლოცვა-კურთხევით ამ მხარეში სამღვდელმთავრო კათედრის აღდგენა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ამ კუთხის მრავალ განსაცდელგამოვლელი მოსახლეობისათვის, რითაც დრმადგა-აზრებულ დიდ ეროვნულ საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

განახლებული ეპარქიის მწყემსმთავარია მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია).

## 17. ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია

ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია შიდა ქართლის სამხრეთით, ისტორიული პროვინციის თორის ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი მოიცავს ბორჯომის რაიონს და მის მიმდებარე ბორჯომის, იმავე ძვ. სადგერის, ხეობას. ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მანგლისისა და წალკის, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – გორი-სამთავისისა და ურბნის-რუისის, ჩრდილო-დასავლეთიდან – მარგვეთისა და უბისის, აგრეთვე ვანისა და ბაღდათის, დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან – ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის, სამხრეთიდან – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიები.

საქართველოში მოციქულთაგან დაფუძნებული პირველი სამღვდელმთავრო სამწყსო – აწყურის ეპარქია ისტორიული თორის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

IV ს-ში, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, სადგერის ხეობის მოსახლეობაც გაქრისტიანებულია და ამ კუთხეში ეკლესია-მონასტრების ინტენსიური აღმშენებლობაც დაიწყო. თუმცა იმდროინდელი საღვთისმსახურო მრავალი შენობა-ნაგებობა დროის მსვლელობისა და მტერთა აურაცხელი შემოსევების გამო განადგურებულია. ამ მხარის უძველეს ტაძართაგან აღსანიშნავია ნეძვის სამეკლესიანი ბაზილიკა, ტიმოთესუბნის სამონასტრო კომპლექსი, ლიკანის, ჩითახევის, ფოთოლეთის, დაბის ეკლესიები და სხვ.

ეს კუთხე ადრინდელ მაწყვერელი მღვდელმთავრის სამწყსოდ ითვლებოდა. სპარსელების, არაბების, თურქ-სელჩუკთა და თათარ-მონღოლთა შემდეგ, XV ს-იდან ეს მხარე განსაკუთრებული სისასტიკით გააჩანაგეს თურქ-ოსმალებმა.

საუკუნეთა მანძილზე გაუკაცრიელებული უძველესი კუთხის აღდგენა XIX ს-ის პირველი ნახევრიდან დაიწყო.

1917 წ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიუხედავად, 20-იან წლებში ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული რეპრესიების გამო, უძველეს ქრისტიანულ კერაზე – თორში ტრადიციული ეკლესიური ცხოვრების განახლება თითქმის შეუძლებელი იყო. მხოლოდ 1978 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ძალისხმევით გახდა შესაძლებელი ამ მხარეში ეპარქიის დაარსება. 1978 წ. აღდგენილი სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა ბორჯომის ხეობაც. 1995 წლის 5 აპრილს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის კრების განჩინებით, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიულად მეტად განვრცობილი ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ბორჯომისა და ახალქალაქის ეპარქია. 2002 წლის 17 ოქტომბერს კი ბორჯომისა და ახალქალაქის ეპარქიის საფუძველზე დაარსდა ორი ეპარქია: ა) ახალქალაქისა და კუმურდოს და ბ) ბორჯომისა და ბაკურიანისა. ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად წმიდა სინოდმა მანამდე ბორჯომისა და ახალქალაქის ეპარქიის მწყემსმთავარი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა) დაადგინა.

## 18. ნიკორწმინდის ეპარქია

ნიკორწმინდის ეპარქია დასავლეთ საქართველოს მთიანეთში – რაჭაში მდებარეობს. ეპარქიისა და ისტორიული კუთხის საზღვრები ერთმანეთს ემთხვევა. სამღვდელმთავრო ტერიტორიაზე ორი ქალაქია – ონი და ამბროლაური. ეპარქიას აღმოსავლეთიდან – ნიქოზისა და ცხინვალის, დასავლეთიდან – ცაგერისა და ლენტეხის, სამხრეთიდან – ქუთაის-გაენათის, ტყიბულ-თერჯოლისა და საჩხერე-ჭიათურის ეპარქიები ესაზღვრება, ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ცენტრალურ ქედს ემთხვევა.

რაჭის საერისთავო ტრადიციულად საქართველოს ჩრდილო კარიბჭის საიმედო დამცველად და მეფის ერთგულ მხარდამ-

ჭერად მიიხნეოდა. რაჭველთა საიმედო-ბაზე მეტყველებს წმიდა მეფე თამარის რაჭაში გაძიძავება და მეფედ კურთხევისას მისთვის რაჭის ერისთავისაგან სამეფო რეგალიების გადაცემა.

ნიკორწმინდის ეპარქია იმერეთის რეფორმატორი მეფის, ბაგრატ III (1510–1565 წწ.) მეოხებით ჩამოყალიბდა. ბაგრატი სამეფოს გაერთიანებისათვის თავგასულ მთავრებთან ბრძოლაში მოკავშირედ ეკლესიას მიიხნევდა და მუდამ მის მორალურ-მატერიალურ აღორძინებას ცდილობდა. მან საკუთრივ იმერეთის ტერიტორიაზე შექმნა და აღადგინა რამდენიმე საეპისკოპოსო. ამისათვის მეფემ ძველი ქუთაისის საეპისკოპოსო რამდენიმე სამწყსოდ დაყო და მის ბაზაზე დააარსა ხონის, ნიკორწმინდის, გელათის საეპისკოპოსოები.

ნიკორწმინდის ეპარქია მეფე ბაგრატმა იმუამად უკვე დაკნინებული ნიკორწმინდის ცნობილი მონასტრის ბაზაზე დააფუძნა, ხოლო თავად ნიკორწმინდა ახლად დაარსებული ეპარქიის საკათედრო ტაძრად იქცა. მართალია, ბაგრატ III XVI ს-ის 30-იან წლებში დააფუძნა ნიკორწმინდის ეპარქია, მაგრამ ღვთის სიტყვა რაჭაში იქადაგეს წმიდა მოციქულებმა – ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ მდინარე ფაზისის ხეობის პირაღმა აყოლებით, სუსანიამდე, მათ შორის რაჭაშიც, მიმოსვლისას, ხოლო ამ მხარეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრება წმიდა მეფე მირიანის რელიგიურ რეფორმას უკავშირდება.

ნიკორწმინდის ეპარქიის დაარსებამდე რაჭა ეკლესიურად აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას – მცხეთის საყდარს ექვემდებარებოდა. სხვადასხვა დროს რაჭის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ეკუთვნოდა ნიქოზის, ქუთაისის ეპარქიებს. ნიკორწმინდის სამღვდელმთავროს ჩამოყალიბების შემდეგ, XVI ს-ის 30-იანი წლებიდან, იგი იმერეთის საკათოლიკოსოს შემადგენლობაშია.

ნიკორწმინდის ეპარქია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე, დასავლეთ საქართველოში 1821 წლამდე არსებობდა. დასავლეთ საქართველოში შექმნილი

ერთი – იმერეთის ეპარქიის მმართველობა იმუამად ნიკორწმინდელ ეპისკოპოს სოფრომ წულუკიძეს მიანდეს (1821–1845 წწ.).

სოფრონიოსი ნიკორწმინდელ არქიეპისკოპოსად XVIII ს-ის ბოლო მეოთხედში, 1775 წლიდან იხსენიება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წელს, განახლდა ნიკორწმინდის ეპარქიაც. საეკლესიო ცხოვრების აღორძინების ნაცვლად, 20-იან წლებში დაწყებული რეპრესიების დროს, ნიკორწმინდის ეპარქიის ასობით ეკლესია დაარბიეს, დაანგრიეს, დაკეტეს ან ყოფითი დანიშნულების შენობა-ნაგებობებად გადააკეთეს. 1937 წლამდე რაჭის 80-მდე სასულიერო პირი იძულებით განმოსეს, გაასახლეს ან დახვრიტეს.

ავტოკეფალიის აღდგენის მიუხედავად, ნიკორწმინდელის კათედრა თავისუფალი იყო. 50-იან წლებში იგი შეთავსებული ჰქონდა ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსს დავით ჩანანიძეს, სამოციანი წლების ბოლოს კი ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაომი შავიანიძეს. 80-იანი წლებიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II კურთხევითა და ძალისხმევით რეალურად ამოქმედდა ნიკორწმინდის ეპარქიაც, სადაც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ეპისკოპოსები: შიო ავალიშვილი, ანანია ჯაფარიძე, ქრისტეფორე წამალაიძე, ამბროსი ქათამაძე, დავით მახარაძე, აბრაამ გარმელია.

1996 წლიდან ნიკორწმინდის ეპარქიის მწყემსმთავარია მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი ელისე (ჯოხაძე).

## 19. ფოთისა და ხობის ეპარქია

ფოთისა და ხობის ეპარქია დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე, ისტორიული კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი მოიცავს ქალაქებს – ფოთს, ხობს და მათ მიმდებარე ტერიტორიას. სამღვდელმთავრო ტერიტორია განვრცობილია მდ. რიონისა და ხობისწყლის ქვემო დინების აუზებზე, რაც ძველი ქართული სამეფოს, ეგრისის, იმავე

ლაზიკის დასავლეთ ნაწილს წარმოადგენს. ფოთისა და ხობის ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სენაკისა და ჩხოროწყუს, ჩრდილოეთიდან – ზუგდიდისა და ცაიშის, სამხრეთიდან – შემოქმედის ეპარქიები, დასავლეთის მხრიდან კი იგი შავ ზღვას ემიჯნება.

ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში ეს მხარე ძირითადად ცნობილია მდინარე ფასისის, იმავე რიონის, შავ ზღვასთან გაშენებული მისი მოსახლე ქალაქ ფასისის (ფოთის), ციხე-გოჯის – აკროპოლისისა და მათ გარშემო არსებული ეთნიკური ნიშნით გაერთიანებულ ქვეყნად. ქრისტეშობამდე VII–VI საუკუნეებს მიეწერება ქალაქური ტიპის დასახლებების – ფასისის (ფოთი) დაფუძნება.

დასავლეთ იბერიის საზღვაო ქალაქ ფოთსა და მის მიმდებარე ტერიტორიას ტრადიცია მოციქულთა მოღვაწეობის არეალად მიიჩნევს.

1917 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ სამეგრელოს რეგიონში განახლდა ჭყონდიდის ეპარქია. 1995 წელს, საქართველოს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, ჭყონდიდის ეპარქიის საფუძველზე სამი სამღვდელმთავრო კათედრა ჩამოყალიბდა: საკუთრივ ჭყონდიდის, ზუგდიდისა და ცაიშის და ფოთის ეპარქიები.

2002 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, ფოთის ეპარქიას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ფოთისა და ხობის ეპარქია.

ფოთის ეპარქიას დაფუძნების დროიდან მართავს მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი).

## 20. ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია

ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია სამხრეთ საქართველოში, ზემო ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი მოიცავს სამცხისა და ზემო ჯავახეთის სანახებს. ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დმანისის, მანგლისისა და წალკის, დასავ-

ლეთიდან – ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის, ჩრდილოეთიდან – ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიები. სამხრეთის მხრიდან ეპარქიას საზღვარი აქვს თურქეთისა და სომხეთის რესპუბლიკებთან.

ჯავახეთი, როგორც სახელმწიფოებრივი ნიშნის მქონე ქვეყანა, ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე, VIII ს-ის სოლისებრ წერილობით ძეგლებში იხსენიება.

ეს კუთხე თავიდანვე იმ გზაგასაყარზე აღმოჩნდა, საიდანაც ქრისტიანობა შემოვიდა საქართველოში. წმიდა მოციქულთა ქადაგების შემდეგ ამ მხარეში პირველქრისტიანთა თემები აღმოცენდა. მოგვიანებით, IV ს-ის დასაწყისში, ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ საქართველოში შემოსვლისას გზად აქ გამოიარა. ქართლის პირველი ეპისკოპოსის იოანეს ხელმძღვანელობით კონსტანტინე იმპერატორთან მიმავალმა მეფე მირიანის ელჩობამ გზად აქ გაიარა და უკან დაბრუნებულმა საბერძნეთიდან წამოღებული დიდი სიწმიდე – მაცხოვრის სამსჯავალი – ჯავახეთში, კერძოდ ზემო ჯავახეთის იმჟამინდელ ადმინისტრაციულ ცენტრში – წუნდაში მშენებარე ეკლესიაში დატოვა. წუნდა ზემო ჯავახეთის საეკლესიო ცენტრიც გახდა. საერისთავოში, ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის პერიოდში, რამდენიმე სამღვდელმთავრო კათედრა ჩამოყალიბდა, რომელთაგან უპირატესობა კუმურდოს საეპისკოპოსოსს ჰქონდა. ისტორიულად, ზემო ჯავახეთი სწორედ კუმურდოს საეპისკოპოსოს სახელითაა ცნობილი.

1917 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიუხედავად, ქართველთაგან და მართლმადიდებელთაგან დაცლილ ზემო ჯავახეთში ტრადიციული ეკლესიური ცხოვრების განახლება თითქმის შეუძლებელი იყო. მხოლოდ 1978 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ძალისხმევით გახდა შესაძლებელი საქართველოს უძველეს ტერიტორიაზე მართლმადიდებელი ეპარქიის დაარსება. 1978 წელს აღდგენილ სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა ის-

ტორიული ზემო ჯავახეთი – ძველი კუმურდოს ეპარქია.

90-იან წლებში საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა აღდგენისა და განახლების შესაბამისად, 1995 წელს აღდგა ისტორიული კუმურდოს ეპარქიის უშუალო მემკვიდრე ბორჯომ-ახალქალაქის ეპარქიის სახელწოდებით. 2002 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, ბორჯომისა და ახალქალაქის ეპარქიის განვრცობილი ტერიტორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი სამღვდელმთაფრო სამწყსო – ბორჯომ-ბაკურიანის და ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიები.

ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მწყემსმთავარია მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფახუაშვილი)

## 21. ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია

ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია სამხრეთ საქართველოში, ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი მოიცავს ქალაქებს: ახალციხეს, ადიგენს, ასპინძას, აწყურსა და მათ მიმდებარე სანახებს. 2002 წლის 17 ოქტომბრიდან წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით ეპარქია ნომინალურად აერთიანებს უძველეს ქართულ პროვინციებს – ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთს, რომლებიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს მიღმაა მოქცეული. საქართველოს საეპარქიო დანაწილების საფუძველზე, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ბორჯომისა და ბაკურიანის, ახალქალაქისა და კუმურდოს, დასავლეთიდან – ბათუმისა და სხალთის, ჩრდილოეთიდან – ვანისა და ბაღდათის, ჩრდილო-დასავლეთიდან – შემოქმედის, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – მარგვეთისა და უბისის ეპარქიები, ხოლო სამხრეთის მხრიდან სახელმწიფო საზღვარი გადის თურქეთთან.

საისტორიო ტრადიციის თანახმად,

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი საეპისკოპოსო კათედრა სწორედ ამ რეგიონში დაუარსებია წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულს. მოციქულმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის სასწაულით ქრისტიანობაზე მოქცეულ აწყურის მკვიდრთ პირველი მაწვევრელი ეპისკოპოსიც დაუდგინა. აწყურში დაბრძანებულ წმიდა ხატს ქართველმა ერმა სიყვარულით აწყურის ღვთისმშობელი უწოდა.

სამცხე (მოგვიანებით, XIV–XVII სს-ის 20-იან წლებამდე – სამცხე-საათაბაგო), ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი ოდიტგანვე საქართველოს მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენდა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ეს კუთხე საქართველოს მძლავრ საქრისტიანო-კულტურულ კერად ჩამოყალიბდა. საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ამ მხარეში სამჯერ შემოვიდნენ მოციქულები. IV საუკუნის დასაწყისში ჯავახეთში, ფარაენის ტბის მიდამოებში შემოსულმა წმიდა ნინომ ქადაგებით ჩამოიარა ჯავახეთი, სამცხე და ამის შემდეგ შემოვიდა შიდა ქართლსა და მცხეთაში.

საქართველოს ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაციის შემდეგ სამცხე თავიდანვე მცხეთის მთავარეპისკოპოსის იურისდიქციაში შედიოდა.

XVI საუკუნის ბოლოს, 1578 წელს, სამცხე ოსმალთა ხელში გადავიდა, ხოლო საეკლესიო ცენტრი ქ. აწყური ახალციხის საფაშოს სანჯაყის ცენტრი გახდა. აქედან მოკიდებული, აწყურის ციხე, რომელიც ოსმალებმა დამატებით გაამაგრეს, მძლავრ ციტადელად იქცა, ხოლო კათედრალი დაუძღურდა და მისი მღვდელმთავარი ხონთქარზე დამოკიდებული შეიქნა.

მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელების მიუხედავად, მთელ მესხეთში ქართული ენა მოსახლეობის ურთიერთობის ძირითად ენად ითვლებოდა, თუმცა მეტყველებაში თანდათან თურქულიც იჭრებოდა. თურქული ენის მასობრივი გავრცელებისათვის XVIII ს-ის მეორე ნახევარში და XIX ს-ის დასაწყისში მთელი რიგი ღო-

ნისძიებები განხორციელდა. ქართველების საბოლოო განადგურებისათვის სამცხე-ჯავახეთში მასობრივად ჩაასახლეს მეჯღოგე-მომთაბარე ქურთთა და ყაზახ-ბორჩალოდან გადასული მომთაბარე ყარაფაფახელთა (თარაქამა) ტომები და სხვები.

სამცხე-ჯავახეთიდან შემორჩენილი ქართველების გასახლება განსაკუთრებით XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან – აღრიანოპოლის ზავის შემდეგ გაძლიერდა. ოსმალები რუსეთთან მოსალოდნელი კავშირის შიშით აიძულებდნენ მართლმადიდებელ ქართველებს, შეეცვალათ სარწმუნოება და გამაჰმადიანებულიყვნენ, რუსები კი მამაპაპური ადგილებიდან მიერეკებოდნენ ეთნიკურ ქართველებს მაჰმადიანობის გამო, ოსმალებთან მოსალოდნელი კავშირის აღდგენის შიშით. XIX ს-ის 30–40-იან წლებში სამცხე-ჯავახეთიდან ქართველ მაჰმადიანთა გასახლება და მათ მაგიერ ბერძნების, სომხებისა და რუს სექტანტთა ჩასახლება ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამოვლინება იყო, რაც ხალხების აღრევას, ეროვნული თვითშეგნების ჩაკვლას, სახაზინო მიწების ფონდის გაზრდასა და ჩვენი ქვეყნისათვის სხვა არასასურველ მიზნებს ისახავდა. მესხეთის ქართულ მოსახლეობას 1828 წელს რუსეთთან შეერთებამ არ მოუტანა მოსალოდნელი თავისუფლება. იმუამინდელი მესხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი შეგნებულად ამბობდა უარს მაჰმადიანობაზე და დედაეკლესიის წიაღში ითხოვდა დაბრუნებას. რუსეთი კი მათ აიძულებდა ოსმალებთან გადახვეწას, სანაცვლოდ დიდი რაოდენობით ჩამოჰყავდა ყარსიდან და არზრუმიდან მონოფიზიტი სომხები, ასევე რუსი და უკრაინელი სექტანტები – დუხობორები, მალაკნები, რასკოლნიკები და სხვ. ამ დროისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებული იყო.

1917 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, განახლებული ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის იურისდიქცია მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა, საქართველოს სახელმწიფოში შემაჯალსა (გურია, აჭარა) და ისტორიულსაც (შავშეთი,

კლარჯეთი, ტაო, ჭანეთი...). ამგვარი მდგომარეობა 1953 წლის ივლისამდე გაგრძელდა, სანამ სსრკ-ის იმუამინდელი ხელისუფლება თურქეთის სახელმწიფოს პრეტენზიებს არ დააკმაყოფილებდა და ბათუმ-შემოქმედის ეპარქიას სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს მოაკვეცდა. ამის შემდეგ ძირძველი ქართული პროვინციები ნომინალურადაც კი განაშორეს საქართველოს ეკლესიის ერთიან ორგანიზმს. 20-იანი წლებიდან, გასაგებ მიზეზთა გამო, მთელი 70 წლის მანძილზე ქრისტიანული საეკლესიო ცხოვრება მეტად მძიმე წნეხის ქვეშ იყო მოქცეული. მხოლოდ 70-იანი წლების ბოლოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ძალისხმევით გაიზარდა მღვდელმთავართა რიცხვი. ამ პერიოდს უკავშირდება სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის აღდგენა, რომელიც იმუამად ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ თითქმის მთელ სამხრეთ საქართველოს მოიცავდა.

1978 წელს, ახლად აღდგენილი სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის მღვდელმთავრად ეპისკოპოსი ამბროსი ქათამაძე დაინიშნა, შემდეგ ეპარქიას მწყობდა ეპისკოპოსი ანანია ჯავარიძე. აღნიშნული სახელწოდება ეპარქიამ 1995 წლის აპრილამდე შეინარჩუნა, შემდეგ სამცხე-ჯავახეთის საეპარქიოს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია გაიყო და მისგან ჩამოყალიბდა ახალციხისა და ბორჯომ-ახალქალაქის ორი ეპარქია.

1999 წლიდან ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარია მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე).

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით ახალციხის ეპარქიას ნომინალურად დაუქვემდებარეს უძველესი ქართული მხარეები: ტაო, კლარჯეთი, ლაზეთი. ეპარქიასაც შესაბამისად ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის სამღვდელმთავრო ეწოდა.

## 22. ხონისა და სამტრედიის ეპარქია

ხონისა და სამტრედიის ეპარქია დასავლეთ საქართველოში, ისტორიული იმერეთის სამეფოს ცენტრალურ ნაწილში, ვაკე იმერეთში მდებარეობს. იგი ხონს, სამტრედიასა და მათ მიმდებარე ტერიტორიებს აერთიანებს. ეპარქია რიონსა და ცხენისწყალს შორის მდებარე სივრცეს მოიცავს. აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ქუთაის-გაენათისა და ვანი-ბაღდათის ეპარქიები, დასავლეთიდან – ჭყონდიდის, ჩრდილოეთიდან – ცაგერისა და ლენტეხის, სამხრეთიდან – შემოქმედის ეპარქიები.

ტრადიციულად კოლხეთის ცენტრალური ნაწილი, ისტორიული ვაკე იმერეთი, დასავლეთ საქართველოში ქვეყნის სიძლიერისა და სახელმწიფოებრიობის მტკიცე დასაყრდენი იყო. ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც დასავლეთ საქართველოში აღსრულებულა, ამ კუთხის ისტორიასაც უკავშირდება. ცალკე სამეფოდ გამოყოფილ იმერეთში ვაკე მძლავრ სადროშოდ ითვლებოდა.

იმერეთის ცენტრალურ საერისთავოსა და სამეფოს ერთ-ერთი სადროშოს შესაფერისი საეკლესიო აღიარებაც სჭირდებოდა. ხონის ეპარქიის ჩამოყალიბება XVI საუკუნეში იმერეთის რეფორმატორ მეფე ბაგრატ III (1510–1565 წწ.) უკავშირდება.

სამეფო დომენში შემავალი ხონის ეპარქია თავიდანვე სამეფო ოჯახის განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იყო. ამიტომ სამღვდელმთავრო ტერიტორია დაარსებიდანვე იმერეთის სამეფოს საკმაოდ ვრცელ სანახებს მოიცავდა. მას 70-მდე დიდი სოფელი ეკუთვნოდა, თითოეულ სოფელში ორი, სამი და მეტი ეკლესია იყო. ეპარქიაში შედიოდა აგრეთვე ვანის, ხონის ქვაყუდისა და მათხოჯის დიდი მონასტრებიც.

XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, 1771–1820 წლებში ხონის ეპარქიას განაგებდა დიდი მოღვაწე, მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე. მან ახალგაზრდობაში საფუძვლიანი სასულიერო და ფილოსოფიური განათლება მიიღო. მღვდელმთავრობისას გააძლიერა ეპარქია, განამტკიცა

მისი მეურნეობა, საბოლოოდ მოაწესრიგა საგადასახადო ნუსხები. ეკლესიას დაუბრუნა თავადაზნაურობისაგან მიტაცებული საეკლესიო მიწები, ალაგმა თავგასული ერისკაცები და სხვ.

მის მოღვაწეობაში ქველმოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან ხონის მონასტერთან აამოქმედა საკმაოდ დიდი სამრევლო სკოლა, ააგო ასადგილიანი საავადმყოფო (სასაპყრე), სადაც ეპარქიის ხარჯზე ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვები იზრდებოდნენ. მთავარეპისკოპოს ანტონის სახსრებით XII–XIV საუკუნეების მრავალი წიგნი გადაიწერა, თბილისის სიონისა და საფარის წმიდა საბას ლავრის იკონომდიაკვნები დიდხანს იყვნენ ხონში, რათა განეახლებინათ ასობით სიგელი, წყალობისა და შეწირულობის წიგნები...

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და 1819–1820 წწ-ის იმერეთის ცნობილი აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1821 წლის ნოემბერში, იმერეთი ერთ ეპარქიად გაერთიანდა. ხონის მთავარეპისკოპოსი ანტონი გაუქმებული ხონის ეპარქიიდან გააძევეს, რის შემდეგაც იგი ძალიან მალე, 1822 წელს, თავის საგვარეულო მამულში, საჩინოში გარდაიცვალა. ხონის ეპარქიის ვრცელი სამწყსო და საეკლესიო გლეხები სახაზინო უწყებაში გადაირიცხნენ.

მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, დიდი ტრადიციების მქონე ეპარქია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ძაღისხმევით, თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, 1995 წლის 5 აპრილს კვლავ აღდგა.

1996 წლის ნოემბრიდან ხონის სამღვდელმთავრო კათედრის მწყემსმთავარია მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი საბა (გიგიბერია).

## 23. ბათუმისა და ქობულეთის ეპარქია

ბათუმისა და ქობულეთის ეპარქია საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე მდებარეობს. ეპარ-

ქის საზღვარი სამხრეთის მხრიდან ემთხვევა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს, რომელიც გასდევს ჭანეთისა და შავშეთის ქედებს: აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სხალთის, ჩრდილოეთიდან კი – შემოქმედის ეპარქიები, ისტორიული მესხეთის ქედი, მდინარეების – ნატანებისა და კინტრიშის წყალგამყოფები, დასავლეთიდან ეპარქიას აკრავს შავი ზღვის სანაპირო.

აჭარა ისტორიულად საქართველოს ერთ-ერთი უძველესი პროვინციაა, რომელიც გეოგრაფიულად ზემო ქართლის, კერძოდ, მესხეთის ნაწილს შეადგენდა.

წერილობით წყაროებში აჭარა მოხსენიებულია სხვადასხვა სახელით: „აჭარის ქვეყანა“, „აჭარის ხევი“ ან „აჭარის ხეობა“ და სხვ. ეს კუთხე მოიცავდა აჭარისწყლის ხეობას ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავამდე.

საეკლესიო ისტორია საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლასა და გავრცელებას აჭარის მხრიდან, დიდაჭარიდან მიიჩნევს. წმიდა მოციქულებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მრავალი ტაძარი ააგეს. მდინარე სუფსის ქვემო წელზე, სრიალეთად სახელდებულ ადგილზე, აქაურმა მკვიდრმა მოსახლეობამ ამ კუთხის განმანათლებლის, წმიდა ანდრია მოციქულის სახელობის ეკლესია ააგო, რომელმაც ბოლო დრომდე მოაღწია.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ სხალთის მიდამოები და მთლიანად აჭარა IV საუკუნეში მეფე მირდატ III შექმნილ თუხარელის სამწყსოში ერთიანდებოდა. ეპარქია V საუკუნის 60-იან წლებამდე არსებობდა, შემდეგ წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ კლარჯეთის ქვეყანაში დაარსებული და მომძლავრებული ახიზის ეპარქიის გავლენის ქვეშ მოექცა. ქართლის სამეფოს უძველესი პროვინცია სხვადასხვა ეპოქაში მომხდურთა მძლავრობისაგან ხშირად დამპყრობთა გავლენის ქვეშ ექცეოდა. VI საუკუნიდან, ქვეყნის საერთო დამაბუნების დროს, აჭარა ქაჯეთის ციხეში (ბერძნული წყაროებით – პეტრა) არსებული ეკლესიის ირგვლივ შექმნილ ეპარ-

ქიას ეკუთვნოდა. X საუკუნეში, კერძოდ, 941 წლიდან, აჭარის ნაწილი, ქვემო აჭარა „აფხაზთა სამეფოში“ შევიდა. პირველად იგი ტბეთის ეპარქიაში, XI ს-ის დასაწყისიდან კი ქუთაისის ეპარქიაში მოექცა, ზემო აჭარა კი X საუკუნიდან ანჩელის იურისდიქციაში მოიხსენება.

XI საუკუნის II ნახევრიდან აჭარა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაშია და მისი ზემო მხარე კლარჯეთთან ერთად აბუსერისძეთა საერისთავოში ითვლება. „დიდი თურქობის“ დროს, XI ს-ის 80-იან წლებში, აჭარა სამხრეთიდან შემოჭრილმა სელჩუკებმა ააოხრეს, ხოლო XIII ს-ის შუა წლებიდან გაძლიერებული სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა.

XVI ს-ის 50-იან წლებში ოსმალებმა მიიტაცეს კლარჯეთი. დაწყებული შიდა ფეოდალური დაპირისპირებით ისარგებლა ოსმალეთმა და აჭარის ტერიტორიის ეტაპობრივ დაპყრობას შეუდგა. XVI ს-ის 70-იანი წლებისთვის მთელი აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს და იქ ზემო და ქვემო აჭარის სანჯაყები დააარსეს. სანჯაყებად (რაიონი) დაყოფილი აჭარა ჩილდირის (ახალციხე) ვილაიეთს მიუერთეს. ამის შემდეგ აჭარის მოსახლეობას მამაპაპეულ მიწა-წყალზე დარჩენის საშუალება ქრისტიანობის უარყოფითა და მაჰმადის აღიარების შემთხვევაში ეძლეოდა. ამგვარი მდგომარეობა გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც. მხოლოდ 1877–78 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, სამხრეთ საქართველოს ძირძველი მიწა კვლავ სამშობლოს დაუბრუნდა. ამ მხარეში ადრე არსებობდა ანჩის, ტბეთისა და ხინოწმინდის ეპარქიები. იმჟამინდელი საქართველოს საეკლესიო მართვა-გამგეობა რუსულ ყაიდაზე იყო გარდაქმნილი. ძველი ქართული ეპარქიების მომცველი მხარე გურიის საეპისკოპოსოს იურისდიქციაში შევიდა. 1882 წელს გურიის ეპარქიის სატეთმპყრობლად დადგენილ იქნა წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე. 1885 წელს გურიისა და ოდიშის სამწყსოები ერთ ეპარქიად გაერთიან-

ნდა. გურია-სამეგრელოს გაერთიანებული ეპარქია სამხრეთ საქართველოს უძველეს კუთხეებსაც (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ჭანეთი) მოიცავდა. ამ რეგიონში წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრე ოქროპირიძის მოღვაწეობისას დაიწყო მივიწყებული ქრისტიანული ცხოვრების წესის ნელ-ნელა გამოცოცხლება, ბათუმში, ქობულეთსა და ხულოში ძველი სალოცავების განახლება და ახლის მშენებლობა...

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წლის სექტემბერში მოწვეული საქართველოს საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით აღდგა ბათუმის ეპარქია, რომელსაც ბათუმ-შემოქმედის, მოგვიანებით კი, ბათუმ-შემოქმედის საეპისკოპოსო ეწოდა. ბათუმ-შემოქმედის ეპარქია 1995 წლის აპრილამდე არსებობდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, 1995 წლის 5 აპრილს ბათუმ-შემოქმედის ერთი ეპარქიიდან ჩამოყალიბდა ორი – შემოქმედისა და ბათუმ-სხალთის ეპარქიები. 2006 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით, ბათუმისა და სხალთის ეპარქიის ტერიტორიული გადანაწილების შემდეგ შეიქმნა ბათუმ-ქობულეთისა და სხალთის ეპარქიები. ბათუმ-ქობულეთის სამღვდელმთავროს მწყემსმთავრად მანამდე ბათუმისა და სხალთის მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი) იქნა დადგენილი.

## 24. ვანისა და ბაღდათის ეპარქია

ვანისა და ბაღდათის ეპარქია დასავლეთ საქართველოში, იმერეთის დაბლობზე, მდინარეების – სულორისა და ხანისწყლის აუზებში მდებარეობს. იგი ქალაქებს – ვანს, ბაღდათსა და მათ მიმდებარე ტერიტორიას მოიცავს. ვანისა და ბაღდათის ეპარქია 1995 წლის აპრილში ჩამოყალიბდა. ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მარგვეთისა და უბისის, აგრეთვე ბორჯომისა და ბაკურიანის, დასავლეთიდან – შემოქმედის, ჩრდილოეთიდან – ქუთაის-

გაენათისა და ხონი-სამტრედიის, სამხრეთიდან – ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიები.

ეპარქიის ტერიტორიაზე ქრისტიანობის ქადაგება მოციქულების დროს დაწყებულია. მეფე მირიანის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ეს კუთხეც გაქრისტიანდა. თანამედროვე ეპარქიის ტერიტორია იმერეთის სამეფოში არსებულ ქუთაისისა და მარგვეთის სამწყსოებში შედიოდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 1995 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით ქუთაის-გაენათის ეპარქიის საფუძველზე სამი ეპარქია – ხონის, ვანისა და ბაღდათის და ქუთაის-გაენათის ეპარქიები ჩამოყალიბდა. ცალკე სამღვდელმთავროდ გამოყოფილ ვანისა და ბაღდათის ეპარქიას შეთავსებით კვლავ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე მართავდა.

1996 წლის ნოემბრიდან ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მწყემსმთავარია მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი ანტონი (ბულუხია).

## 25. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია დასავლეთ საქართველოში, ისტორიული ეგრისის სამეფოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. იგი მოიცავს ქალაქებს – ზუგდიდს, წალენჯიხასა და მათ მიმდებარე ტერიტორიას. სამღვდელმთავროს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია, დასავლეთიდან – ცხუმ-აფხაზეთის, ჩრდილოეთიდან – მესტიისა და ზემო სვანეთის, სამხრეთიდან – ფოთისა და ხობის ეპარქიები, სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი ზღვის სანაპირო ზოლს მიჰყვება.

საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ამ მხარეში წმიდა მოციქულებს – ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელსა და მატათას უქადაგიათ და პირველქრისტიანული თემისთვის ეკლესია დაუფუძნებიათ.

IV საუკუნის პირველ ნახევარში ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად